ალექსი მიმინოშვილი

ყოყლეესები
და
მწვანე ობელისკები



თბილისი
2002

ნიგნი ეძღვნება ნყალთა მეურნეობის დარგის ამაგდარ სპეკრიალისტებს, რომლებიკ უმეტესნილად სამელიორაკრო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაკრის განხრით მოღვაწეობდნენ ან მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

პირველ განყოფილებაში, რომელსაკ „უხუკესები" ჰქვია, მოთხრობილია იმ ღვანლმოსილ და სახელმოხვეჯილ პროფესიონალ ადამიანებზე, რომლებმაკ უანგარო და ფასდაუდებელი სამსახური გაუნიეს საქართველოს ნყალთა მეურნეობის დარგს.

80 ნელს გადაკრილებული უფროსი თაობის პლეადიდან, ისეთი ღვანლმოსილი მოამაგენი, რომელთაკ უხუკესები შეიძლება ვუნოდოთ, დღეს კროტანი შემოგვრჩა. საამაყო ის გახლავთ, რომ ბევრი მათგანი კვლავინდებური შემართებით ემსახურება საყვარელ საქმეს. ზოგიკ შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალს საყვარელი დარგის აღორძინებას, ანუხებს მისი საკითხვარი...

"მნვანე ობელისკები", ასე დაერქვა ნიგნის მეორე განყოფილებას, სადაკ მოხსენიებულია ის ღვანლმოსილი ადამიანები, რომლებიკ უკვე ჩვენს შორის აღარ არიან, მაგრამ ქვეყნის აყვავებას, ჩვენი მარჩენალი მინისათვის მაკროხლებული ნყლის მინოდებას შეალიეს თავიანთი ლამაზი სიყროხლე (ზოგმა – ხანმოკლე)... და ამით სიყროხლეშივე დაუდგეს საკუთარ თავს „მნვანე ობელისკები". მათი ხსოვნა მანამ შერჩება საქართველოს, ვინემ ჩვენს ღვთისმშობლის ნილხვედრ მინაზე ვენახის ზვარი, ხილნარი, პურის ყანა და მნვანე ხოდაბუნები იბიბინებენ.

წინათქმა

სარწყავი მიწათმოქმედება ჩვენში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, უძველესი დროიდან მოდის.

მიწების მორწყვის საქმეს ქართველი გლეხკაცი უხსოვარი დროიდან რომ იყო დაუფლებული, მსოფლიო საზოგადოებისათვისაც კარგა ხანია ცნობილია. გამოჩენილ მეცნიერ-მოგზაურებს ბევრჯერ განუცხადებიათ საყოველთაოდ, რომ „ქართველები მესოპოტამიელებს არ ჩამოუვარდებიან სარწყავი არხების გაყვანის საქმეში", მათი აზრით, სარწყავი არხების გამოყენება ჩვენში ბრინჯაოს ხანამდე კარგად უნდა ყოფილიყო განვითარებული. დღეს ამ მოსაზრებას ადასტურებს ამას წინათ შირაქში მოპოვებული მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენებიც. მემატიანეს ცნობით, სარწყავი არხების მშენებლობას და შემდეგ მათ მოვლა-შენახვას ჩვენში განაგებდა მეფისგან დანიშნული პირი, ხოლო მომხმარებლებს შორის სარწყავი წყლის განაწილებას აწარმოებდნენ ხალხის მიერ არჩეული მერაბები და მერუეები. მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი კანონი „დასტურლამაც" ითვალისწინებდა სარწყავი არხების დამზიანებლისა და წყლის დამტაცებლის დასჯას. სასამართლოში განიხილავდნენ მეზობლებს ან სოფლებს შორის წარმოშობილ დავას სარწყავი წყლის განაწილებისა და არხების გაყვანის შეუთანხმებელ საკითხებზე. ასე რომ, ქართველ გლეხს რწყვის ყადრი, სარწყავი არხების გაყვანისა და მათი მოვლა-შენახვის ჩვევები მამა-პაპისგან ჰქონდა შესისხლხორცებული და თაობიდან თაობებს გადაეცემოდა.

შემოსევებისა და ომების დროს მომხდური ყოველთვის სარწყავ არხებსაც ანადგურებდა, მაგრამ ომების დამთავრებისთანავე ხალხი, უპირველეს ყოვლისა, არხებს აღადგენდა, რათა სოფლის მეურნეობა აეღორძინებინა, რაც ქვეყნის გაძლიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

საუკუნეების განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა სარწყავი მიწათმოქმედება. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მომდევნო წლებში, მას, უპატრონობის გამო დიდი ზიანი მიადგა. სარწყავი არხების უმეტესობა მწყობრიდან გამოვიდა და გაუქმდა, მოიშალა სარწყავი წყლის გამოყენების ორგანიზაციაც, მნიშვნელოვნად შემცირდა სარწყავი მიწების ფონდი. ახალმა სოციალისტურმა წყობილებამ მემკვიდრეობით მიიღო დანგრეული, უმოქმედო სარწყავი მეურნეობა. ამიტომაც, საბჭოთა მთავრობამ პირველ დღეებშივე დასვა საკითხი ძველი სარწყავი არხების აღდგენისა და ახლის მშენებლობის შესახებ. ასეთი იყო გლეხობის მოთხოვნაც.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობამ, არსებობის პირველი ათი წლის განმავლობაში, მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა, დიდი დახმარება გაუწია მშრომელ გლეხობას და შეუძლებელი შეძლო. განხორციელდა მთელი რიგი ახალი დიდი სარწყავი სისტემების დაპროექტება, ძველის აღდგენა და ახლის მშენებლობა. რასაკვირველია, ამ ღონისძიებაში გლეხობაც, შეპირების შესაბამისად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მათი შრომითი მონაწილეობით დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები შესრულდა - უსასყიდლოდ. ამ პერიოდში განხორციელდა: ტირიფონის, სოვმაშველის, ალაზნის, სკრა-ქარელის, დოეს-გრაკალის, მათხოჯის, დიმი-რიკოთის, კულაში-ღანირის და დიღმის მექანიკური მორწყვის სისტემების მშენებლობა.

ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალების მიხედვით, 1931 წელს საქართველოში სარწყავი ფართობი შეადგენდა 206 ათას ჰექტარს, ანუ 1921 წელთან შედარებით სარწყავი მიწების ფონდი 113 ათასი ჰექტრით გადიდდა. შემდეგ წლებში უფრო მეტად გაფართოვდა სამელიორაციო სისტემების მშენებლობა. დაიწყო დოღლაურის

(ტაშისკარის), ზემო სამგორის, მუხრანის სისტემების, კოლ-ხეთისა და ერწო-თიანეთის დაბლობებზე ჭაობების დაშრობის სამუშაოები, მაგრამ დიდმა სამამულო ომმა მელიორაციაშიც შეწყვიტა დაწყებული მშენებლობები.

პირველ ხანებში (ოცდაათიან წლებში) სარწყავი არხების მშენებლობას უძღვებოდა ქართველ სპეციალისტთა მცირე-რიცხოვანი ჯგუფი, რომელთაც სპეციალური განათლება რუ-სეთში ჰქონდათ მიღებული. შემდეგ მათ გვერდში ამოუდგნენ თბილისის საინჟინრო ინსტიტუტდამთავრებულებიც. თუ რუსე-თის ქვეშევრდომობის პერიოდში (1890 წლიდან), რევოლუცი-ამდე, მხოლოდ თითო-ოროლა წყლის ინსპექტორ-ჰიდრავლი-კოსი ჩინოსანი (ისიც ჩამოსული) განაგებდა მორწყვის საქმეს, საქართველოს გასაბჭოებისთანავე ყურადღება მიექცა სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის გაუმჯობესებას, სპე-ციალური სამსახურების შექმნას. ამ მიზნით, წყალთა მეურ-ნეობის ისტორიაში 1923 წელს პირველად ჩამოყალიბდა 5 წყალთა ოლქი. 1930 წელს წყალთა ოლქები გააუქმეს და შეიქმნა 17 წყალთა რაიონი და 2 სასისტემო სამმართველო. შემდეგ წლებში მათი რიცხვი უფრო გაიზარდა, ამჟამად ოცდა-თვრამეტია. დროდადრო მათი სახელწოდებებიც იცვლებოდა: წყალთა რაიონის შემდეგ, ყველას დაერქვა სასისტემო სამ-მართველო, შემდეგ — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო. ახლა ზოგს სარწყავი სისტემის სამმართველო ჰქვია, ზოგს კი - სამელიორაციო სისტემებისა. ასე რომ, სარ-წყავი სისტემების ტექნიკურ ექსპლუატაციას 1923 წლიდან ორგანიზებული სახე მიეცა. შედგომ ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ თბილისის ინსტიტუტები და ტექნიკუმები ამზადებდნენ ადგილობრივ კადრებს - ინჟინრებსა და ჰიდროტე-ქნიკოსებს.

ქართველ სპეციალისტ-ჰიდრავლიკოსთა პირველი თაობა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში წარმატებით უძღვებოდა

არხების დაპროექტებას, მშენებლობას და ექსპლუატაციასაც. ამ საქმეებს მაშინ გამოცდილი ინჟინრის პეტრე მამრაძის ხელმძღვანელობით მეთაურობდნენ, ახალგაზრდა ენთუზიასტი სპეციალისტები: შალვა ლიაძე, ვიქტორ ძაგანია, სერგო ზერეკიძე, შალვა ახალკაცი, ირაკლი აგლაძე და სხვანი.

რაც შეეხება რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს - ის დამოუკიდებელ ორგანოდ პირველად 1925 წელს შეიქმნა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს სახით. შემდეგ კი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო მის ბაზაზე 1941 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა საქართველოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატი, რომელსაც რამდენიმეჯერ შეეცვალა სახელწოდება: იყო წყალთა მეურნეობის სამინისტრო, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაცია", მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი. ამჟამად კი არის სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი - ჯერ-ჯერობით სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შემადგენლობაში. იცვლებოდა სახელწოდებები (მიუხედავად იმისა, საჭირო იყო თუ არა), მაგრამ საქმიანობის დედაარსი არასდროს შეცვლილა - ეს არის რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის რესურსების დარეგულირება და მისი რაციონალურად გამოყენება სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის, ხალხის საკეთილდღეოდ.

წყალთა მეურნეობის სახელმწიფო ორგანოს თავიდანვე ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდა, გამოცდილი ორგანიზატორები: ა. ლეჟავა, ნ. ბახტაძე, ბ. გოგია, ა. ყამარაული, ლ. სეხნიაშვილი, ნ. გაბუნია, ა. კვეკვეცია, ს. ზერეკიძე, პირველი სახალხო კომისარი გ. ზამბახიძე, მინისტრები: ი. ლაღიძე, გ. ქობულია, გ. გადელია, გაერთიანებათა უფროსები: ა. მუსერიძე, ჯ. ქაჯაია, გ. ქვათაძე, რ. შალამბერიძე. ამჟამად სამელიორა-

ციო სისტემების მართვის დეპარტამენტს სათავეში უდგას ინ-ჟინერი, ბატონი თენგიზ ჩიკვაიძე.

ამ კეთილშობილურ უწყებაში, როგორც ცენტრში, ისე პე-რიფერიებში, ყოველთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტე-ბი, შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი ადამიანები მოღ-ვაწეობდნენ. ამიტომაც იყო, წყალთა მეურნეობის სამინისტრო მუდამ გამოირჩეოდა სხვა სამინისტროებს შორის, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და ამ სისტემაში მუშაობა საამაყოც იყო. სახელოვანი კოლექტივის მდიდარ ტრადიციებს ახალი თაობაც საიმედოდ და ღირსეულად აგრძელებს. ახალი წყობილების დამკვიდრების, სტრუქტურული რეფორმებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში ჰიდრომელიორაციის დარგი შედა-რებით უკეთ ფუნქციონირებს.

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, წყალთა მეურნეობაში მოსული ძველი და ახალი პლეადის ინჟინერ-ტექნიკოსების უანგარო, თავდადებული და მუხლჩა-უხრელი შრომის, საქმისადმი მათი დიდი სიყვარულის შედეგია, ასე კარგად რომ არის შენარჩუნებული სარწყავი, დამშრობი და საძოვრების გაწყლოვანების სისტემები. მეამაყება, ამ დიდი საქმის კეთებასა და წარმატებაში მცირეოდენი წვლილი მეც რომ მიმიძღვის. წყალთა მეურნეობის დარგი ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როდესაც საშუალო ტექნიკური განათლება ფოთის ინდუსტრიულ ტექნიკუმში მივიღე - ტექნიკუმში, სადაც არა მარტო ლითონის და ხის დამუშავების ტექნოლოგიას, მასა-ლათა გამძლეობას, ელექტრონიკასა და ჰუმანიტარულ საგნებს, არამედ ჰიდრავლიკისა და გეოდეზიის საფუძვლებსაც გვას-წავლიდნენ. წყალთა მეურნეობით ჩემი დაინტერესება ძირი-თადად განაპირობა იმანაც, რომ ტექნიკუმიდან ცხოვრებაში გასვლა დაემთხვა სწორედ იმ პერიოდს, როცა ჩემი მშობლი-ური ფოთი კოლხეთის ჭაობებთან ბრძოლის შუაგულში მოექ-ცა და ამ დიდი საქმის ცენტრი გახდა. პირველი შრომითი

ნათლობა 18 წლისამ აქ - კოლხეთმშენის სამმართველოს სახელოვან კოლექტივში მივიღე, ეს იყო 1933 წელი. მცირე დროის შემდეგ, 1942 წლიდან საბოლოოდ ჩავები წყალთა მეურნეობის ორომტრიალში და ამჟამადაც ვემსახურები ამ საყვარელ საქმეს. განვლილი 60 წლიდან, ოცი წელიწადი გარდაბნის სარწყავ სისტემას შევალიე, აქედან 14 წელი სამმართველოს უფროსად ვიმუშავე და მეამაყება, რომ 1975 წელს, ექვსწლიანი დაძაბული შრომის შემდეგ, პირველად საქართველოში, გარდაბნის სარწყავ სისტემაზე დაინერგა ავტომატიზაცია და ტელემექანიზაცია. ამავე დროს აღსანიშნავია ის, რომ ასეთი კომპაქტური და წყლით უზრუნველყოფილი სისტემა იშვიათია ჩვენში.

ქარელის, ზემო სამგორის და გარდაბნის სამმართველოებში, აგრეთვე, ცენტრალურ აპარატში მუშაობის (22 წელი) პერიოდში უამრავ სპეციალისტ და ხელმძღვანელ პიროვნებებთან მქონდა საქმიანი ურთიერთობა ტექნიკური საკითხების, გამოცდილების გაზიარების თუ რჩევა-დარიგების მიზნით.

დღესაც თვალწინ მიდგას იმ ადამიანების შუბლგახსნილი, მომღიმარი, კეთილსინდისიერი სახეები. ისინი მუდამ მზად იყვნენ უანგარო თანადგომისათვის, კაცურკაცობისათვის...

დიდთან - დიდები იყვნენ, პატარასთან - პატარები... დაუვიწყარია მათი ნათელმოსილი სახეები, ელფერი...

და აი, ერთხელ, ოთხმოცდაოთხი წლის ასაკში ანაზდად, აზრი მომივიდა, რამდენადაც შევძლებდი მომეძია ბიოგრაფიული მონაცემები ყველა იმ სპეციალისტისა, ვინც თავდადებით იღვწოდა სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის, მათი მოვლა-შენახვის სამსახურში და ვისთანაც ახლო ურთიერთობაც მაკავშირებდა.

მომეწონა ეს აზრი და ჩავიფიქრე, ორიოდე სიტყვა მეთქვა მათ შესახებ, ვისთანაც წლების განმავლობაში სამსახურებრივი

საქმიანობა მაკავშირებდა, ზოგიერთებთან - მეგობრულიც. ზოგი მათგანი ხნოვანებით უფროსი იყო, ზოგი თანატოლი, ზოგიც - უმცროსი... ურთიერთდამოკიდებულება კი ერთნაირი, შესაშური გექონდა. გადავწყვიტე ასეთი ღვაწლმოსილი ადამიანების პორტრეტები ერთ წიგნად ამეკინძა და როგორც მათთვის, ისე მათი შთამომავლებისათვის მიმეძღვნა სამახსოვროდ. ორი წლის დაუზარებელი შრომის შემდეგ ჩანაფიქრი სამზეოზე გამოვიტანე, რისი მოძიებაც შეეძელი, მოვიძიე და პატარა წიგნად დავაკაბადონე. გარჯას, რაც ამ წიგნის შედგენაზე გამიწევია, წყალთა მეურნეობის დარგის ამაგდართა არდავიწყების შარავანდედი ასულდგმულებდა. მართალია, უმეტესი მათგანი დღეს ცოცხალი არ არის, მაგრამ მათი ხელით შექმნილ უამრავ სარწყავ სისტემას უწყვეტ ნაკადად მიაქვს ჩაუქრობელი სიცოცხლე ქართული მიწის გულში და წალკოტად აქცევს ასიათასობით ჰექტარ ღვთისმშობლის კალთადაბერტყილ მიწას.

ალალი იყოს ჩემი უანგარო შრომა მათი სულების უკვდავსაყოფად, ხოლო ვისი სახელიც ამ მცირე წიგნმა ვერ დაიტია, შეუძლებელია დავიწყებას მიეცეს, მათ ხომ, აქ მოხსენიებულებთან ერთად, საკუთარი ხელით აიგეს მწვანე ობელისკები, რომლებიც ჩვენს თვალუწვდენელ მადლიერ მიწაზე პლანტაციებად, ყანებად, ბაღ-ბოსტნებად ბიბინებენ... ასეთ ძეგლებს დავიწყება არ უწერია.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოს უფროსს, წიგნში მოხსენებული დარგის ამაგდარის, მიხეილ სანაძის ვაჟიშვილს, ბატონ *ვასილ სანაძეს*, რომელმაც დიდი ამაგი დაგვდო ამ წიგნის გამოცემაში. მადლობას მოვახსენებ წიგნის რედაქტორს, დამსახურებულ ჟურნალისტს, ჩემს კლასელსა და მეგობარს, ბატონ *ალექსანდრე თოფურიას*, რომელმაც ენერგია არ დაიშურა, რომ წიგნი შეძლებისდაგვარად მიმზიდველი გამოსულიყო.

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო აქ მოხსენიებულ ამაგდართა ბიოგრაფიული მასალების მოძიებაში.

დაბოლოს, ამბობენ, წინათქმა ბოდიშის მოხდის ტოლფასია მკითხველის წინაშეო. თუ ასეა, ყველას წინაშე, ვინც ამ წიგნს ხელში აიღებს წასაკითხად, წინასწარ ბოდიშს ვიხდი, რადგან იქნებ ისე ვერ ვთქვი, ისე ვერ შევძელი ყველაფრის დასურათხატება, როგორც ჩაფიქრებული მქონდა ან როგორც ამას მოელოდნენ წყალთა მეურნეობის დარგის ამაგდარი ადამიანების ბიოგრაფიითა და მათი შემოქმედებითი შრომით დაინტერესებულნი. ამას მათი სულებიც მაპატიებენ, რომელთაც მწვანე ობელისკები უშენებიათ საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად.

ალექსი (ალიოშა) მიმინოშვილი

პირველი განყოფილება

ყხაცეხეში

სიცოცხლე გრძელდება

გაგეძეხ, ბერო მინდიავ,
მუხლი მოიბი მგლისაო,
გაიყოლიე ახლები,
ვისაც გული აქვს ცდისაო

ხალხური

ილია ლაღიძე
100



მათ შორის, ვინც საქართველოში წყალთა მეურნეობის ჭეშმარიტ მემატიანედ შეიძლება ჩავთვალოთ, ბატონი ილია ლაღიძე ყველაზე უხუცესია. ასი წლის მხცოვანს ბევრი რამ კარგი უნახავს, ბევრი რამ ცუდი განუცდია, მაგრამ ყოველთვის მხნედ იყო. რუსთველისა არ იყოს - ჭირსა შიგან გამაგრება უნდაო... ეს ბრძნული ნათქვამი მას მუდამ ახსოვდა.

ახალგაზრდა ინჟინერი, საქართველოს მთავრობის სახლის მშენებლობიდან გაიწვიეს ფოთელებმა და 1937 წელს ქვეყნის საზღვაო კარიბჭის - ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს.

დაიწყო დიდი სამამულო ომი... ვისაც ომისდროინდელი ფოთი უნახავს, შეუძლებელია არ დამახსოვრებოდა კოლხეთის ამ უძველესი ქალაქის ფერიცვალება - ის ფრონტისპირა ქალაქს წარმოადგენდა. შავი ზღვის ფლოტის გემებმა და ლტოლვილმა მშვიდობიანმა მოსახლეობამაც ფოთში ჰპოვა თავშესაფარი. ბატონი ილია, ფოთში დაბადებული და გაზრდილი, ნავსადგურის მექანიკური სახელოსნოს ხელმარჯვე ოსტატის ნიკიფორე ლაღიძის ექვსი შვილიდან ხნოვანებით მესამე ვაჟი, რომლის სიჭაბუკეც ფოთის დიდი მოამაგის ნიკო ნიკოლაძის ნაოცნებარსა და ნამოღვაწარს ელოლიავებოდა, ახლა

უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე იდგა: „ყველაფერი ფრონტისათვის“ - ამ დევიზით მუშაობდა ფოთი და მისი თავკაცი. იგი ამავე დროს, ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში სამხედრო აეროდრომსაც აშენებდა. გარკვეულ პერიოდში შეთავსებით „კოლხეთმშენის“ სამმართველოს უფროსიც იყო, კოლხეთის დამშრალი მიწების ათვისების პრობლემებს წყვეტდა. ყველგან ასწრებდა ხელმძღვანელობას. ენერგიული, დაკვირვებული სპეციალისტი, ჩვეული სიდინჯით, თავმდაბლობით, ყველა სახელმწიფოებრივ საქმეს წარმატებით უმკლავდებოდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 1944 წელს ბატონი ილია საქართველოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრად დააწინაურეს. კომისარიატის სამინისტროდ გარდაქმნის შემდეგ პირველი მინისტრი ბატონი ილია ლაღიძე 1956 წლამდე მართავდა წყალთა მეურნეობის დარგს. ბატონ ილიას სახელთან არის დაკავშირებული რესპუბლიკაში სამელიორაციო სისტემების მშენებლობისა და ექსპლუატაციის განვითარება-აღმაელობა. საკმარისია ითქვას, რომ ბატონ ილიას მოღვაწეობის პერიოდში ამოქმედდა ისეთი მნიშვნელოვანი, უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობებით აღჭურვილი სარწყავი სისტემები, როგორებიცაა: ზემო სამგორის, ტაშისკარის, სალთვისის, თეზი-ოკამის, მუხრანის, აჯამეთის და სხვ. ივრის მაცოცხლებელმა წყალმა ბაღნარად აქცია სამგორის ხრიოკი ველი, ახალი სიცოცხლე შთაბერა უდაბნოს და მწვანედ შემოსა თბილისის შემოგარენი. თბილისელებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს, „თბილისის ზღვა“ - ხელოვნური წყალსაცავი. 1956 წლიდან ბატონი ილია ჯერ საქართველოს საგეგმო კომიტეტის, შემდეგ კი სამშენებლო საქმეთა კომიტეტის „საქმშენის“ თავმჯდომარეა. 1962 წლიდან ის

წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა, კომიტეტისა, რომელიც მისი ინიციატივითა და ორგანიზატორობით შეიქმნა. შემდგომ მისივე მოწადინებით კომიტეტი გაფართოვდა და ბუნების დაცვის კომიტეტად გადაკეთდა. თავმდაბალმა და შორსმჭვრეტელმა ბატონმა ილიამ კომიტეტის თავმჯდომარეობა არ ისურვა(!) ხანდაზმულობის გამო და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და რესპუბლიკის წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების რეგულირების მთავარ სახელმწიფო ინსპექტორად დაინიშნა. ჩვეული მონდომებით, როგორც იტყვიან, მუხლჩაუხრელად იღვაწა ბატონმა ილიამ მისთვის მინდობილი საქვეყნო საქმისთვის, ვიდრე საკავშირო მნიშვნელობის პენსიაზე გავიდოდა.

პენსიაზე გასვლის შემდეგ, 1984 წელს, ბატონი ილია მიიწვიეს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვაში“ მთავარ კონსულტანტად. ის ისევ დაუახლოვდა მშობლიურ ფოთს, მისი ზღვის სანაპიროს. დიდია ბატონ ილიას ღვაწლი ფოთის სანაპიროს ლანდშაფტის გაკეთილშობილებისა და ზღვისგან წალეკილი ტერიტორიის ნაწილობრივ დაბრუნების საქმეში.

აქტიური საზოგადო-სახელმწიფო მოღვაწე ბატონი ილია ყოველთვის იყო მოკრძალებული, სპეტაკი პიროვნება, ენერგიული მშრომელი, კაცთმოყვარე და გულთბილი, მაგრამ პრინციპული, მომთხოვნი, მაღალპროფესიონალი სპეციალისტი და უბადლო ორგანიზატორი.

ბატონი ილია ლაღიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა სიკეთეს იმკი, როცა უანგაროდ ემსახურები საქმეს, რომელსაც ქვეყნისათვის კეთილდღეობა მოაქვს. მისი ხანგრძლივი სიცოცხლის

ელექსირად კი უნდა მივიჩნიოთ ის დიდი სიყვარული, რასაც იგი ასე უხვად გასცემდა ყველას მიმართ, ვისაც კი მის გვერდით უმუშავია და უცხოვრია.

ვუსურვოთ ჩვენს იუბილარს, ასი წლის უხუცეს ამაგდარს, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

ცოტნე მირცხულავა

საქართველოს საზღვაო კარიბჭედ აღიარებულ ქალაქ ფოთში დაბადებულმა და დავაჟკაცებულმა, მშობლიურ ქალაქში ახალგახსნილ ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში სწავლის პერიოდშივე გამოამჟღავნა მეცნიერებისადმი მიდრეკილება. ნიჭიერ ახალგაზრდას სწავლასთან ერთად ტექნიკუმის ახალი შენობის მშენებლობაზე ტექნიკოსის მოვალეობის შესრულებაც მიანდეს.

ინდუსტრიული ინსტიტუტის წარმატებით (ვადაზე ადრე) დამთავრების შემდეგ ინჟინერ-მშენებლად, ტრესტის მმართველის მოადგილედ მუშაობდა ნავთობის მრეწველობის ორგანიზაციაში.

1953 წლიდან კი ბატონი ცოტნე უკვე მეცნიერულ მოღვაწეობას იწყებს. ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატი საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად მიიწვიეს. აქვე დანიშნეს ჰიდროტექნიკის განყოფილების ხელმძღვანელად. 1968 წლიდან ბატონი ცოტნე უცვლელი დირექტორია ამჟამად სახელწოდებაშეცვლილი - წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკო-

ლოგიის ინსტიტუტად წოდებული სამეცნიერო დაწესებულებისა. ძნელია ამ მოკლე ნარკვევში სრულყოფილად წარმოაჩინო ის უდიდესი სამეცნიერო ღვაწლი, რომელიც ბატონმა ცოტნემ გასწია თავისი მეცნიერული აღმოჩენებით. 1960 წელს მოსკოვის წყალთა მეურნეობის საინჟინრო ინსტიტუტში მან ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ნიადაგის ეროზიის რთული პრობლემების გადაჭრის საკითხს ეხებოდა.

აქედან იწყება ტრიუმფალური სლვა მეცნიერების მწვერვალებისაკენ. ბატონი ცოტნე მირცხულავას სამეცნიერო კვლევების სფერო მრავალ მიმართულებას მოიცავს, დაწყებული ნიადაგის საფარისა და კალაპოტების ეროზიიდან, დამთავრებული ეკოლოგიური სისტემებისა და სხვადასხვა ჰიდრონაგებობების საიმედოობის მათემატიკურ თეორიამდე. ამ მიმართულებებში მას მსოფლიო აღიარება აქვს მოპოვებული. ბატონ ცოტნეს ეკუთვნის პრიორიტეტი ჰიდრომელიორაციული სისტემებისა და ნაგებობების საიმედოობის თეორიის შექმნაში, რომელმაც მას, მსოფლიო აღიარება მოუტანა. მისი ძირითადი შრომები ჰიდრავლიკაში, ჰიდროლოგიაში, ეროზიულ პრობლემებსა და სხვა თეორიულ საკითხებზე შეადგენს 350 დაბეჭდილ სამეცნიერო ნაშრომსა და გამოგონებას. მრავალი მათგანი თარგმნილია და გამოცემულია საზღვარგარეთ ინგლისურ, ფრანგულ, ჩეხურ და სხვა ენებზე.

ბატონი ცოტნეს, აგრეთვე მისი მოწაფეებისა და მიმდევრების კვლევათა შედეგებმა მნიშვნელოვანი წვლილი

შეიტანეს მსოფლიო მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებებში.

რაც შეეხება ბატონი ცოტნეს დამსახურების ტიტულებს, ნულარ იკითხავთ, მათი ჩამოთვლა დიდ ადგილს წაგვართმევს. აღვნიშნავთ მთავარს: 1970 წლიდან არის საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ყოფილი საბჭოთა კავშირის (ამჟამად რუსეთის) სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის ვიცე პრეზიდენტი; ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის და სხვა მრავალი აკადემიის ნამდვილი წევრი. არის იუნესკოს საქართველოს „ადამიანის და ბიოსფეროს“ ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი.

რომ იტყვიან, დუნიაზე კუთხე არ დარჩენილა, სადაც ბატონი ცოტნე ერთი-ორი მეცნიერული მოხსენებით მაინც არ იყოს გამოსული. ამასთან, არც მშობლიურ ქვეყანას აკლებს ზრუნვას და ყურადღებას. განსაკუთრებულ გულშემატკივრობას იჩენს მშობლიური ფოთისადმი, არც არის გასაკვირი. ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, „უაზისის აკადემიის“ პრეზიდენტი, ფოთის სათვისტომოსთან ერთად სშირად აყენებს ქალაქის სასიკეთო და საჭირბოროტო საკითხებს და აქტიურად მონაწილეობს მათ გადაწყვეტაში.

სასიქადულო კოლხი მეცნიერი, დახვეწილი ინტელიგენტი, რომელმაც ოთხმოცი წელი უკან მოიტოვა, კვლავ ჭაბუკური გატაცებითა და შემართებით ემსახურება მეცნიერებას. ერთიღა დაგვრჩენია, ჩვენს სასიქადულო მა-

მულიშვილს ვუსურვოთ ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე, შემდგომი შემოქმედებითი აღმასვლა, რაც, როგორც არასდროს, ისე ესაჭიროება ჩვენს სიდუხჭირეში მყოფ საქართველოს. ვუსურვოთ ბატონ ცოტნეს პირადი ბედნიერება, რაც სახელოვანი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების კეთილდღეობით იქნება შუქმოსილი.

შალვა გიორგაძე



შემოქმედელმა ახალგაზრდამ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1936 წელს, სპეციალობის მიხედვით, წყალთა მეურნეობის დარგში დაიწყო შრომითი საქმიანობა - ყაზბეგის რაიონში ჭაობების დაშრობის სამუშაოებზე. გულისხმიერმა, საქმით დაინტერესებულმა ახალგაზრდამ მუყაითი, ორგანიზატორული, ნიჭიერი სპეციალისტის სახელი დაიმსახურა და მალე იგი ქუთაისის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დააწინაურეს, ეს სამმართველო დასავლეთ საქართველოს ძირითად ნაწილს ემსახურებოდა. 18 წელიწადი იმუშავა ამ თანამდებობაზე ბატონმა შალვამ და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა მდინარეებზე ნაპირსამაგრი ჯებირების თუ ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობის სახით. თავის მშობლიურ სოფელ შემოქმედს კი, რომელსაც 94 წლის წინათ მოევლინა, სამახსოვროდ კარგი ხიდი აუშენა.

1956 წელს ბატონ შალვას აწინაურებენ და გადაჰყავთ ტრესტ „სამგორწყალმშენის“ მმართველად. აქაც ფეხმოუცვლელად 40 წელზე მეტ ხანს დაჰყო. მისი ხელმძღვანელობით აშენდა უამრავი ახალი სარწყავი სისტემა: ქვემო სამგორის, თელეთის, ტბისი-კუმისის, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ხრამის, დებედას, მუხრანის და სხვა სისტემებს. ყველგან, სადაც სარწყავი სისტემა ამოქმედდა,

გაცოცხლდა ბუნება, წალკოტად იქცა გატიალებული არემარე. და ყოველივე ეს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის, ბატონ შალვა გიორგაძის შრომა-გარჯის ნაყოფია. მომთხოვნი ხელმძღვანელი იყო, პრინციპული, დისციპლინის მოყვარული, მეგობრობაში - კაცური კაცი, მომლხენი, აუარებელი მეგობარი ჰყავდა, ბერმუხას ეძახდნენ, სიბერეშეპარებულს ბაბუ დაარქვეს, ეკადრებოდა კიდევაც, მაგრამ ხანდაზმულს ბედმა უმტყუნა, ორი კარგად ზრდილი, თანატოლებში გამორჩეული ვაჟიშვილი დაიტირა, ნაღველმა თავისი ჰქნა, ბოლოს მაინც დააბეჩავა ბუმბერაზი კაცი...

არის ახლა თავისთვის ბატონი შალვა ოჯახში და იგონებს ცხოვრების გაყვითლებულ ფურცლებს.

ღმერთმა დღეგრძელი ამყოფოს.

ვახტანგ
გურგენიშვილი

ყურადღებიანი, გულთბილი, ერუდირებული სპეციალისტი, მისთვის მინდობილი საქმის ერთგული, დახვეწილი ინტელიგენტი - ასეთია ბატონი ვახტანგი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი. ოთხმოც წელს მიტანებული, წყალთა მეურნეობის დარგის ვეტერანი 55 წელია უანგაროდ ემსახურება კეთილშობილ პროფესიასა და მშობლიური ხალხის კეთილდღეობას.

ბატონმა ვახტანგმა 1947 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე შრომითი მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტში „საქწყალპროექტში". მალე იგი ზემდგომ პარტიულ ორგანოებში წყალთა მეურნეობის დარგის კურატორად დააწინაურეს. 1960 წლიდან კი წყალთა მეურნეობის მინისტრის უცვლელი პირველი მოადგილეა. 1983 წლიდან, დარგის რეორგანიზაციის შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ იქნა გადაყვანილი.

ბატონი ვახტანგი თავიდანვე სპეტაკი, სამართლიანი, პრინციპული და მომთხოვნი იყო. კურირებდა რა წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობას, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მწყობრში ჩადგა რესპუბლიკის მრავალი სამელიორაციო სისტემა, მისივე თაოსნობით ბევრი

ტექნიკური წინადადება და პრობლემა გადაწყდა დადებითად.

რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგაც ეწევა აქტიურ საქმიანობას - საკუთარ გამოცდილებას უზიარებს სპეციალისტთა ახალ თაობას. ხარობს ოჯახის კეთილდღეობით, შვილებითა და შვილიშვილებით.

ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვოთ ბატონ ვახტანგს, წყალთა მეურნეობის დარგის ამაგდარ სპეციალისტს.

ავგუსტ იტრიაშვილი

ინტელიგენტი, ეკონომიკაში თავიდანვე გათვითცნობიერებული ინჟინერი, რომ იტყვიან, შეაბერდა წყალთა მეურნეობის დარგს. მართალია, ახლა 92 წელს გადააბიჯა, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურება და საქმიანობას საპროექტო ინსტიტუტ „საქწყალპროექტში“ განაგრძობს. თბილისში დაბადებულსა და გაზრდილ ახალგაზრდას, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1935 წელს სამუშაოდ გზავნიან აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მშენებლობაზე — სამუშაოთა მწარმოებლად. 1937 წელს ბატონი ავგუსტი ხრამჰესის სათავე უბნის მშენებლობაზეა, ხოლო 1938 წლიდან საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში ინჟინერ-ეკონომისტის პასუხსაგებ მოვალეობას ასრულებდა. წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის ჩამოყალიბების დღიდან საგეგმოსაფინანსო სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ათეული წლების განმავლობაში საქართველოში მელიორაციის განვითარების პერსპექტიული გეგმების შედგენა, მათი ზემდგომ ინსტანციებში განხილვა-დამტკიცება და შეუფერხებელი დაფინანსების მიღება - ბატონი ავგუსტის კვალიფიციური ხელმძღვანელობით ყოველთვის წარმატებით მთავრდებოდა. მის ხელში ბევრმა ახალგაზრდამ შეისწავლა დაგეგმვა-დაფინანსების საფუძვლები. ბატონი

ავგუსტი ერთხელ, ცოტა ხნით, მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა. თუ არ მიწყენს, ერთ მის გულისტკივილს გაგიმხელთ: ბატონ ავგუსტს მისი თანამედროვენი ვიცნობდით, როგორც იტრიელს, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ დარწმუნებული იყო, მამა-პაპათა გვარი ქართული უნდა - ყოფილიყო. სად არ მოიკითხა - ინსტიტუტებში, არქივებში, ბოლოს მაინც გაარკვია, რომ მისი წინაპრები, ძმები ბერუაშვილები, სოფელ იტრიადან გამოქცეულები, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში დასახლებულან და იტრიაშვილებად დაწერილან. ახლა იტრიაშვილობის გენეოლოგიაც აქვს შედგენილი, შვილთან, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატთან ლევანთან ერთად. ამიერიდან ბატონი ავგუსტის შთამომავლებისათვის აღდგენილია მამა-პაპათა გვარი. ეს არის სამშობლოს სიყვარულის გამომჟეურება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბატონი ავგუსტი საპროექტო ინსტიტუტის „საქწყალპროექტის" ისტორიის საკითხებისა და მუზეუმისათვის აგროვებს მასალებს.

ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ვუსურვოთ ვალმოხდილ სპეციალისტს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს, რესპუბლიკის მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერს, ბატონ ავგუსტ იტრიაშვილს.

სევერიანე მოსიძე

ოთხმოცდათერთმეტ წელს გადაცილებული რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი საკუთარი ბიოგრაფიის მოყოლას დიდხანს უნდება. სულმოუთქმელად, თითქოს დაზეპირებული აქვსო, დაწვრილებით ჰყვება ცხოვრებისეულ ფათერაკებსა და საინტერესო თავგადასავლებს, რომელთა აქ მოთხრობა დიდ დროს წაგვართმევდა.

ახალბედა ინჟინერმა პირველი პროფესიული ნათლობა 1936 წელს თიანეთში, მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მიიღო. შემდეგ მუშაობდა „თბილჰიდროპროექტში", ჩითახევჰესის მშენებლობაზე, 1950 წლიდან კი უეხმოუცველელად მოღვაწეობს საპროექტო ინსტიტუტ „საქწყალპროექტში". სად არ ნახავდით მას - ახალი სარწყავი და დამშრობი სისტემების დაპროექტებაზე, მშენებარე ობიექტების ტექნიკური ზედამხედველის ამპლუაში. მონაწილეობდა მრავალ სამთავრობო-ტექნიკური კომისიის მუშაობაში. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ზემო და ქვემო სამგორის, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემების მშენებლობაში, როგორც „საქწყალპროექტის" ტექნიკურ ექსპერტს. დარსა თუ ავდარში, მთა და ბარს უვლიდა ეტლიანი მოტოციკლით, თაეზე ყოველთვის თუშური ქუდი ეხურა და ახლაც ახურავს... მას ეთქმის კაცი ვარ და ქუდი მხურავსო...

მუდამ მოძრავი, დაუღალავი, ნაჯაფი ბატონი სევერიანე მოსიძე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ახლა 91 წლისაა და სახელშეცვლილ „საქწყალპროექტში“ ჯოხით ხელში ფრთხილად დააბიჯებს. თავის ძველ კაბინეტში, სექტორის უფროსის მაგიდასთან ზის თავდახრილი, საღი ინჟინრული გონებით აანალიზებს წარმოდგენილ საპროექტო ნამუშევრებს.

ბატონი სევერიანე ავტორია მრავალი რაციონალური წინადადებისა. ყურადსაღებია მოსიძისეული მოსაზრება მდ. რიონის მე-7 კილომეტრზე ჰიდროკვანძის მდგრადობის შენარჩუნების (გაძლიერების) თაობაზე.

ღმერთმა ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მისცეს ბატონ სევერიანეს.

გიორგი
გრიგოლაშვილი



ფოთის სახელგანთქმული ჰიდ-
რომელიორაციული ტექნიკუმის
დამთავრების შემდეგ, ხარაგაულე-
ლი მკვიდრი ხაშურის რაიონში გაგზა-
ვნეს განაწილებით. იქ მკვირცხლი ახალგაზრდა ტექნი-
კოსი ბრეთის ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად და-
ნიშნეს. მალე ბატონი გიორგი წითელ არმიაში გაიწვიეს.
სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ, იგი კვლავ
ხაშურში დაბრუნდა და დოღლაურის სარწყავი სისტემის
მშენებლობაზე ტექნიკოსად დაიწყო მუშაობა. მაგრამ
დიდი სამამულო ომის დაწყების მეორე დღესვე ფრონტზე
მიემგზავრება. ორჯერ დაჭრილი მამაცი მებრძოლი, ღირ-
სეულად დაფასებული უბრუნდება ხაშურს და სულ მალე
ხაშურის წყალთა რაიონის უფროსად ნიშნავენ. ამ თა-
ნამდებობაზე მან პენსიაზე გასვლამდე იმუშავა. სამმარ-
თველოს სარწყავი და დამშრობი ქსელი მცირე ფარ-
თობზე ერიცხებოდა, ამიტომ მთავარი სამუშაოები წყალ-
დიდობისგან მდინარეების ნაპირდაცვის ღონისძიებების-
კენ იყო მიმართული. მთელი აქცენტი გადატანილი იყო
ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის
ნაპირების გამაგრებაზე. ჩვენთვის, წყალთა მეურნეობის
სპეციალისტებისათვის, კარგად იყო ცნობილი დასავლეთ
საქართველოს მდინარეებზე ნაპირსამაგრ ჯებირებად გა-
მოყენებული ძელყორის (გაბიონის) სიკეთე. აღმოსავლეთ

საქართველოში კი ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით მდინარე მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად გამოყენებული იქნა „სიპაის“ ტიპის ჯებირები. ხაშურელმა სპეციალისტებმა კარგად აითვისეს ეს საქმე და გომი-სცისის მონაკვეთზე მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე, რამდენიმე მწკრივად ჯარისკაცებივით ჩარიგებული „სიპაები“ მომხიბლავ, ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა.

ბატონ გიორგის ერთი ჩვეულება ჰქონდა: ყველა თათბირზე, მით უმეტეს რესპუბლიკურზე, უნდა გამოსულიყო სიტყვით და ამისი საბაბიც ჰქონდა - გეგმებს ყოველთვის წარმატებით ასრულებდა. ჯარში პოლიტსელად ნამყოფს, ეხერხებოდა მჭექარე, სმამაღალი (მხედრული რიხით) სიტყვის წარმოთქმა. ორატორის ნიჭით დაჯილდოებული კაცის თითოეულ გამოსვლას ყურაღღებით უსმენდნენ, რადგან მისი სიტყვა შთამბეჭდავი, სახალისო იყო.

მოსუცდა ბატონი გიორგი, 88 წლისაა, მაგრამ მხნედ გამოიყურება. აინტერესებს წყალთა მეურნეობის დარგის საერთო მდგომარეობა, განსაკუთრებით კი ტაშისკარის სარწყავი სისტემისკენ გაურბის თვალი, ის ხომ პირველი ბარის დამრტყმელია არხის მშენებლობაზე.

დიდი ხნის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას უსურვებენ არა მარტო კოლეგები, არამედ ყველანი, ვისთანაც ნაცნობ-მეგობრობა აკავშირებს ამ კაცურ კაცსა და წყალთა მეურნეობის მკლავმოუღლელ ჯარისკაცს.

გიორგი ქიტუაშვილი



თბილისელი ყმაწვილი ოცი წლისაც არ იყო, როცა ახალბედა ტექნიკოსი, თბილისის ჰიდროტექნიკუმის კურსდამთავრებული, კასპის წყალთა მეურნეობის სამმართველოში ჰიდროტექნიკოსად მიიღეს. ეს იყო 1934 წელს. გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ, ის ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად დანიშნეს. სამამულო ომის დაწყებიდანვე ბატონი გიორგი ფრონტზეა და ხიდების მშენებლობას მეთაურობს. დემობილიზაციის შემდეგ, ისევ კასპში ბრუნდება. აქ მას კასპის რაიაღმასკომის წყალთა მეურნეობის განყოფილება ჩააბარეს. თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი სისტემის სათავე უბნის უფროსად გადაიყვანეს. რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი, დინჯი, დარგის პროფესიონალი, ენერგიული და შრომისმოყვარე, დიდი სიყვარულით ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას. ახლაც, 88 წლის ასაკში, დაინტერესებულია თეზი-ოკამის სისტემის მდგომარეობით, მისი მუშაობით. ბატონ გიორგის წილად ხვდა ბედნიერება, ამ სისტემის ავ-კარგი საკუთარი ვაჟიშვილისაგან მოისმინოს. ამირან ქიტუაშვილი - სათავე უბნის უფროსი, რომელიც მამის პროფესიის გამგრძელებელი გასლავთ, ქიტუაშვილების საოჯახო ტრადიციას - მელიორაციის კეთილ საქმეს ისეთივე უანგარობით

უძღვება, როგორც მშობელი მამა ემსახურებოდა პენსიაზე გასვლამდე.

მრავალი წლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ვუსურვოთ ბატონ გიორგის.

ალექსანდრე ცხადაია

კოლხეთის ჭაობების დამშრობი სამელიორაციო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სამსახური შედარებით ახალი საქმე იყო წყალთა მეურნეობის დარგში და მის ათვისება-დამკვიდრებაში დიდი ამაგი მიუძღვით ძველი თაობის სპეციალისტებს, რომელთა შორის ბატონ ალექსანდრეს - ჩვენთვის ცნობილ კალეს, მეწინავე ადგილი ეკავა. როცა ხორგელი ჭაბუკი ფოთის ჰიდროტექნიკუმში შედიოდა ჰიდროტექნიკოსის სპეციალობის დასაუფლებლად, წინასწარ ჰქონდა გამიზნული, რომ თავად შებრძოლებოდა საუკუნოვან ჭაობებს მშობლიურ ხორგასა და ყორათში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ტექნიკოსი ზუგდიდის წყალთა მეურნეობის სამმართველოში დაინიშნა უბნის უფროსად. სამმართველოს უფროსის ბატონ მიშა ბაღიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ის საყვარელ პროფესიას. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ბატონი კალე დაინიშნა ახლად შექმნილ კოლხეთის (ხობის) მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად, რომელიც შემდეგ კოლხეთის ნაპირდამცავი ნაგებობებისა და ჰიდროკვანძის ექსპლუატაციის სამმართველოდ გარდაიქმნა. მან დიდი გამოცდილება შეიძინა მდინარეებზე ნაპირდამცავ ღონისძიებათა დანერგვის საქმეში და დახელოვნდა კიდევაც, განსაკუთრებით

ძელყორის („გაბიონის“) ტიპის ჯებირების (დეზების) მოწყობაში. ენერგიული, შრომისმოყვარე, კარგი ორგანიზატორი, მომთხოვნი და პრინციპული, კეთილმოსურნე და სპეტაკი - ასეთი იყო ბატონი კალე და ასეთია დღესაც. პენსიაზე გასვლის შემდეგაც, 85 წლის ასაკში, თავის შექმნილ კოლექტივში განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას. ისღა დაგვრჩენია, რესპუბლიკის დამსახურებულ მელიორატორს ბატონ ალექსანდრეს ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ვუსურვოთ.

ივანე ფირბისელი

გარეკახელი, ფრიადოსანი ჭაბუკი 1938 წელს წარმატებით აგრძელებს სწავლას თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ინჟინერი მუშაობას იწყებს მშობლიურ საგარეჯოში, რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების მთავარ ინჟინრად.

1946 წელს ბატონი ივანე წყალთა მეურნეობის სისტემაში გადადის სამუშაოდ და იქ მკვიდრდება. ჯერ ყვარლის წყალთა რაიონის მთავარი ინჟინერია, 1948 წლიდან — საგარეჯოს სასისტემო სამმართველოს ჰიდროტექნიკოსი, შემდეგ კი — წყალსარგებლის ინჟინერი. 1953 წლიდან ბატონი ივანე საგარეჯოს სასისტემო სამმართველოს უფროსად დააწინაურეს.

შრომისმოყვარე, დაუზარებელი, პროფესიის უზომოდ მოყვარული სპეციალისტი - ასეთი იყო იგი ყველას თვალში, ამიტომაც 26 წელიწადი მართავდა ქვემო სამგორის ურთულეს სარწყავ სისტემას, რომელიც ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში ჩაიბარა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან უდიდესი შრომა გასწია ახალი სარწყავი სისტემის აქურში მოსაყვანად.

პენსიაზე გასვლის შემდეგ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მელიორატორმა კიდევ რამდენიმე წელი იმოღვაწა წყალთა მეურნეობის სისტემაში.

ამჟამად ჭარმაგი ჭაღარა, 80 წლის ვანო საკუთარ კარ-მიდამოს, ვაზისა და ხეხილის მოვლაში, აქტიურ შრომასა და ჯაფაში ატარებს დროს, არც თავის საყვარელ პროფესიას ივიწყებს, ყოველთვის აინტერესებს კოლეგათა პრობლემები.

შვილიშვილებით გალაღებულს, ვუსურვოთ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

მეორე განყოფილება

მარად მოსაგონარი ადამიანები, რომლებმაც დამსახურებულად დიდგეს

მწვანე ოგეკლიესები

ღმერთო, ნათელში აქოფე მათი სულები

აქაც კარგი კაცი იყო,
იქ ნათელი დაადგესო

ნოდარი

პეტრე მამრაძე

(1877-1937)

ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსს, ბატონ პეტრე მამრაძეს წყალთა მეურნეობის ტექნიკურ მოძღვრად აღიარებენ არა მარტო ძველი თაობის სპეციალისტები, არამედ ახალი თაობისაც.

თბილისელი ხელოსნის ოჯახში დაბადებულმა, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უმაღლესი ტექნიკური განათლება სანკტ-პეტერბურგში მიიღო. სამშობლოში ბატონი პეტრე სწორედ იმ პერიოდში ბრუნდება, როცა საქართველოში ფართოდ იყო გაშლილი ჰიდროსამელიორაციო სისტემების აღდგენა-მშენებლობა. გადამეტებული როდი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს პერიოდი, გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისი, საქართველოში წყალთა მეურნეობის აღორძინებისა და განვითარების პირველ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ. ებმება რა წყალთა მეურნეობის აღორძინების ფერხულში, ბატონი პეტრე თავის ირგვლივ იკრებს ახალგაზრდა, პერსპექტიულ სპეციალისტებს, უანგაროდ უზიარებს მათ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას. ბატონ პეტრეს პროექტით აშენდა: დასავლეთ საქართველოში „სოვმაშველის“ და აღმოსავლეთში - ალაზნის სარწყავი სისტემები. მის სახელთან არის დაკავშირებული ალაზნის ველზე 13 ათასი ჰექტარი მარილიანი მიწების განმარილების ორიგინალური პროექტის შედგენა და მისი განხორ-

ციელება. აღსანიშნავია, აგრეთვე, ბატონ პეტრე მამრაძის ხელმძღვანელობით ურიად მნიშვნელოვანი ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებული სქემის შედგენა, რომელიც მოიცავდა რესპუბლიკის მთლიან ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემების განლაგებას და რომლის განხორციელება ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. მაშინ ეს პირველი პროექტი მოწონებული და დამტკიცებული იქნა.

ბატონ პეტრეს ეკუთვნის იდეა 80 ათასი ჰექტარი ფართობის მოსარწყავად მდინარე იორის გამოყენების შესახებ, მისივე ხელმძღვანელობით იქნა შედგენილი სამგორის უნიკალური სარწყავი სისტემის ტექნიკური პროექტი, რომელიც საკავშირო მთავრობის მიერ იყო განხილული და დამტკიცებული. ამბობენ, პროექტის განხილვაში იოსებ სტალინსაც მიუღია მონაწილეობა.

ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც პეტრე მამრაძის უნიკალური პროექტების ხორცშესხმაში მონაწილეობდნენ, დამუხტული იყვნენ წინამძღოლის ენთუზიაზმით, მისი ინჟინრული ძიებით, განსწავლულობით. ამიტომ თვლიდნენ თავს მის შეგირდებად ისეთი სახელმოხვეჭილი ქართველი ინჟინრები, როგორებიც იყვნენ ბატონები - შალვა ახალკაცი, აეტ ყოფშიძე, სიმონ ელერდაშვილი და ბევრი სხვა, რომლებმაც შემდგომში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს სამელიორაციო საქმის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფაში.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონ პეტრე მამრაძეს საქართველოში წყალთა მეურნეობის დარგის ჩამოყალიბებაში და ამიტომაც, იგი ამ დარგის მამამთავრად ითვლება, დახვეწილი ინტელიგენტის, ერუდირებული სპეციალისტის და წყალთა მეურნეობის ტექნიკური დარგის მოძღვრის ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა ახალი მამულიშვილური საქმეებისათვის აღაფრთოვანებს მომავალი თაობის ჰიდრავლიკოსებსაც.



გიორგი ვოინიჩ-სიხნოჟენცი

(1887-1962)

თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში დაბადებულმა 1916 წელს დაამთავრა კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი მშენებელი ინჟინრის სპეციალობით. მუშაობდა გორში რაიონის ინჟინრად, აბაშის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსად, ზაჰესის პროექტის ინჟინრად. 1926 წლიდან ხელმძღვანელობდა დიღმის, ყანდაურის, ტირიფონის, დოეს- ვრაკალის, აშურიანის, სამურზაყანოს სარწყავი სისტემების საპროექტო-საძიებო სამუშაოებს.

ძირითად სამუშაოებთან ერთად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

1942-1947 წლებში მუშაობდა საქართველოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატში - სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის სამმართველოში, ქართლის ტერიტორიული განყოფილების უფროსად.

1947 წლიდან მუშაობას იწყებს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის კვლევით ინსტიტუტში.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბატონი გიორგი 1952 წლიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჰიდ-

როტექნიკურ ნაგებობათა და ჰიდრავლიკის კათედრის გამგეა და მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სიცოცხლის ბოლომდე. ერუდირებული, ტკბილ-მოუბარი, კეთილმოსურნე და სათნო აღმზრდელი იყო იგი ახალგაზრდა თაობისათვის.

შალვა ლიხაძე
(1891-1962)

დაიბადა გორის რაიონის სოფელ მეჯერისხევში. ქ. ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი ხარისხის დიპლომით დამთავრების შემდეგ, 1916 წლიდან სამხედრო სამსახურშია სპარსეთსა და ოსმალეთში. 1918 წელს ბრუნდება საქართველოში და მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებით ინიშნება გორის წყალთა ოლქში ინჟინერ-ჰიდრავლიკოსის თანამდებობაზე, ხოლო 1921 წელს გორის წყალთა ოლქის უფროსად. ბატონი შალვას ხელმძღვანელობით და მისი უშუალო მონაწილეობით წარმოებდა დოეს-გრაკალის, სკრა-ქარელის და ტირიფონის სარწყავი სისტემების დაპროექტება და მშენებლობა. 1930-1932 წლებში იყო ტირიფონის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსი. 1932-1937 წლებში საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერია. 1937 წლიდან კი საქართველოში დაჭაობებული ადგილების დაშრობა-გაჯანსაღების საქმეს ხელმძღვანელობს.

1949-1950 წლებში სამგორის სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის პროექტის შედგენას უდგას სათავეში. 1950 წლიდან საპროექტო ინსტიტუტის მთავარი ინჟი-

ნერია, შემდეგ ტექნიკურ-საწარმოო განყოფილების უფროსი. ბაგონი შალვა იყო ნათელი აზროვნებით, სიდინჯით, სიდარბაისლით და კეთილმოსურნეობით გამორჩეული პიროვნება, მას დიდი ამაგი მიუძღვის საქართველოში ჰიდრომელიორაციის დარგის აღორძინებისა და განვითარების საქმეში.



ვიქტორ ძაგანია

(1893-1968)

მარტვილის რაიონის სოფელ ნაჯეხავოში დაბადებულმა ჭაბუკმა 1916 წელს დაამთავრა სანქტპეტერბურგის რკინიგზის ინსტიტუტი და სამხედრო ინჟინრის წოდებით ჩამოვიდა საქართველოში. თავდაპირველად მუშაობა დაიწყო ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილის მშენებლობაზე. 1921 წელს მას სამუშაოდ იწვევენ ახლად ჩამოყალიბებულ „ჰიდრომშენში“ და აქედან მოყოლებული, მთელი მისი მოღვაწეობა წყალთა მეურნეობის დარგის განვითარებისაკენ იყო მიმართული. პირველ ხანებში ქუთაისში მაშველი არხის მშენებლობის უფროსის მოადგილეა, 1923 წლიდან კი მშენებლობის უფროსია. 1925-1934 წლებში ბატონი ვიქტორი ყარაიმის (გარდაბნის) სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად მოღვაწეობდა. ეს პერიოდი, მის ცხოვრებაში მეტად ღირსშესანიშნავი იყო, ათეული წლების განმავლობაში უპატრონობით გაჩანაგებული პირველი საინჟინრო სარწყავი სისტემა ბატონმა ვიქტორმა აღადგინა და წესრიგში მოიყვანა.

1934-1940 წლებში ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ექსპლუატაციის განყოფილების უფროსად გადაჰყავთ.

1940-1941 წლებში რამდენიმე თვე რეპრესირებული იყო, მაგრამ საბოლოოდ გამართლებულ იქნა.

1951 წლიდან სამინისტროშია, ჯერ უფროს ინჟინრად მუშაობდა, 1954 წლიდან კი სიცოცხლის ბოლომდე მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს სწავლული მდივანი იყო.

ერუდირებული, მაღალკვალიფიცირებული, პრინციპული და მომთხოვნი - ასეთი იყო ბატონი ვიქტორი.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.



ნიკოლოზ ჩიჩანიძე

(1898-1975)

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკო-მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო მუშაობას იწყებს გამომცემლობაში - კორექტორად.

1930 წელს გაგზავნილ იქნა სასწავლებლად საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1934 წელს ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის პუნქტის გამგედ. 1936 წელს გადაიყვანეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში, სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის განყოფილებაში ინჟინერ-ინსპექტორად, შემდეგ სარემონტო-სამშენებლო განყოფილების უფროსად, სადაც 1960 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა.

ბატონი ნიკოლოზი განათლებული პიროვნება გახლდათ. ზეპირად იცოდა ქართველ და სხვა ქვეყნების გამოჩენილ პოეტთა ლექსები. მჭერმეტყველი და საამოდ მოსაუბრე, ქართული ენის კარგი მცოდნე იყო.

მან რუსულიდან თარგმნა „სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის დროებითი წესები“, შეადგინა სპეციალური ჰიდრო-ტექნიკური რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ახლაც სამაგიდო წიგნად გამოადგებათ ამ დარგის სპეციალისტებს.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.



ალექსანდრე ბეგიძე

(1901-1972)

ამბროლაურის რაიონის სოფელ სონჯიორში დაბადებულმა, 1923 წელს დაამთავრა თბილისის კულტტექნიკური ტექნიკუმი, ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. 1926-1930 წლებში მუშაობდა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში, ინჟინერ-ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად. 1930 წელს ჯერ დაინიშნა საგარეჯოს წყალთა რაიონის უფროსად, ხოლო 1933 წელს გადაყვანილ იქნა თელავის წყალთა რაიონის უფროსად.

1940 წელს ბატონი ალექსანდრე სამუშაოდ გადაჰყავთ სობის რაიონში სიბულის „ჩაიმელიორაციის“ მშენებლობის უფროსად, მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყების გამო, მშენებლობა შეწყდა და ბატონი ალექსანდრე ყარაიაზის (გარდაბნის) სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა. 1944 წლიდან ის ლაგოდეხის წყალთა რაიონის უფროსია 1971 წლამდე, დამსახურებულ პენსიაზე გასელამდე. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

დინჯი, გამოცდილი სპეციალისტი, წყალთა მეურნეობის ამაგდარი - ასეთი იყო ბატონი ალექსანდრე, რომლის სახელიც არა მარტო მწვანე ობელისკებს, არამედ კოლეგებისა და მეგობრების გულებსაც შერჩებათ სამუდამოდ.

ალექსანდრე (შალვა) კანდელაკი

(1901-1992)

საბაურსა სად წაიყვანს ბედიო, შეიძლება ითქვას ჩოხატაურელ ბიჭზე, რომელმაც ამერბაიჯანში დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი. 1925 წელს ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო წყალთა მეურნეობის დარგში. 1934-1937 წლებში იყო ქუთაისის წყალთა ოლქისა და „სოფმაშველის" სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსი.

1938 წელს გადაყვანილ იქნა თბილისში წყალდიდობასთან მებრძოლი შტაბის უფროს ინჟინერ-ინსპექტორად.

1940 წელს ხელმძღვანელობდა მდ. ენგურის კალაპოტის გასწორხაზების სამუშაოებს, რომლის დამთავრების შემდეგ გადაყვანილ იქნა მდინარე ცხენისწყალზე ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობის უფროსად. დიდი სამამულო ომის პერიოდში მუშაობდა თავდაცვითი მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაზე. 1946 წელს ბატონი ალექსანდრე „ალაზანმშენის" სამმართველოს უფროსია, ხოლო 1948 წელს ინიშნება ახლად შექმნილი სამშენებლო ტრესტის „წყალმშენის" უფროსად. 1951 წელს ბატონი ალექსანდრე საქართველოს

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილეა. ხოლო 1956 წლიდან მუშაობს ინსტიტუტ „საქწყალპროექტის“ დირექტორის მოადგილედ, პენსიაზე გასვლამდე, 1980 წლამდე. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება. ბატონი ალექსანდრე იყო გამოცდილი სპეციალისტი-ხელმძღვანელი, პრინციპული და მომთხოვნი, მასში საოცრად იყო შერწყმული შინაგანი სილამაზე და მომხიბვლელი გარეგნობა, რაც ამ დახვეწილ ქართველ ინტელიგენტს განსაკუთრებულ პეწს უნარჩუნებდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც.

ლამაზი ვაჟკაცი და უბადლო სპეციალისტი, ასეთი ემახსოვრება ჩვენი ალექსანდრე ყველას, ვისთანაც მას საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა ჰქონია.



ირაკლი მითაიშვილი

(1902-1982)

დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში. 1932 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ინსტიტუტი გზების მშენებელ-ინჟინრის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო გზების მშენებლობაზე. 1940 წელს ბატონი ირაკლი მოღვაწეობას იწყებს წყალთა მეურნეობის სისტემაში და პენსიაზე გასვლამდე ამ დარგს ემსახურება. 1940-1944 წლებში ის მცხეთის წყალთა რაიონის გამგეა, შემდეგ 1947 წლამდე გორის წყალთა რაიონის გამგე იყო. 1947-1951 წლებში სალთვისის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსია. შემდეგ წლებში ჯერ ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობის, შემდეგ კი - ტრესტ „წყალმშენის“ №5 სამშენებლო სამმართველოს უფროსია. 1953 წელს დაინიშნა სამხრეთ ოსეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად. 1955-1962 წლებში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილედ მუშაობს. 1962

წლიდან, 1972 წლამდე - პენსიაზე გასვლამდე, ქვემო სამგორის მშენებარე ობიექტების დირექციის უფროსია.

გულით კეთილს, დაუღალავს, ენერგიულსა და უზადო მშენებელს, ყველა ეუერებოდა და პატივს ცემდა.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

შალვა ახალკაცი

(1902-1979)

ალალი ქართველი, თანატოლებში სიდინჯითა და სიდარბაისლით გამორჩეული, ქართლის შუაგულ სოფელ დეანში დაბადებული ბატონი შალვა ახალკაცი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე შეუდგა დაუფლებული სპეციალობის პრაქტიკულ გამოყენებას. ბატონ შალვაზე ითქმის - ბედმა გაუღიმაო, რადგან მუშაობის დაწყება მოუხდა ისეთ გამოცდილ, ერუდირებულ, შემდგომში ჰიდრომელიორაციის დარგის მამამთავრად აღიარებულ ინჟინერთან, როგორიც პეტრე მამრაძე იყო. ნიჭიერმა ახალგაზრდა სპეციალისტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სამგორის სარწყავი სისტემის პირველი პროექტის შედგენაში, მაგრამ მაშინ მშენებლობის დაწყება ვერ მოესწრო. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა განხორციელდა პროექტით, რომლის მთავარი ინჟინერი ბატონი შალვა ახალკაცი იყო. ის სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა საპროექტო ინსტიტუტში „საქწყალპროექტში“ მთავარ ინჟინრად, მთავარ სპეციალისტად, ხან კიდევ განყოფილების უფროსად. ახალგაზრდა ინჟინრების მთელმა

პლეადამ გაიარა ბაგონ შალვას ხელში, მისი ხელმძღვანელობითა და შთაგონებით შედგენილია მრავალი სარწყავი სისტემის თუ დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის პროექტი.

ჩუმი, უწყინარი, თავმდაბალი და ტკბილმოუბარი - ასეთი იყო ბაგონი შალვა ახალკაცი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, დიდად ერუდირებული სპეციალისტი.

არჩილ ბიწკაია

(1902-1972)

სენაკის მაზრის სოფელ ნახარებავოში დაბადებულმა ჭაბუკმა საშუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო.

1923-1929 წლებში პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა მარტვილის, ლანჩხუთის და ქობულეთის რაიონებში.

1934 წელს, მოსკოვის წყალთა მეურნეობის საინქინრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქ. ფოთში, „კოლხეთმშენის" საპროექტო განყოფილებაში, სადაც მისი ხელმძღვანელობით შედგა 5000 ჰექტარზე გადაშლილი ნოღელა-ცხენისწყლის მასივის დაშრობის პროექტი. შემდეგ მას აწინაურებენ ჰიდროლოგიური განყოფილების უფროსის პოსტზე. 1937-1942 წლებში ბატონი არჩილი „კოლხეთმშენის" მთავარი ინქინრის და სამმართველოს უფროსის მოადგილის პასუხსაგებ მოვალეობას ასრულებდა.

1942-1947 წლებში საქართველოს მინისტრთა საბჭოს მთავარი საგზაო სამმართველოს უფროსად მუშაობდა.

1948 წლიდან ბატონი არჩილი მეცნიერების დარგში მოღვაწეობას კიდებს ხელს და საქართველოს ჰიდ-

როტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გადადის სამუშაოდ, ჯერ ჰიდროტექნიკის განყოფილების უფროსად, შემდეგ კი, 1950 წლიდან, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, ხოლო 1965 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის დაშრობის განყოფილების უფროსად.

1949 წელს დისერტაცია დაიცვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1962 წელს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს ანიჭებენ.

ერუდირებული, გულისხმიერი, პრინციპული და მომთხოვნი, მაგრამ გულკეთილი, თავმდაბალი - ასეთი იყო ბატონი არჩილი.

ივანე გვირგვლიანი

(1902-1972)

ლანჩხუთის რაიონის სოფელ მაჩსვარეთში გაზრდილმა ჭაბუკმა 1931 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის საინჟინრო მელიორაციული ინსტიტუტი, ინჟინერ-მელიორატორის სპეციალობით და იმავე წელს სამუშაოდ გაგზავნეს ქ. ქუთაისში, მაშველის არხის მშენებლობაზე. 1933 წელს დაინიშნა აბაშის წყალთა რაიონის გამგედ.

1940 წელს დასავლეთ საქართველოში ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ფართობების მომზადების სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით, ბატონი ივანე დაინიშნა „სეფიეთ-ვედიდკარის ჩაის მელიორაციის“ ობიექტების მშენებლობის უფროსად. დიდი სამამულო ომის დაწყების გამო მშენებლობა შეწყვეტილ იქნა და 1941 წლის სექტემბრიდან ისევ აბაშის წყალთა რაიონის გამგის თანამდებობაზე ბრუნდება, სადაც 1960 წლამდე მოღვაწეობს. 1960 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თბილისის მექანიკური მორწყვის სამმართველოში საგუმბი სადგურის უფროსად მუშაობდა. დიდი ამაგი მიუძღვის ბატონ ივანეს აბაშის რაიონში ჰიდროსამელიორაციო ღონისძიებათა გატარების საქ-

მეში. შრომისმოყვარე, გამოცდილი ინჟინერი, კეთილი და უწყინარი, ბატონი ვანო, დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა ყველგან, სადაც მას უმუშავია. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

მიხეილ მენაღარიშვილი

(1902-1970)

დაიბადა ქალაქ ბათუმში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით და მუშაობა დაიწყო საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს საპროექტო განყოფილებაში. 1936 წელს ბატონი მიხეილი სამელიორაციო სისტემების საექსპლუატაციო სამმართველოს უფროს ინჟინრად იქნა დანიშნული, 1941 წლიდან კი მე-4 ტერიტორიული განყოფილების უფროსია. 1952-1953 წლებში თბილისის ოლქის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე და მთავარი ინჟინერია. ოლქების გაუქმების გამო 1953 წლის გაზაფხულიდან ისევ ბრუნდება სამინისტროში და სიცოცხლის ბოლომდე საექსპლუატაციო სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო განყოფილების უფროსი ინჟინრის მოვალეობას ასრულებს.

თავმდაბალი, წყნარი, კულტურული, თავაზიანი და კეთილმოსურნე, ყოველთვის კოხტა, ელეგანტური და რაც მთავარია, ერუდირებული სპეციალისტი იყო ბატონი მიხეილი, რომელმაც მთელი სიცოცხლე მხოლოდ

ერთ კეთილშობილურ საქმეს - წყალთა მეურნეობას შეალია.

მიხეილ მენაღარიშვილს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

ირაკლი ბაგრეიანი

(1903-1987)

ამბროლაურის რაიონის სოფელ მუხლში დაიბადა წყალთა მეურნეობის მომავალი დიდოსტატი.

1926 წელს, თბილისის ჰიდროტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ჯერ ქუთაისის წყალთა ოლქში, მერე მუხრანის სარწყავი სისტემის საპროექტო-საგამოკვლევო სამუშაოზე. 1935 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით.

1937 წლამდე მუშაობდა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს აპარატში საპროექტო განყოფილების ინჟინრად. 1937-1940 წლებში შაორის ველის მელიორაციის საცდელი ობიექტების მშენებლობის უფროსია. 1941 წელს ბატონი ირაკლი ხაშურის წყალთა რაიონის უფროსად დაინიშნა, საიდანაც 1944 წელს გადაჰყავთ საქართველოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ აპარატში - სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის მთავარი სამმართველოს უფროსად და ხდება კომისარიატის კოლეგიის

წევრი. 1973 წლამდე, ვიდრე პერსონალური პენსია დაენიშნებოდა, მოღვაწეობდა და ხელმძღვანელობდა სამელიორაციო სისტემების ტექნიკურ ექსპლუატაციას. მდიდარი გამოცდილებითა და მაღალკვალიფიციურობით ეხმარებოდა დიდ კოლექტივს. პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობას აგრძელებდა სახელმწიფო მელიორაციულ ინსპექციაში. გამოცემული აქვს ნაშრომი „ირიგაციის განვითარება საქართველოში“.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

დავით გუნია

(1903-1992)

სენაკელი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, 1925 წელს შრომით საქმიანობას იწყებს ახალჩამოყალიბებულ საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს საპროექტო განყოფილების რიგით სპეციალისტად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი ამავე განყოფილების უფროსად დაინიშნა. ხელმძღვანელობის თვალთა არეს შეუმჩნეველი არ დარჩენია პერსპექტიული სპეციალისტი და ბატონი დავითი გაგზავნილ იქნა „კოლხეთმშენის“ სამმართველოში, სადაც წლების განმავლობაში საპროექტო განყოფილებას ედგა სათავეში. თბილისში „საქწყალპროექტის“ ჩამოყალიბების დღიდან (1940 წ.), ბატონი დავითი განუწყვეტლივ ეწევა შემოქმედებით შრომას ამ სახელგანთქმულ საპროექტო დაწესებულებაში. მისი შემოქმედებითი პოტენციალი ძირითადად დაშრობის პრობლემებზე იხარჯებოდა და ეს ბუნებრივი იყო, რადგან კოლხელ სპეციალისტს ჭაბუკობიდანვე აწუხებდა კოლხეთის ჭაობების ბედი და ოცნებობდა მისი დაშრობის საპროექტო ჩანაფიქრის განხორციელებაზე. ნახევარი საუკუნის მუ-

შაობის პერიოდში ბატონი დავითის ხელმძღვანელობით მრავალი საირიგაციო და დამშრობი სისტემის პროექტია შედგენილი და გამოშვებული

ერუდირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ენერგიულობითა და ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა. დინჯი, წინდახედული, სამეგობროში კაცური კაცის, ოჯახისა და საქვეყნო საქმისადმი ერთგული მამულიშვილის სახელი დატოვა ბატონმა დავითმა ამქვეყნად, რომლის კეთილდღეობასაც შეალია თავისი ლამაზი სიჭაბუკე და სიჭარმაგეც.



დავით ჯიენტი
(1903-1957)

ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში გაატარა ბავშვობა. 1924 წელს დაამთავრა თბილისის კულტექნიკური სასწავლებელი ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობდა თბილისსა და ფოთში გზატკეცილების მშენებლობაზე. 1927-1930 წლებში მუშაობდა სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოში უფროს ტექნიკოსად. 1935 წელს დაამთავრა ინდუსტრიული ინსტიტუტი ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში განყოფილების უფროსად. 1937-1939 წლებში რაჭაში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზეა. 1939-1941 წლებში საავიაციო ქარხნის მშენებლობაზე ბეტონის ქარხნის დირექტორია. 1941-1944 წლებში მობილიზაციით გზავნიან სამხედრო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე. 1944-1948 წლებში მუშაობს ამბროლაურის რაიონში სამრეწველო კომბინატის დირექტორად. 1948 წლის დეკემბრიდან იწყებს მუშაობას ტრესტ „სამგორწყალმშენის“ №2 სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად, შემდეგ ამავე სამმართველოს უფროსად. ბატონი დავითი იყო დიდი ენერგიის, ერუდირებული სპეციალისტი, გამოცდილი ხელმძღვანელი, ნიჭიერი ორგანიზატორი. საკმარისია

ითქვას, რომ სამეორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე მის სამოქმედო უბანში ყველა სახის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო მაღალი ხარისხით სრულდებოდა. მას არ უყვარდა ზერელედ, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღება. იყო მომთხოვნი, პრინციპული, ამასთანავე, კეთილმოსურნე. კაცური კაცი, ამიტომაც დიდი დაფასება ჰქონდა ყველგან, სადაც კი უმოღვაწია. მოულოდნელად წავიდა საყვარელი ოჯახიდან, სამუშაოდან, მეგობრებისგან.

ბონიფაციერ ტერ-პეტროსიანი

(1903-1987)

დაიბადა ქალაქ ბაქოში. 1931 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის მელიორაციული ინსტიტუტი ინჟინერ-მელიორატორის სპეციალობით და იმავე წელს დაიწყო მუშაობა თბილისში - „წყალპროექტში." 1933 წლიდან ბატონი აშოტი (ასე ვეძახდით მას) მუშაობას იწყებს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში და აქ, 1973 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე მოღვაწეობს. მან დიდი შრომა გასწია წყალსარგებლობის რთულ ხელოვნებას რომ დაუფლებოდა. ამიტომაც იყო, სახალხო კომისარიატის თუ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში, იგი, როგორც სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი, დიდ როლს ასრულებდა წყალსარგებლობის დარგში. პერსონალური პენსიის დანიშვნის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე „საქწყალპროექტში" მოღვაწეობდა უფროს ინჟინრად.

არშავირ ტერ-პეტროსიანს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.



თაგვლათ (ჰეტრე) ჩაჩავა

(1903-1975)

დაიბადა ქ. გუდაუთაში (აფხაზეთში). 1921 წელს თბილისში ამთავრებს რეალურ სასწავლებელს და სწავლას აგრძელებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1927 წელს, სამხედრო საავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს გალში – სამურზაყანოს არხის მშენებლობაზე, შემდეგ მუშაობს დიღმის მექანიკური მორწყვის სისტემის და ტირიფონის სარწყავი სისტემის სათავე უბნის მშენებლობებზე.

1930 წელს ბატონი თავლათი სწავლას აგრძელებს ამიერკავკასიის მელიორაციულ ინსტიტუტში.

1934 წელს ინიშნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად და მას უცვლელად ხელმძღვანელობს 1963 წლამდე. ამ პერიოდში აფხაზეთში მნიშვნელოვნად განვითარდა ჰიდრომელიორაცია, დაშრობილ იქნა ჭაობები, გასარწყავებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოში, უფროს ინჟინრად, შემდეგ

თბილისის ზონის რაიონებში მშენებარე ობიექტების დირექტორად.

ენერგიული, მომთხოვნი და ყურადღებიანი. კეთილი გულისა იყო ბატონი პეტრე.

მინიჭენბული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

მიხეილ გაგოშიძე

(1904-1988)

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრე-ბისთანავე ახალგაზრდა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი 1930 წელს მუშაობას იწყებს მშობლიურ ქალაქ ბათუმში, პორტში, უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, აგრეთვე, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც.

1932 წელს ბატონი მიხეილი საცხოვრებლად და სამუშაოდ გადადის თბილისში. იგი მოღვაწეობას იწყებს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1943 წელს ნიშნავენ საქნავთის კანტორის უფროსად, 1944 წელს გადადის თბილისის ნაგებობებისა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც ასრულებს უფროს მეცნიერ-თანამშრომლის მოვალეობას ჰიდროტექნიკის სექტორში. 1947 წელს ბატონი მიხეილი დაინიშნა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, სადაც მუშაობდა პენსიაზე გასვლამდე.

ბატონმა მიხეილმა 1940 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1953 წელს - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ბატონი მიხეილის სამეცნიერო შრომები გამოირჩეოდა ჭეშმარიტი მეცნიერისათვის დამახასიათებელი საგნის ღრმა ცოდნით, სიახლითა და ორიგინალობით. მისივე ხელმძღვანელობით განხორციელდა მთის მდინარეებში, მათ შორის, მდ. დურუჯზე ღვარცოფის რეგულირების ღონისძიებანი.

ბატონი მიხეილის თაოსნობით ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევდა სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის დარგის მუშაკებს - ყოველდღიურ საქმიანობაში.



ირაკლი ლორთქიფანიძე

(1904-1976)

დაიბადა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კიბეში. 1929 წელს დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი, 1934 წელს კი - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით, 1935 წელს მუშაობას იწყებს აჭარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე - ინჟინრად. 1938 წელს დაინიშნა აჭარის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 1940 წლიდან კი - უფროსად.

1950 წელს ირაკლი ლორთქიფანიძე კომუნისტური პარტიის მიერ მობილიზაციით სამუშაოდ იგზავნება აჭარისწყალის სასოფლო საბჭოში - კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1952 წელს ბატონი ირაკლი კვლავ უბრუნდება წყალთა მეურნეობის დარგს. 1964 წელს ინიშნება აჭარის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად, სადაც იმოღვაწა 1971 წლამდე - პენსიაზე გასვლამდე.

აჭარაში სამელიორაციო სისტემების, მორწყვითი და დაშრობითი მელიორაციის განვითარების საქმეში ბატონ ირაკლის დიდი წვლილი მიუძღვის. მისი უან-

გარო და ენერგიული შრომის შედეგად აღორძინდა აჭარის მთასა და ბარში წყალთა მეურნეობის დარგი.

ირაკლი ლორთქიფანიძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორისა და აჭარის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებები.



გრიგოლ (გრიშა)

ბალანჩინი

(1904-1975)

დაიბადა ქალაქ გუდაუთაში (აფხაზეთი). 1931 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოში, ინჟინერ-ინსპექტორად. 1936-1937 წელს იყო ბორჩალოს (მარნეულის) წყალთა რაიონის უფროსი, შემდეგ შირაქის წყალსადენების მშენებლობის მთავარი ინჟინერი.

1941-1958 წლებში თბილისის გარეუბნის წყალთა მეურნეობის რაიონის (სასისტემო სამმართველოს) უფროსია. იმ ხანად სამმართველო, რომელსაც ბატონი გრიგოლი ედგა სათავეში, ერთადერთი - მექანიკური მორწყვის სპეციალური სამმართველო იყო, რომელიც მძლავრი სატუმბი სადგურებით დიღმისა და სოღანლუღის სისტემას სარწყავ წყალს აწვდიდა 4 ათას ჰექტრამდე ფართობზე. 1959 წლიდან ბატონი გრიშა გადაჰყავთ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად. მისი ხანგრძლივი მუშაობა

(14 წელი), როგორც დარგის პროფესიონალისა, მეტად ნაყოფიერი იყო. 1973 წელს პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროს ინჟინრად.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

სიმონ (სერგო) ზერეკიძე

(1905-1958)

დაიბადა სოფელ ტირძნისში (გორის რაიონი). 1927 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო მშობლიურ რაიონში - ტირიფონის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე, სადაც მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სპეციალისტმა და ორგანიზატორმა. ტირიფონის სარწყავი სისტემის ექსპლუატაციაში გადაცემის შემდეგ ბატონი სიმონი გადაყვანილ იქნა გორის წყალთა რაიონის მთავარ ინჟინრად, შემდეგ კი დაინიშნა ამავე სამმართველოს უფროსად.

1938 წელს ბატონ სერგოს აწინაურებენ საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში ფართოდ გაიშალა წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა არსებული სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის დონის ამაღლებას.

1940 წელს ბატონი სერგო, ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, გაგზავნეს სამხრეთ ოსეთის ოლქში, ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმ-

ჯდომარედ, სადაც, მუშაობის სანგრძლივ პერიოდში, მისი თაოსნობით მრავალი საცხოვრებელი სახლი და საწარმოო ნაგებობა აშენდა. კეთილმოეწყო და დამშვენდა ქალაქი. სამოციან წლებში ბატონი სერგო ისევ თბილისშია და საპროექტო ინსტიტუტში აგრძელებს შემოქმედებით მოღვაწეობას. მას გვერდში ამოუდგა ვაეიშვილი ზაქარია, ნიჭიერი ინჟინერ-ტექნიკოსი, რომელიც ათეული წლის განმავლობაში „ჰიდროპროექტის“ დირექტორის მოადგილე იყო. ორივე ერთად საქვეყნო საქმეს აკეთებდნენ, მაგრამ მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ბატონი სერგოს სიცოცხლე, გულმა უმტყუნა და უდროოდ წავიდა საყვარელი ოჯახისა და მეგობრებისაგან.

დომენტი მელქაძე

(1905-1975)

დაიბადა ხონის რაიონის სოფელ ახალბედისეულში. 1934 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი მუშაობას იწყებს ჰიდროტექნიკისა და ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად. 1937 წლიდან ის „საქმშენტრესტის" აჭარის კანტორის უფროსია.

1939 წელს ბატონი დომენტი წყალთა მეურნეობაში იწყებს მოღვაწეობას და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ამ დარგს ემსახურება. 1946 წლამდე წულუკიძის წყალთა რაიონის გამგეა, 1946 წლიდან კოლხეთის სასისტემო სამმართველოს უფროსად გადაჰყავთ. 1959 წელს რეიორგანიზაციის გამო, ბატონი დომენტი დაინიშნა კოლხეთის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, მთავარ ინჟინრად, სადაც სიცოცხლის ბოლო დღემდე იმუშავა.

ბატონი დომენტი იყო მისთვის მინდობილი საქმის ერთგული, ენერგიული და კარგი ორგანიზატორი.

დომენტი მელქაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

შერმადინ სიხარულიძე

(1905-1979)

დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვოკაშენისუბანში. 1934 წელს დაამთავრა კიროვობადის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო წყალთა მეურნეობის დარგში. 1934-1936 წლებში ქუთაისში, მაშველის არსის სათავე უბნის მშენებლობის უფროსია, 1936-1942 წლებში სხვადასხვა უწყების, მათ შორის, სპეცდანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე, სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობს.

1942 წლიდან ისევ წყალთა მეურნეობის დარგს უბრუნდება. ჯერ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის ტექმომარაგების სამმართველოს უფროსია, 1943 წელს კი კასპის წყალთა რაიონის უფროსად დაინიშნა. 1946 წლიდან ხელმძღვანელობდა დოეს-გრაკალის სარწყავი სისტემის მშენებლობას. 1948-1950 წლებში მდ. დურუჯის ღვარცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების მშენებლობის „დურუჯმშენის“ უფროსია. 1951 წლიდან ტრესტ „წყალმშენის“ №1 წნორის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსად დაინიშნა.

1962 წელს შეიქმნა საძოვრების გაწყლოვანების ექსპლუატაციისა და არტეზიანული ჭების ბურღვის სამმართველო, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ბატონი შერმადინი. თავისი ორგანიზატორული და ინჟინრული ნიჭი ჩააქსოვა მან ახალი სამმართველოს ჩამოყალიბებაში. 1973 წელს ცალკე შეიქმნა ბურღვის სპეციალიზებული სამმართველო, რომლის უფროსიც ბატონი შერმადინი იყო.

ენერგიული, შრომისმოყვარე, კაცური კაცი და გულითადი მეგობრებით მდიდარი - ასე იცნობდნენ ყველგან ბატონ შერმადინს.

ირაკლი ბაგდასაროვი

(1906-1982)

თბილისელმა ახალგაზრდამ 1933 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოში. 1934-1940 წლებში ის ყარაიაზის (გარდაბნის) სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსია. შემდეგ გადაყვანილ იქნა სამელიორაციო ობიექტების მშენებლობაზე, მაგრამ 1941 წლის ნოემბერში მშენებლობა შეწყდა და ბატონი არშალუსი 1941-1943 წლებში წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის საწარმოო განყოფილების უფროსის მოვალეობას ასრულებდა, 1944 წლიდან ისევ ყარაიაზის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს, სადაც მოღვაწეობდა 1954 წლამდე - ვიდრე გარდაბნის (ყოფილი ყარაიაზის) სარწყავი სისტემის სამმართველო ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს შეუერთდებოდა. გაერთიანებული ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს მთავარ ინჟინრად იმუშავა 1959 წლიდან 1972

წლამდე, პერსონალურ პენსიაზე გასელამდე. ბატონი არშალუისი იყო ერუდირებული, გამოცდილი სპეციალისტი. წყნარი, გულისხმიერი ხელმძღვანელი. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

შალვა ყაბერიძე

(1906-1977)

ბაღდადის რაიონის სოფელ ობჩაში დაბადებული, ტექნიკურ განათლებას მოწყურებული ყმაწვილი, თბილისის ჰიდროტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს გზატკეცილების სამმართველოს მე-7 უბნის ტექნიკოსად. 1930-1931 წლებში სპეციალობის მიხედვით გორის წყალთა რაიონის ტექნიკოსია. 1931 წელს ბატონი შალვა კასპის წყალთა რაიონის უფროსად დაინიშნა. 1932 წელს ჩაირიცხა ინდუსტრიული ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, 1942-1946 წლებში საბჭოთა არმიის რიგებშია. იბრძოდა ბელორუსიის, ბალტიისპირეთის ფრონტებზე. 1946 წელს, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ბატონი შალვა უბრუნდება თავის თანამდებობას და სიცოცხლის ბოლომდე კასპის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსია. დარგის პროფესიონალი, კარგი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, პრინციპული და მომთხოვნი იყო სამუშაოზე, ამიტომაც კასპის სამმართველო ყოველ-

თვის მოწინავე სამმართველოებს შორის პირველ რიგში მოიხსენიებოდა.

შალვა გუმბერიძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

ლევან კიკნაძე

(1906-1988)

კვალითელმა ახალგაზრდამ, ზესტაფონის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლების მისაღებად დედაქალაქს მიაშურა და სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

ახალბედა ინჟინერი 1932 წელს მიემგზავრება ქ. ფოთში და მუშაობას იწყებს „კოლხეთმშენის“ სამმართველოს ტექნიკურ განყოფილებაში. აქ იგი ღრმად ეუფლება სპეციალობას, რის შემდეგაც მშენებლობაზე გადაჰყავთ სამუშაოდ - სენაკის სამშენებლო უბნის უფროსად. ამასობაში დიდი სამამულო ომი დაიწყო და ბატონი ლევანი ქუთაისში გაიგზავნა სპეცდანიშნულების ობიექტების მშენებლობის ხელმძღვანელად. 1942 წელს იგი დაინიშნა კოლხეთმშენის უფროსად. ომის პერიოდში ძირითადი სამუშაოები შეწყვეტილი იყო, მაგრამ სამმართველო ფუნქციონირებდა; 1946 წელს ბატონი ლევანი მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზეა. 1949 წელს კი მას ისევ „კოლხეთმშენის“ უფროსად აგზავნიან, როგორც გამოცდილ მშენებელ-ორგანიზატორს, დიდმნიშნელოვანი სამუშაოების ხელმძღვანელობას აკისრებენ. ცამეტი წელიწადი იმოღვაწა გრანდიოზულ მშე-

ნებლობაზე. ამ პერიოდში, აჭარიდან დაწყებული, აფხაზეთის ტერიტორიის ჩათვლით, უდიდესი მოცულობის სამუშაოები შესრულდა კოლხეთის მიწების დასაშრობად, ახალი სოფლების და სახელმწიფო მეურნეობების გასაშენებლად, ძველების კეთილმოსაწყობად. განახლებულ, გაჯანსაღებულ კოლხეთის მიწაზე ახალი სიცოცხლე დამკვიდრდა. ამაში რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა, ლევან კიკნაძემ, როგორც დიდმა მამულიშვილმა, ფასდადებული წელილი შეიტანა. 1963 წელს ბატონი ლევანი თბილისში გადმოდის სამუშაოდ - საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოში - კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად.

რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიის დანიშვნის შემდეგ, 1965 წლიდან ბატონი ლევანი შრომით მოღვაწეობას აგრძელებს კვების მრეწველობის სამინისტროში, მშენებარე ობიექტების დირექციის დირექტორად.

დახვეწილი ინტელიგენტი, წყნარი, გულმოწყალე, საქმეში მომთხოვნი, პრინციპული - ასეთი იყო ბატონი ლევანი ყოველთვის.

გიორგი (ჟორჟ) ჯაფარიძე

(1906-1977)

ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში დაბადებულმა ჭაბუკმა შრომითი საქმიანობა დაიწყო 1926 წელს, წყალთა მეურნეობის სისტემაში - ტოპოგრაფად. 1935 წელს, ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს „კოლხეთმშენში," სადაც 1944 წლიდან „კოლხეთმშენის" დირექციის დირექტორია. 1959 წლის 1 იანერიდან ბატონი გიორგი დაინიშნა კოლხეთის სასისტემო სამმართველოს უფროსად. ამ საექსპლუატაციო სამმართველოს მომსახურებაში შედიოდა ხობის, სენაკის, აბაშის რაიონების და ქ. ფოთის ტერიტორიაზე მოქმედი დამშრობი სისტემები და მდინარეების ნაპირდამცავი ნაგებობები.

1967 წელს, კოლხეთის სასისტემო სამმართველოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ბატონი გიორგი გადაყვანილ იქნა დასავლეთ საქართველოს რაიონებში მშენებარე წყალსამეურნეო ობიექტების დირექციის დირექტორად, სადაც იმუშავა 1977 წლამდე. პერსონ-

ალური პენსიის დანიშვნის შემდეგ დაემშვიდობა საყვარელ საქმეს. იყო კეთილსინდისიერი, ენერგიული, შრომისმოყვარე და გამოცდილი სპეციალისტი.

ბატონ გიორგის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

შალვა ახმეტელი

(1907-1972)

გამოჩენილი თეატრალური ხელოვანის სანდრო ახმეტელის ოჯახში დაბადებულმა ნიჭიერმა ყმაწვილმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1932 წელს მუშაობა დაიწყო საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობაზე. 1936 წელს მამის, სანდრო ახმეტელის რეპრესირებამ, ბუნებრივია, თავისებური გავლენა იქონია ახალგაზრდა სპეციალისტის ცხოვრებაზე, მის მომავალზე.

დიდ სამამულო ომში ბატონი შალვა სხვადასხვა ფრონტზეა, როგორც საბჭოთა არმიის სატრანსპორტო აკადემიის კურსდამთავრებული მეთაური, ხელმძღვანელობს მეომრებისათვის საველე გზების მოწყობას. ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ 1946-1952 წლებში მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს გზათა სამმართველოს სისტემაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო ობიექტებზე, ძირითადად, გზების მშენებლობაზე.

1952 წლიდან ბატონი შალვა სამუშაოდ გადადის წყალთა მეურნეობის სამინისტროში და სიცოცხლის ბოლომდე იქ მოღვაწეობს. იყო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, შემდეგ მექანიზაციის განყოფილების უფროსი, მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის მმართველი.

ერუდირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ერთგულად ემსახურა თავის საყვარელ პროფესიას. იყო პრინციპული, სპეტაკი, ყურადღებიანი და კეთილმოსურნე. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებს შორის, სამინისტროს მთელ კოლექტივში.

აკაკი ბაღათურია

(1907-1974)

1934 წელს დაამთავრა მოსკოვის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად. 1941 წლის მარტში გადაყვანილ იქნა წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატში, მეორე ტერიტორიული განყოფილების უფროსად, 1947-1949 წლებში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსის მოადგილეა. 1949-1953 წლებში იყო საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყალთა მელიორაციული ინსპექციის წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკაში. 1954 წლიდან სამინისტროში სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე და მთავარი ინჟინერია სიცოცხლის ბოლომდე. ბატონი აკაკი გახლდათ ერუდირებული, დიდი გამოცდილების სპეციალისტი სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის დარგში. ენერგიული, დაუზარელი და შრომისმოყვარე, გულფიცხი იყო, მაგრამ, მოსიყ-

ვარულე, ალალმართალი მეგობრობით გამოირჩეოდა. ავადმყოფმა გულმა ვეღარ აიტანა მაღალმთიანი ჯავახეთი და იქ მივლინების დროს გამოეთხოვა თავის საყვარელ საქმეს, ოჯახს, მშობლიურ ქუთაისს, სადაც დაიბადა და გაატარა სიჭაბუკე.

ბატონ აკაკის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

ანდრო გაბუნია

(1907-1969)

ბღვისპირელმა ჭაბუკმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ორი წელიწადი იმუშავა ფოთის ნავსადგურში მუშად. 1928 წელს კი შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ახლად ჩამოყალიბებულ „კოლხეთმშენის“ სამმართველოში ჯერ რიგით ინჟინრად, შემდეგ საქართველოს საექსკავატორო სადგურის საწარმოო განყოფილების უფროსად, მთავარ ინჟინრად.

1938-1940 წლებში ბატონი ანდრო მუშაობდა აჭარპესის მშენებლობაზე და ჰიდროპროექტში. შემდეგ კი საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერია, 1941 წლიდან - ახლად შექმნილი წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილე. ომის წლებში განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტების მშენებლობასაც ხელმძღვანელობდა. 1943 წელს იგი მშობლიური ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ფოთელებმა. ორი წლის შემდეგ საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობის „კოლხეთმშენის“ უფროსად ინიშნება. 1949 წელს კი ბატონი ანდრო სამგორის სარწყავი სისტემის მშე-

ნებლობის უფროსია, საიდანაც 1953 წელს ახლად შექმნილი საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ გადაჰყავთ. ამ უწყების რეორგანიზაციის შემდეგ ბატონი ანდრო ისევ წყალთა მეურნეობის დარგს უბრუნდება, მინისტრის პირველი მოადგილის ამპლუაში, სადაც მან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დაჰყო, ვიდრე სიკვდილმა საკუთარ კაბინეტში, საწერ მაგიდასთან არ შეუჩერა გულისცემა.

ყველგან, სადაც ბატონი ანდრო მუშაობდა, იგი ამჟღავნებდა იმ განუმეორებელ მაღალადამიანურ თვისებებს, რომელსაც მხოლოდ რჩეულ ადამიანებს ანიჭებს განგება. ამიტომაცაა, მის ნათელ ხსოვნას ასე სათუთად რომ ინახავენ არა მარტო მის მშობლიურ ფოთში, არამედ ყველგან, სადაც კი მას უმუშავია, უცხოერია.

ცხოვრობდა კაცური კაცის სახელით და სიკვდილსაც საგუშაგოზე მდგარი ჯარისკაციევით შეხვდა.

ისეთი მამულიშვილი, როგორიც რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ბატონი ანდრო იყო, უკვდავებად რჩებიან მშობელი ხალხის გულში.



იოსებ იმერლიშვილი

(1907-1993)

დაიბადა ს. ყვარელში. 1932 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი მშენებლის სპეციალობით. მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში. 1941-1942 წლებში ხელმძღვანელობდა სამხედრო ობიექტების მშენებლობას ჩრდილოეთ კავკასიაში. 1948 წლიდან მუშაობა დაიწყო წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში - ყვარლის სასისტემო სამმართველოს უფროსად. ამასთან, ასრულებდა დამკვეთის ფუნქციებს მდ. დურუჯის ნაპირსამაგრ ჯებირების (ღვარცოფის საწინააღმდეგო ნაგებობათა) მშენებლობაზე.

გამოცდილი სპეციალისტი, გულისხმიერი, ზედმიწევნით თავმდაბალი და პრინციპული, საქმის უზადო შემსრულებელი - ასე ვიცნობდით ბატონ იოსებს მისი კოლეგები. 1963 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე, როგორც იტყვიან, მუხლჩაუხრელად მუშაობდა ყვარლის რაიონის სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის გასაუმჯობესებლად. პენსიაზე გასვლის შემდეგაც დიდხანს

თანამშრომლობდა ყვარლის სამმართველოს კოლექ-
ტივთან და რჩევა-დარიგებით ეხმარებოდა ახალ-
გაზრდა სპეციალისტებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.
დარგის სპეციალისტები არ ივიწყებენ ბატონი იოსების
დიდ ამაგს.



ალექსანდრე მხეტვრიშვილი

(1907-1970)

ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანში დაბადებულმა 1935 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ტრესტ - „ინჟმშენში". 1936-1939 წლებში მუშაობდა ნატახტრის წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად.

1936 წელს დაინიშნა ქალაქ ფოთის მშენებარე წყალსადენის დირექტორად. 1941 წელს გადაყვანილ იქნა ქალაქ ფოთის წისქვილკომბინატის დირექტორად. 1951 წელს ის ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელია.

1952 წელს ბატონი ალექსანდრე მუშაობას იწყებს წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში - სართიჭალის წყალსადენის მშენებლობაზე - სამუშაოთა მწარმოებლად. მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი, სართიჭალის წყალსადენის სამმართველოს უფროსია, სიცოცხლის ბოლომდე. სამეორის ველზე ახლად შექმნილი სოფლების სასმელი წყლით მომარაგება მაშინაც დიდ შრომას და ჯაფას მოითხოვდა, რასაც

ბატონი ალექსანდრე თავდაუზოგავად ემსახურებოდა. მან კარგად იცოდა, რომ სადაც წყალია - იქ სიცოცხლეა. კეთილი გულის, მეგობრობაში კაცური კაცი, ავადმყოფობამ და დარდმა გატეხა. აღრე წავიდა ამ ქვეყნიდან, სადაც მისი ნათელი ხსოვნა წარუშლელი დარჩება მეგობართა გულში.

გრიგოლ (მიშა) ბაღიშვილი

(1908-1992)

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ბანძელი (მარტვილის რაიონი) ჭაბუკი, 1935 წელს მუგდიდში გაგზავნეს ახალშექმნილი წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად. ბატონი გრიგოლი ამ სამმართველოს 55 წელიწადი, პენსიაზე გასვლამდე, შეუცვლელად ედგა სათავეში. პენსიონერსაც არ შეუწყვეტია შემოქმედებითი საქმიანობა და მრჩევლად მუშაობდა მის ნაამაგარ სამმართველოში. ბატონმა მიშამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მდინარეების ნაპირსამაგრი ჯებირების კონსტრუქციების შერჩევასა და გამოყენებაში. მისმა გამოგონებებმა და რაციონალურმა წინადადებებმა ხუთი საავტორო უფლება დაიმსახურა.

იყო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის დოცენტი. მისი ინიციატივით, დამშრობი სისტემების ექსპლუატაციასთან ერთად, დაინერგა ჩაის პლანტაციების დაწვიმებითი

მორწყვა, რასაც წარმატებით იყენებდნენ დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

საქართველოს დამსახურებული მელიორატორი, ერუდირებული სპეციალისტი ბატონი მიშა გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით და უანგარო შრომით. იგი დიდი ენთუზიაზმით ემსახურებოდა კოლხეთის ცენტრში სამელიორაციო სისტემების ტექნიკურ ექსპლუატაციას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ზრდიდა ახალ კადრებს, მომავალ თაობას.



კალისტრატე ბერიძე

(1908-1998)

ამბორლაურის რაიონის სოფელ პატარა ონში დაბადებული 22 წლის ჭაბუკი 1930 წელს, თბილისის ჰიდროტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს ქ. ფოთში, „კოლხეთმშენის“ სამმართველოში გეოდეზისტ-ტოპოგრაფად. 1935 წელს სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიულ-გეოლოგიურ ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში ტექნიკოს კონსტრუქტორად. 1940 წელს ეძლევა განსაკუთრებული დავალება და მივლინებით იგზავნება თურქმენეთში. მივლინებიდან დაბრუნებული 1942 წელს მუშაობას იწყებს საგარეჯოს წყალთა რაიონში ბადიაურის ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად. 1944 წელს ბატონი კალე სამუშაოდ გადადის ქარელის წყალთა რაიონში, ქარელის ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად, სადაც ის დიდხანს მოღვაწეობდა და ბევრ სასიკეთო ჩანაფიქრსაც ახორციელებდა. მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით იქნა გაყვანილი ლეთეთის და წავლას არხები, ჩაუტარდა რეკონსტრუქცია სკრა-ქარელის არხს. 1950-1953 წლებში

ქარელის რაიაღმასკომის წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგეა. მუშაობს ბრეთის საბჭოთა მეურნეობის მთავარ მელიორატორად. პენსიაზე გასვლის შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას წყალთა მეურნეობაში და ახალგაზრდა სპეციალისტებს ეხმარებოდა პროფესიის ამაღლებაში.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

ნიკოლოზ გაბუნია

(1908-1986)

ქუთაითური ახალგაზრდა 1934 წელს, მოსკოვის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს ხრამჰესის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ კაშხლის პირველი უბნის უფროსის თანაშემწედ; 1938 წელს სამუშაოდ გადადის ჰიდროენერგოპროექტის თბილისის განყოფილებაში უფროს ინჟინრად. 1941 წლის დასაწყისში, ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, ბატონი ნიკოლოზი სამუშაოდ იგზავნება ტრესტ „კოლხეთმშენში“, სადაც ინიშნება მე-5 სამშენებლო უბნის უფროსად, მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით მშენებლობა შეჩერებულ იქნა, რის შემდეგ სამუშაოდ გაგზავნეს ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებაში, საიდანაც თავისუფლდება 1948 წელს და მუშაობას იწყებს „სამგორწყალმშენში“ საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროს ინჟინრად. 1950 წელს დაინიშნა მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსად. 1958 წელს ბატონი ნიკოლოზი მუშაობას იწყებს „საქწყალპროექტში“, ჯერ უფროს ინჟინრად, შემდეგ ჯგუფის უფროსად. 1964 წელს ინიშნება მელიორაციისა

და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსად, სადაც იმუშავა 1977 წლამდე - პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე. ბატონი ნიკოლოზი პენსიაზე გასვლის შემდეგაც მუშაობას აგრძელებს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში - საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე. გამოცდილი ინჟინერი, ხელმძღვანელი, ენერგიული, უმწიკვლო, ერთგული და უანგარო შემსრულებელი - ასეთი იყო ბატონი ნიკოლოზი.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

გიორგი მდივნიშვილი

(1908-1981)

დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში. 1928-1929 წლებში მუშაობდა ტექნიკოსად კასპის წყალთა რაიონში. 1937 წელს, ამიერკავკასიის სამელიორაციო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტი დანიშნეს ალაზნის სარწყავი სისტემის ლაგოდეხის უბნის უფროსად, შემდეგ აქვე მუშაობდა ინჟინრად. 1942-1946 წლებში საბჭოთა არმიაშია. იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. 1947 წლიდან ბატონი გიორგი მცხეთის წყალთა რაიონის უფროსია, საიდანაც 1953 წელს გადაიყვანეს ახალციხის სასისტემო სამმართველოს უფროსად. 1955 წელს ბატონი გიორგი სამუშაოდ გადადის ახლად ჩამოყალიბებულ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოში სარემონტო-სამშენებლო განყოფილების უფროსად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. დარგისადმი უზომო სიყვარულით, ის ყველგან ერთგულად, თავდადებით უძღვებოდა საქმეს, როგორც სარწყავი სისტემების ექსპლუატაციაზე, ისე ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობაზე,

ამიტომაც სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, სიყვარულითა და პატივისცემით.

უმწიკვლო, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გიორგი მდივნიშვილს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

შალვა სარჯველაძე

(1908-1978)

დაიბადა სოფელ ლესაში (ლანჩხუთის რაიონი). თბილისის ჰიდროტექნიკუმის დამთავრებისთანავე, 1929 წელს მუშაობას იწყებს ქ. ფოთში, კოლხეთის ჭაობების დაშრობის საკვლევ-საპროექტო ჯგუფში. 1931 წელს გადაჰყავთ ახალციხის წყალთა რაიონის უფროსის მოადგილედ. შემდეგ წლებში ის ალაზნის, მუხრანის, ბოლნისის, ქუთაისის და ხაშურის წყალთა მეურნეობის სამმართველოებში ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად მუშაობდა. 1940 წლიდან დოღლაურის არხის მშენებლობის პირველი უბნის უფროსია. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან ფრონტზეა. 1946 წელს დემობილიზაციით დაბრუნებული, მუშაობას იწყებს ახალციხის სასისტემო სამმართველოში ახალქალაქის ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად. 1954 წელს დაინიშნა ახალქალაქის სასისტემო სამმართველოს უფროსად. ბატონი შალვა ნიველირით ხელში თვითონ გეგმავდა არხების ტრასას, ძველი არხების აღდგენას და ახლის გაყვანასაც თავად ხელმძღვანელობდა. 1958 წლიდან თავისი სურვილით გადადის ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოში, „გამარჯვების“ უბნის უფროსად, შემდეგ საძოვრების გაწყლოვანების სამმართველოს უდაბნოს უბნის უფროსია, საიდანაც 1976

წლის იანვარში გადაყვანილ იქნა ყიზლარის საძოვრების სამმართველოს უფროსად. აქ, დაღესტნის ტრამალებში მან დიდი სამუშაოები ჩაატარა, გაიყვანა თვითდინების არხი და 3 ათას ჰექტრამდე ფართობი გაასარწყავა, რითაც შეიქმნა საკვები ბაზა ზამთარში საქონლის გამოსაკვებად. არ დასცალდა ბატონ შალვას თავის საყვარელ დარგში კვლავაც დიდი საქმეების კეთება. იგი ავტოავარიის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა. უდროოდ შეწყდა ენერგიული, დაუღალავი, სპეტაკი ადამიანის მაჯისცემა.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.



იროდიონ ფაღავაძე

(1908-1975)

ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში დადაბედულმა და გაზრდილმა 1935 წელს დაამთავრა საქართველოს სამშენებლო ინსტიტუტი. 1935-1938 წლებში მუშაობდა „ინკომშენში“, 1940-1941 წლებში - ქარელის რაიონში - „ძამაჰესის“ მშენებლობის უფროსია. დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე ფრონტის წინა ხაზზეა, სადაც მძიმე ჭრილობები მიიღო, დემობილიზაციის შემდეგ, 1945 წელს ბატონი იროდიონი ინიშნება მცხეთის წყალთა რაიონის გამგედ, სადაც 1962 წლის ბოლომდე იმუშავა. 1963 წელს დანიშნულ იქნა ახლად შექმნილი თეთრიწყაროს სასისტემო სამმართველოს უფროსად. 1966 წლიდან ბატონი იროდიონი ბოლნისის სასისტემო სამმართველოს უფროსად გადაჰყავთ, სადაც იმუშავა 1971 წლის ივლისამდე. დარგის გამოცდილ სპეციალისტსა და შესანიშნავ ორგანიზატორს ომში მიღებულმა ჭრილობებმა არ მისცეს

საშუალება უფრო მეტ ხანს ემუშავა თავისი საყვარელი პროფესიით.

ბატონ ირეოდიონს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

ბენიამინ მუჯვანაძე

(1909-1983)

აცანელმა (ლანჩხუთის რაიონი) ახალგაზრდა ინჟინერმა პირველი შრომითი ნათლობა 1933 წელს მიიღო ტრესტ „თბილინჟმშენში“ უბნის ინჟინრის თანამდებობაზე. შემდეგ მუშაობდა ხრამის ჰიდროელექტროსადგურის, თეთრი წყაროს რაიონში ქსავრეთის წყალსადენის მშენებლობებზე.

1947 წელს ბატონი ბენიამინი სამუშაოდ გადადის წყალთა მეურნეობის სისტემაში და სიცოცხლის ბოლომდე იქედან ფეხი არ მოუცვლია. იყო სამშენებლო სამმართველოს უფროსი და აშენებდა საცხენჰესს. 1952-1953 წლებში მარნეულის სასისტემო სამმართველოს ხელმძღვანელობდა. მუშაობდა წყალთა მეურნეობის სამინისტროში კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს განყოფილების უფროსად. 1955-1964 წლებში ზემო სამგორის სარწყავი სისტემის, ხოლო 1965 წლიდან ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის დირექციის დირექტორია.

გურული კილოთი მოსაუბრე, მაგრამ სრულიად განსხვავებული გურულებისაგან თავისი დინჯი ხასიათით, ტკბილმოუბარი და კეთილი გულის პატრონი იყო

ბატონი ბენიამინი. გამოცდილი სპეციალისტი, ერუდირებული, ხალასი, ამაგდარი, კეთილსინდისიერად ემსახურა საყვარელ პროფესიას, რომელიც საკუთარ პირმშოს - დავითს გადაულოცა და შეაყვარა. გამრჯე, შრომისმოყვარე, მუდამ საქმიანი, უმწიკვლო - ასეთი იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ბატონი ბენიამინ მჟავანაძე.

ვანო ნაკაიძე

(1909-1985)

თბილისში დაბადებული და დავაქკაცებული ნიჭიერი ახალგაზრდა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს ამთავრებს და 1929 წლიდან მუშაობას იწყებს წყალთა მეურნეობის სისტემაში. ჯერ მარნეულის, 1940 წელს კი გარდაბნის, ხოლო 1943 წლიდან ბოლნისის სარწყავი სისტემის სამმართველოს ედგა სათავეში. სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის თავისებურებებში საფუძვლიანად გაცნობიერებული, ბატონი ვანო 1952 წელს გადაჰყავთ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო განყოფილების უფროსად, სადაც რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიის დანიშვნამდე მუშაობდა. დინჯი, სპეტაკი, საქმისადმი ერთგული და ერუდირებული ხელმძღვანელი, - აი, ასეთს იცნობდნენ ბატონ ვანოს გარშემო მყოფნი, ამიტომ იყო, დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით რომ სარგებლობდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დიდ კოლექტივში.

თავისი დიდი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, პენსიაზე გასელის შემდეგ, მან ტექნიკური სახელმძღვანელო წიგნების გამოცემას მოახმარა.

ვანო ნაკაიძის ჰიდრომეტრიის სახელმძღვანელო სამაგიდო წიგნია და თაობებს გამოადგება სპეციალობის ასამაღლებლად - პრაქტიკულ საქმიანობაში.

ვანო ნაკაიძესა და მისებრ კეთილშობილ ადამიანებს დავიწყება არ უწერიათ.

იპოლიტე (ილია) სულაძე

(1909-1976)

ონის რაიონის ბარის სასოფლო სკოლის დამთავრების შემდეგ რაჭველი ჭაბუკი 1925 წელს თბილისში ჩამოვიდა საშუალო განათლების მისაღებად. 1936 წელს ის უკვე ამთავრებს თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტს და ახალბედა ინჟინერი ინიშნება საგარეჯოს რაიონის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად. 1937 წელს იპოლიტე სულაძე გორის წყალთა რაიონის გამგედ გადაჰყავთ. 1941 წელს ბატონი ილია წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსია, ცოტა ხნით სახალხო კომისრის მოვალეობასაც ასრულებდა. 1942 წელს ის უკვე ფრონტზეა - სატანკო ნაწილის მეთაური თავდადებით ებრძვის მომხდურ მტერს. მაგრამ მძიმედ დაჭრილს, საბოლოო გამარჯვებამდე მოუხდა ფრონტის დატოვება. გამოჯანმრთელების შემდეგ ბატონი ილია თავის პროფესიას დაუბრუნდა.

1946-1947 წლებში დოეს-გრაკალის არხის მშენებლობას ხელმძღვანელობს; 1951 წელს სათავეში ჩაუდგა ტრესტ „წყალმშენის“ № 1 სამშენებლო სამმართველოს, რომელიც ტაშისკარის სარწყავ სისტემას აშენებდა. 1954 წელს ბატონ ილიას მელიორაციისა და წყალთა

მეურნეობის მინისტრის მოადგილედ ნიშნავენ. 1956 წელს კი სამუშაოდ იგზავნება საპროექტო ინსტიტუტ „საქწყალპროექტში," მთავარი ინჟინრის მოადგილედ, სადაც სოცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

1963 წელს ბატონმა ილიამ დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს 1971 წელს სახელმწიფო ლაურეატის წოდება მიენიჭა - მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

კეთილი, უმწიკვლო და გამოცდილი სპეციალისტი დიდი სიყვარულით და რუდუნებით მოღვაწეობდა ყველგან, სადაც უმუშავია.

ნაადრევად დამორდა ბატონი ილია საყვარელ საქმეს, ოჯახს, მეგობრებს, რომლებიც მუდამ ტკბილად მოიგონებენ მის ნათელ სახეს.

ნიკოლოზ ფალავანდიშვილი

(1909-1988)

თბილისელმა ჭაბუკმა საშუალო განათლების მიღების შემდეგ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებული ერთწლიანი ჰიდრომეტრთა კურსები დაამთავრა. 1931 წელს მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჰიდრომეტრად, 1933 წელს კი ბორჩალოს წყალთა რაიონის ჰიდრომეტრად, ხოლო 1934 წლიდან ინიშნება ახალციხის წყალთა რაიონის უფროსად. 1942 წლიდან ბატონი ნიკოლოზი ახალციხის წყალთა რაიონის, შემდეგ ახალციხის სასისტემო სამმართველოს უფროსია. 1952 წელს დაინიშნა ბოლნისის სასისტემო სამმართველოს უფროსად, ხოლო 1963 წელს გადაყვანილ იქნა დებედა - ხრამის (მარნეულის) სასისტემო სამმართველოს უფროსად, სადაც იმუშავა 1979 წლის სექტემბრამდე - პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ემუშავა ტრესტ „წყალმშენში“ სხვადასხვა თანამდებობაზე. ბატონი ნიკოლოზი გამოცდილი პრაქტიკოსი, ენერგიული და გამრჯე, საქმის მცოდნე, კეთილსინდისიერად

ასრულებდა საკუთარ მოვალეობას, წარმატებით უძღვებოდა სამსახურსაც და დიდ, საყვარელ ოჯახს.

ნიკოლოზ ფალავანდიშვილს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

მიტროფანე ჩაქაძე

(1909-1985)

დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში. ზესტაფონის ეკონომიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შედის საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1933 წელს ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და შრომით საქმიანობას იწყებს რიონჰესის მშენებლობაზე, შემდეგ კი ხრამჰესის მშენებლობაზე აგრძელებს მუშაობას. 1940 წელს სამუშაოდ გადადის წყალთა მეურნეობის სისტემაში - ჯერ კოლხეთში დამშრობი სისტემების მშენებლობაზეა, ხოლო 1941 წლიდან ბოლნისის წყალთა რაიონის უფროსია. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან ფრონტზეა და 1944 წელს იქიდან დაჭრილი ბრუნდება. ისევ შრომითი საქმიანობა – „საქშახტმშენის“ კომბინატის ინჟინერია, 1947 წლიდან კი ქარელის წყალთა რაიონის უფროსის თანამდებობაზეა. 14 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით ქარელის რაიონში მნიშვნელოვანი წყალსამეურნეო ობიექტები ჩადგა ხალხის სამსახურში.

1962-1980 წლებში ბატონი მიტროფანე საძოვრების გაწყლოვანების სამმართველოს მთავარი ინჟინერია. პენსიაზე გასვლის შემდეგ მოღვაწეობდა საქართვე-

ლოს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტში.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

1949 წელი. ქარელის სასისტემო სამმართველოს კოლექტივი

ვალერიან ჭიჭინაძე

(1909-1987)

დაიბადა ქ. თბილისში. 1931 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის საინჟინრო-მელიორაციული ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში. 1942 წელს სამუშაოდ გადაჰყავთ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის სისტემაში. 1951 წელს ბატონი ვალერიანი ბრუნდება წყალთა მეურნეობის სამინისტროში და ინიშნება კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსად. 1954 წლიდან ის სამინისტროს კოლეგიის წევრია. 1960-1962 წლებში მიელინებული იყო საზღვარგარეთ, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1962 წლიდან კვლავ საკუთარ თანამდებობას დაუბრუნდა, სადაც იმუშავა 1975 წლამდე, პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე. შემდეგ ისევ წყალთა მეურნეობის სამინისტროშია სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე.

ბატონი ვალერიანი იყო დიდად განსწავლული, მაღალკვალიფიციური ინჟინერი, უმწიკვლო, პირში სიმართლის თქმის მოყვარული, უშიშარი, პრინციპული

და მომთხოვნი, კოლეგებისა და ხელქვეითების მოყვარული ადამიანი.

ვალერიან ჭიჭინავას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

ერვანდი (ერემო) ბერიძე

(1910-1995)

დაიბადა გორის რაიონის სოფელ პატარა გორიჯვარში. 1936 წელს თბილისში ამთავრებს ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტს, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. სამუშაოდ იგზავნება (განაწილებით) კურსკის ოლქში.

1937 წლიდან ბატონი ერემო მუშაობას იწყებს გორის წყალთა რაიონის მთავარ ინჟინრად, 1941 წლიდან კი ნიშნავენ ამავე სამმართველოს უფროსად. მაგრამ იმავე წლის დეკემბერში გაწვეულ იქნა ჯარში. იბრძოდა ყირიმის ფრონტზე. მრავალჯერ დაჭრილი, ომის დამთავრებისთანავე, დემობილიზაციის შემდეგ, ისევ თავის თანამდებობას უბრუნდება და აქტიურ მუშაობას ეწევა სარწყავი სისტემების ამოქმედებაში. პენსიაზე გასვლამდე, 1977 წლამდე ხელმძღვანელობდა ტირიფონისა და სალთვისის სარწყავი სისტემების ტექნიკურ მართვას, წყალსარგებლობის დისციპლინის განმტკიცებას. დაუღალავად, მუხლჩაუხრელად იღვწოდა საყვარელი საქმის საკეთილდღეოდ. პენსიაზე გასვლის შემდეგაც ემსახურა რაიონში შიდასამეურნეო წყალ-

სარგებლობის დანერგვას - რაიონის მთავარი მელიორატორის პოსტზე. ქართული იერსახის, უმწიკვლო, კეთილი, სამართლიანი, პრინციპული და მომთხოვნი პიროვნება იყო ბატონი ერემო.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

ზაქარია ბიძიხაშვილი

(1910-1976)

სოფელ ტიბაანის (სიღნაღის რაიონი) მკვიდრმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს მუშაობა დაიწყო ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, მასწავლებლად. 1940 წლიდან საბჭოთა არმიის რიგებშია. მონაწილეობს დიდ სამამულო ომში, საიდანაც 1944 წელს დაჭრილი ბრუნდება მშობლიურ რაიონში და სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობას ეწევა. 1946-1953 წლებში მშრომელთა დეპუტატების სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ ირჩევენ, ხოლო 1953-1961 წლებში სიღნაღის პარტრაიკომის პირველი მდივანია. სიღნაღის რაიონში მუშაობის პერიოდში რაიონის სოფლის მეურნეობა ამაღლდა და შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია, რაც ბუნებრივია, სოფლის მეურნეობის საფუძვლების ღრმა ცოდნამ განაპირობა.

ბატონი ზაქარია 1961 წელს გადაჰყავთ თბილისში, ჯერ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილედ, შემდეგ კი, 1963 წელს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის დარგში. ამ

თანამდებობაზე მოღვაწეობდა ის სიცოცხლის უკანასკ-
ნელ დღემდე. მინისტრის მოადგილედ მუშაობის პერ-
იოდში ბატონმა ზაქარიამ დიდი ამაგი დასდო სამე-
ლიორაციო სისტემების ექსპლუატაციის განვითარების
საქმეს.

ბატონი ზაქარია იყო სამართლიანი და ყურადღე-
ბიანი, გულწრფელი და გულღია, დიდთან - დიდი და
პატარასთან - პატარა, ნაღდი მამულიშვილი, კაცურ-
კაცობითა და კახური კოლორიტით გამორჩეული.
თავდავიწყებამდე უყვარდა სოფლის მეურნეობის დარ-
გი და მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე მასზე ფიქრსა
და ზრუნვას შეალია.

ამიტომ დაიმსახურა დიდი სიყვარული და პატივის-
ცემაც.

ნაადრევად დატოვა ძვირფასი ოჯახი, საყვარელი
კოლექტივი და სამეგობრო, სათაყვანო კახეთი და
მთელი საქართველო.

ფირუდინ ორუჯევი

(1910-1975)

გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარაში გააატარა სიჭაბუკე, წყალთა მეურნეობის მომავალმა ქომაგმა

1937 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. ახალგაზრდა ინჟინერს ევლახის (აზერბაიჯანი) წყალთა რაიონი ჩააბარეს მოსავლელად. შემდეგ მუშაობა გააგრძელა კიროვობადში აზერბაიჯანის მებამბეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1939 წელს ბაკონი ფირუდინი სამუშაოდ გადადის მშობლიურ რაიონში ყარაიაზის (ამჟამად გარდაბნის) სარწყავი სისტემის სამმართველოში ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად. 1941-1943 წლებში დიდი სამამულო ომის ფრონტზეა, საიდანაც დაჭრილი ბრუნდება. გამოჯანმრთელების შემდეგ მუშაობას იწყებს ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად. 1948-1950 წლებში გარდაბნის რაიაღმასკომის საგზაო განყოფილების უფროსია. 1950-1954 წლებში გარდაბნის რაიაღმასკომის წყალთა მეურნეობის განყოფილებას უდგას სათავეში, 1954 წლიდან ის ისევ გარდაბნის სარწყავი სისტემის სამ-

მართველოში ბრუნდება სამუშაოდ, ჯერ უფროს ინჟინრად წყალსარგებლობის დარგში, ხოლო 1967 წლიდან სამმართველოს მთავარი ინჟინერია. ენერგიული, საქმის მცოდნე და კარგი ორგანიზატორი იყო ბატონი ფირუდინი, მაგრამ ჯანმრთელობამ უმტყუნა და უცაბედად დააშორა მრავალწევრიან საყვარელ ოჯახს, სამსახურს და კოლექტივს.

კლიმენტი ხუციშვილი

(1911-1994)

სენაკის რაიონის მაღალმთიან სოფელ ეკში დაბადებულმა ახალგაზრდამ 1934 წელს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსმა მუშაობა დაიწყო „წყალპროექტის“ განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1940 წელს ალაგნის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსის მოადგილეა. 1941 წელს დაინიშნა გეოდეზიური და ზუსტი ხელსაწყოების სახელოსნოს დირექტორად. 1944-1952 წლებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორია წყალთა მეურნეობის ხაზით. 1952-1955 წლებში ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივნად მოღვაწეობს. 1955 წლიდან ბატონი კლიმენტი (ხუტა) ბრუნდება მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსად. 1962 წელს დაინიშნა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად, სადაც იმუშავა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე, რის შემდეგ მუშაობას აგრძელებს „საქწყალპროექტში,“ უფროს ინჟინრად.

ბატონი კლიმენტი იყო ერუდირებული სპეციალისტი, უმწიკვლო, სპეტაკი პიროვნება. სიმართლის, ალალი გულის, მომთხოვნი ხელმძღვანელი, რითაც დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ყველგან, სადაც კი მას უმუშავია.

ბრჩილ ბერიძე

(1911-1988)

სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში დაბადებულმა ჭაბუკმა 1930 წელს დაამთავრა თბილისის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი და შრომითი საქმიანობა დაიწყო ქობულეთის რაიონში. 1936 წლიდან იგი საგარეჯოს წყალთა რაიონში იწყებს მუშაობას ჯერ ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად, 1937 წლიდან კი სამმართველოს უფროსია. 1946 წელს ბატონი არჩილი გადაჰყავთ წულუკიძის წყალთა რაიონის უფროსად, რომელიც აგრეთვე სამტრედიის რაიონის მიწების მორწყვას ემსახურება, სადაც 1977 წლამდე მოღვაწეობდა. თავისი უანგარო და თავდადებული მუშაობით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა წყალთა მეურნეობის სისტემის მუშაკთა შორის. რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგ ისევ აგრძელებს მუშაობას მის მიერ დაფუძნებულ სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის სამმართველოში.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

ბატონი არჩილი იყო შრომისმოყვარე, პატიოსანი და საქმის ერთგული, სპეტაკი და ყურადღებიანი, გამოცდილი სპეციალისტი, რომლის ხსოვნაც მარად დარჩება მეგობართა გულებში.

გრიგოლ ზამბახიძე

(1911-1962)

გრიგოლ ნიკიფორეს ძე ზამბახიძე დაიბადა ქალაქ ფოთში. სხვათა შორის, ფოთში დაბადებულებსა და იქ დავაქკაცებულებს, - თბილისელებისა არ იყოს, დიახაც ეამაყებათ, რომ ისინი ერთ დროს კოლხეთის დედაქალაქად აღიარებული ქალაქის მკვიდრნი არიან... ბატონ გრიშასაც უყვარდა მშობლიური ქალაქი და შემთხვევითი როდი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ცხოვრებაში პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი, სწორედ მშობლიურ ქალაქში რომ გადადგა. 1932-1936 წლებში იგი, როგორც ჰიდროტექნიკოსი, მოღვაწეობდა „კოლხეთმშენში“ სხვადასხვა თანამდებობაზე. ამავე პერიოდში, ბატონი გრიშა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და იყო რა ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის დირექტორი, არაერთი ახალგაზრდა სპეციალისტი დააკვალიანა წყალთა მეურნეობის რთულსა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო ინტერესებით აღსავსე გზაზე.

1936 წელს გ. ზამბახიძე გადაჰყავთ დედაქალაქში, თბილისში, სადაც მას ნიშნავენ საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად. სწორედ ამ სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა 1941 წელს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატი, რომლის პირველი კომისარიც ბატონი გრიშა გახლდათ. დიდი სამამულო

ომის წინადღეებში, მისი უშუალო ხელმძღვანელობით ფართო მასშტაბით გაიზარდა ირიგაციული სისტემების ქსელი. ომის პერიოდში კი იგი სათავეში ედგა დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტების მშენებლობას.

რესპუბლიკის იმჟამინდელ ხელმძღვანელობას მხედველობიდან არ გამორჩენია ნიჭიერი კადრი - გ. ზამბახიძე და მას, როგორც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტსა და ხელმძღვანელ-ორგანიზატორს, ნიშნავენ ჯერ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგედ, ხოლო შემდგომ, 1948 წელს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. გრიგოლ ზამბახიძის სახელთან არის დაკავშირებული დედაქალაქის ღირსშესანიშნაობად ქცეული ბევრი სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტი, თბილისის მთელი რიგი უბნების სიმშვენიერე და მათი კოლორიტულობა...

სამოციან წლებში ბატონი გრიშა ქალაქ მოსკოვში სათავეში ედგა საქართველოს წარმომადგენლობას.

გ. ზამბახიძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, მის მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი წყლის ნაკადისა და მდინარეთა გამრუდებულ მონაკვეთებზე მყარი სხეულების მოძრაობის პრობლემა. ამ მიმართულებით ბატონ გრიშას მიერ გაწეული მეცნიერული, შემოქმედებითი შრომის შედეგები გამოქვეყნებულია მონოგრაფიაში (რომელიც 1967 წელს გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“).

ბატონი გრიშა ეკუთვნოდა ქართველ მოღვაწეთა იმ პლეადას, რომლებმაც სიცოცხლეშივე მოიპოვეს დიდი მამულიშვილის სახელი, მაგრამ ისე მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ გული დაწყვიტა მშობლიურ ფოთს, თბილისს, მთელ საქართველოს, საყვარელ ოჯახს, მეგობრებს, რომელთა მეხსიერებაშიაც მის ნათელ სახელს დავიწყება არ უწერია.

ლაზარე (ტოგო) სიმვულიანი

(1911-1978)

ოზურგეთელი ხელოსნის ოჯახში დაბადებულმა ტოგომ 1934 წელს დაამთავრა თბილისის რგ საგრანსპორტო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო მშობლიურ ქალაქში. 1940-1941 წლებში განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზეა. 1942 წლიდან კი მახარაძის წყალთა რაიონის გამგედ დაინიშნა. ოცდათხუთმეტი წელიწადი ემსახურა ბატონი ტოგო წყალთა მეურნეობის კეთილშობილურ საქმეს. გამოირჩეოდა პუნქტუალობით, კეთილსინდისიერებითა და საქმისადმი დიდი სიყვარულით. გამოცდილი, დინჯი, სპეტაკი სპეციალისტი წარმატებით ხელმძღვანელობდა ჰიდრომელიორაციას გურიის მხარეში, ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონებში.

1976 წლის ნოემბრიდან პენსიაზე მიდის და სამუდამოდ ეთხოვება თავის საყვარელ საქმეს.

ლაზარე სიმვულიდს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

გიორგი ქობულია

(1911-1987)

დაიბადა სოფელ ღანირში (სამტრედიის რაიონი). 1933 წელს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო აწჰესში, ინჟინრად. 1941-1944 წლებში მიელინებული იყო განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე - მთავარ ინჟინრად.

1944 წელს ბატონი გიორგი ინიშნება ტრესტ „წყალპროექტის“ მმართველად, ხოლო 1949 წელს გადაჰყავთ საქართველოს წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ. 1958 წლიდან 1976 წლამდე საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრია. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით აშენდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საირიგაციო ობიექტები, გაუმჯობესდა მოქმედი სამელიორაციო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია.

1978 წლიდან 1986 წლამდე იგი საპროექტო ინსტიტუტის „საქწყალპროექტის“ დირექტორი იყო, ხოლო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე გასელის შემდეგ, მთავარი სპეციალისტ-კონსულტანტის მოვალეობას ასრულებდა.

ერუდირებული, მაღალი დონის სპეციალისტი და ხელმძღვანელი, ავტორია რამდენიმე ნაშრომისა საინჟინრო ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის დარგში.

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ბატონი გიორგი ქობულია სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იყო.

დიდია და ფასდაუდებელი ბატონი გიორგის ამაგი წყალთა მეურნეობის დარგში, რაც არასდროს მიეცემა დავიწყებას.

დიმიტრი თაბაგარი

(1912-1978)

დაიბადა დაბა შოროპანში. თბილისის ჰიდროტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ იგზავნება ქ. ფოთში, „კოლხეთმშენის“ საგამოკვლევო-ტოპოგრაფიული ჯგუფის უფროსად, 1935 წელს სწავლა გააგრძელა ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ინსტიტუტში. 1941-1944 წლებში საბჭოთა არმიის რიგებშია. დემობილიზაციის შემდეგ 1944 წელს ინიშნება ზუსტი - გეოდეზიური სახელოსნოს გამგედ, ხოლო 1945 წელს გადაჰყავთ ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე უბნის უფროსად. 1947 წელს იგზავნება ბორჩალოს (მარნეულის) წყალთა რაიონის ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად. 1950 წელს ბატონ დიმიტრის აწინაურებენ და ინიშნება ახლად შექმნილ ასპინძის სასისტემო სამმართველოს უფროსად. 1954 წელს გადაჰყავთ მარნეულის სასისტემო სამმართველოს უფროსად, სადაც იმუშავა 10 წელიწადი, 1965 წელს ბატონი დიმიტრი თეთრი წყაროს სასისტემო სამმართველოს უფროსად გადაჰყავთ.

1973 წელს კი – პენსიაზე გავიდა.

ბატონ დიიტრის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

ბაჩილ ახვლედიანი

(1914-1991)

ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ინჟინერი, საყვარელი მამის რეპრესირების გამო დაჩაგრული, 1941 წელს მუშაობას იწყებს საგარეჯოს რაიონში, სარწყავი სისტემის მშენებლობაზე, სამუშაოთა მწარმოებლად. მაგრამ, დიდმა სამამულო ომმა მშენებლობა შეაჩერა და ბატონი არჩილი გადაყვანილ იქნა საგარეჯოს წყალთა რაიონში ინჟინრად, ხოლო 1943 წელს ამავე სამმართველოს უფროსად დაინიშნა. ენერგიული და შრომისმოყვარე, გამოცდილი სპეციალისტი ყველგან, სადაც მას უმუშავია, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით. საგარეჯოს სამმართველოდან ის გადაიყვანეს ალაგნის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად (1952), შემდეგ ახალქალაქის (1967) და ბოლოს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად (1971). მუშაობდა სარწყავი სისტემების მშენებლობაზეც. ბევრი სასიკეთო საქმე უკეთებია ბატონ არჩილს ყველგან, სადაც მას უმოღვაწია. რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ

პენსიაზე პენსიაზე გასვლის შემდეგ მოუსვენარ, შრომისმოყვარე სპეციალისტს უსაქმოდ რა გააჩერებდა. შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში დაიწყო მუშაობა, სადაც ჩვეული მონდომებით მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე.

გიორგი ნიშნიანიძე

(1913-1987)

სამტრედიის რაიონის სოფელ ვომიდან თბილისში ჩამოსული ჭაბუკი 1935 წელს ამთავრებს ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტს და ალაგნის სარწყავი სისტემის სამმართველოში იღებს პირველ პროფესიულ ნათლობას, სადაც ჰიდროტექნიკური უბნის უფროსობა მიანდვეს. 1938 წელს ის მარნეულის სარწყავი სისტემების სამმართველოს უფროსად დააწინაურეს. მარნეულში მან თავი გამოიჩინა, როგორც დარგის გამოცდილმა სპეციალისტმა-ორგანიზატორმა, ამიტომ იყო, რომ 1950 წელს ბატონი გიორგი ახლად შექმნილ თბილისის ოლქის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დანიშნეს. საქართველოში ოლქების გაუქმებასთან დაკავშირებით ბატონი გიორგი 1953 წელს ისევ მარნეულის სამმართველოს უბრუნდება უფროსად, მაგრამ, მალე მას აგზავნიან წალკის რაიკომის პირველ მდივნად, საიდანაც 1954 წლის იანვრიდან გადაყვანილ იქნა წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის დარგში.

1957 წელს ბატონი გიორგი ინიშნება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად, 1959 წლიდან კი ხელმძღვანელობს თბილისის მექანიკური მორწყვის სამმართველოს, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიის დანიშვნამდე, რის შემდეგ ბრუნდება მარნეულში და სიცოცხლის ბოლომდე სამმართველოში მოღვაწეობს ინჟინრის თანამდებობაზე.

გამოცდილი სპეციალისტი, ორგანიზატორი, რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი ბატონი გიორგი ნიშნიანიძე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა ყველგან, სადაც კი უმუშავია.

გრიგოლ ჩიგვაძე

(1914-1993)

დაიბადა საქართველოს უძველესი კულტურით სახელმოხვეჭილ ვანის რაიონის სოფელ ციხესულორში. შრომითი საქმიანობა 1931 წლიდან დაიწყო. 1941 წელს, ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ინჟინერ-მშენებელი სამუშაოდ იგზავნება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაზე. 1945-1948 წლებში აფხაზეთში სამელიორაციო სისტემების მშენებლობის უფროსი ინჟინერია. 1948-1951 წლებში ქუთაისის სასისტემო სამმართველოს უფროსია. 1952 წლიდან 1956 წლამდე ტრესტ „წყალმშენის“ საგეგმო-საწარმოო განყოფილების, ხოლო 1956-1962 წლებში ქუთაისის სასისტემო სამმართველოს უფროსად მუშაობდა. 1962-დან 1972 წლამდე ლილოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორია. 1972 წლიდან კი ტრესტ „წყალსაშენმასალების“ მმართველია, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა ერთხელ არჩეულ პროფესიას. ბატონი გრიგოლი ენერგიული, ერუდირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იყო. გამოცდილი ხელ-

მძღვანელი წარმატებით უძღვებოდა მნიშვნელოვანი საწარმოების საქმიანობას. ყურადღებიანი, გულისხმიერი და მზრუნველი იყო საყვარელ ოჯახშიც და საერთო საქმეშიც. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის და საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებები.

გიორგი

გრიგალაშვილი

(1915-1985)

ხაშურის რაიონის სოფელ თაგვეთიდან სრულიად ჭაბუკი ჩავიდა ფოთში, სადაც 1936 წელს დაამთავრა ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი. საშუალო ტექნიკური განათლების მქონე უბრუნდება მშობლიურ ხაშურს, სადაც მუშაობას იწყებს უბნის ტექნიკოსად. 1939-1941 წლებში მარნეულის წყალთა რაიონში ჰიდროტექნიკური უბნის უფროსია. დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან სამხედრო სამსახურშია. 1946-1948 წლებში ხაშურის წყალთა რაიონის ხაშურ-ბორჯომის ჰიდროტექნიკური უბნის თავკაცია. 1948 წლის აპრილიდან ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით სამუშაოდ გაიგზავნა რუსეთის სსფრ კურსკის ოლქში, სადაც სხვადასხვა წყალსამეურნეო ორგანიზაციებში საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. 1953 წელს, რუსეთიდან დაბრუნებული მუშაობას იწყებს ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად. 1955 წლიდან 1960 წლამდე ხაშურის სასისტემო სამმართველოს ჰიდროტექნიკური უბნის უფროსია. 1960-1962 წლებში ხაშურის წყალსადე-

ნის დირექტორის მოვალეობას ასრულებს. შემდეგ ხაშურის რაიონის ინჟინერ-მელიორატორია. ერთხანს ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობას ედგა სათავეში. 1966-1968 წლებში ისევ ხაშურის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოში იწყებს მუშაობას უფროს ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსად.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1968 წელს ბატონი გიორგი დაინიშნა ქარელის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე. ბატონი გიორგი იყო კვალიფიციური სპეციალისტი. დინჯი, ენერგიული და შრომის მოყვარული, უმწიკვლო, უმომოდ უყვარდა თავისი სპეციალობა. ნაადრევად წავიდა საყვარელი ოჯახიდან, საყვარელი საქმისგან.

დიომიდე (გრიშა) სულაძე

(1915-1996)

ონის რაიონის სოფელ ბარში დაბადებულმა 1939 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო მშენებლობაზე. 1941-1942 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. დემობილიზაციის შემდეგ, 1945 წელს მუშაობას იწყებს წყალთა მეურნეობის სისტემაში, ჯერ აფხაზეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის, 1946-1948 წლებში კი „ალაზანმშენის“ უბნის უფროსის, თანამდებობაზე. 1949-1952 წლებში ტრესტ „წყალმშენის“ №5 სამშენებლო სამმართველოს ედგა სათავეში და თეზიოკამის სარწყავ სისტემას აშენებდა. 1954 წლიდან ბატონი გრიშა სარწყავი სისტემების ექსპლუატაციაში გადაიყვანეს სამუშაოდ.

1954-1964 წლებში ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსია. 1964-1966 წელს თბილისის მექანიკური მორწყვის სამმართველოს უბნის უფროსად დანიშნეს. 1966 წლიდან კი მცხეთის სასისტემო სამმართველოს უფროსია პენსიაზე გასვლამდე - 1985 წლამდე.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ენერგიული და საქმის მოყვარე, დინჯი, პრინციპული და მომთხოვნი, ასეთი თვისებებით გამოირჩეოდა ბატონი გრიშა.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

დიმიტრი სოხაძე

(1916-1994)

რაჭველი ახალგაზრდა თბილისს უმაღლესი განათლების მისაღებად ეწვია. ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დიდ სამამულო ომში წავიდა სამშობლოს დასაცავად. ფრონტზე მრავალჯერ დაჭრილი საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოდა. ომიდან ვალმოსდილი დაბრუნდა და თბილისში დაიწყო შრომითი საქმიანობა. 1950 წელს ბატონი დიმიტრი პირველად მოვიდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში და სიცოცხლის ბოლომდე ფეხი არ მოუცვლია იქიდან. მუყაითი შრომითა და საქმისადმი უანგარო დამოკიდებულებით მალე მოიპოვა კოლეგათა სიყვარული და პატივისცემა. კარგი ორგანიზატორი იყო ეს კერკეტა, პატარა კაცი. იგი №11 მექანიზაციის სამმართველოს სამ ათეულ წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა და ერთგულად ემსახურებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი სისტემების არხების წმენდის, რემონტის, წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების თუ ახალი ობიექტების მშენებლობის საქმეს. გაჭირვების ტალკვესიო - ეს გამოთქმა სწორედ ბატონ დიმიტრის

შეიძლება მივუსადაგოთ. 1968 წელს დიდი წყალდილ-
დობის ჟამს, მდინარე მტკვარი მიწის დამბის გახლეჩას
ლამობდა გარდაბნის სამონადირეო ნაკრძალის მიდა-
მოებში... მაგრამ, ბატონი დიმიტრის მიერ საგრიანი და
დროული ზომების მიღების შედეგად კატასტროფა
თავიდან იქნა აცილებული.

მელიორაციისათვის საჭირო მძლავრი მექანიზმე-
ბის სამმართველოს შექმნით ბატონმა დიმიტრიმ ფას-
დაუდებელი საქვეყნო საქმე გააკეთა.

ნაომარი ჯარისკაცი, შრომითა და გარჯით გადაღ-
ლილი, საქმის ერთგული და შრომისმოყვარე, მიწასათ-
ხრელი მექანიზმების დიდოსტატი, რესპუბლიკის დამსა-
ხურებული ინჟინერი ვალმოხდილი გამოეთხოვა საყ-
ვარელ ოჯახსა და მეგობრებს, სათაყვანებელ საქმეს.

ზურაბ ლაბაძიძე

(1917-1981)

ქუთათურმა ახალგაზრდამ 1941 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ „საქწყალპროექტში“, ჯერ ინჟინრის თანამდებობაზე, შემდეგ პროექტის მთავარ ინჟინრად, 1961-62 წლებში ინსტიტუტის მთავარი ინჟინერია. 1962 წელს კი ბატონი ზურაბი საპროექტო ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. თხუთმეტი წელიწადი ხელმძღვანელობდა დიდ და სახელოვან საპროექტო ორგანიზაციას. 1977 წელს მან დირექტორობა ყოფილ მინისტრს დაუთმო და სიცოცხლის ბოლომდე მთავარ ინჟინრად მოღვაწეობდა.

დიდია ბატონი ზურაბის წვლილი სამელიორაციო სისტემების დაპროექტების საქმეში. როგორც ჭეშმარიტ, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს სჩვევიათ, იგი შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა: ავტორია მრავალი წინადადებისა და გამოგონებისა. მიღებული ჰქონდა საქართველოს სსრ ლაურეატობა.

თავმდაბალი, შრომისმოყვარე, დახვეწილი ინტელიგენტი, ამავე დროს, მომთხოვნი და პრინციპული იყო, რითაც ბატონმა ზურაბმა დიდი ავტორიტეტი და პატი-

ვისცემა დაიმსახურა წყალთა მეურნეობის კოლექტივში, სადაც იგი გამოირჩეოდა არა მარტო მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, არამედ კოლეგების გვერდით უანგარო თანადგომის ნიჭით.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, საყვარელი ოჯახიდან, მეგობრებისგან.

მიხეილ სხნაძე

(1923-1988)

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მშობლიურ სამტრედიის რაიონი დაიბადა ბატონი მიხეილი. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ახალგაზრდა თმახუჭუჭა ინჟინერი 1948 წელს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე ეზიარა პირველად პროფესიას, რომელსაც ბოლომდე უერთგულა. პედაგოგების ოჯახში აღზრდილი მისეილი მუყაითობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა მრავალრიცხოვან შრომით კოლექტივში, რაც მალე მისი დაწინაურების საწინდარი გახდა. 1960 წელს, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ტრესტ „სამგორწყალმშენის“ №3 სამშენებლო სამმართველოს უფროსად დაინიშნა. ბუნებრივია, გაფართოვდა მისი შრომითი მოღვაწეობის ასპარეზიც. მიხეილის თავკაცობით ქვემო ქართლის ბარაქიანი ხოდაბუნები დაისერა სარწყავი არხებით, ზოგი რკინა-ბეტონის ღარებით იყო ნაგები, ზოგი მილსადენებით, ზოგიც, უბრალოდ, მიწისა გახლდათ.

1974 წელს ბატონ მიხეილს, მის მიერ გაშენებული სარწყავი სისტემებისა და სატუმბი სადგურების ტექნიკური ექსპლუატაციის სამსახურის - მარნეულის სარ-

წყავი სისტემების სამმართველოს უფროსად ნიშნავენ. ეს რაიონი კლიმატურად მეტად ცხელი ზონაა და აქ მოურწყავად არც ერთი კულტურა არ ხარობს. აქაურმა გლეხმა კარგად იცის წყლის ყადრი და მორწყვის წესები. ამიტომ, სარწყავ წყალზე მოთხოვნა დიდია, მით უმეტეს, როდესაც ზაფხულის პერიოდში სარწყავი წყლის დიდი დეფიციტია და მისით ყველას დაკმაყოფილება ერთობ სიძნელეს წარმოადგენს. ასეთ დროს მდგომარეობის განსამუხტავად, წყალთა მეურნეობის სამმართველოს კოლექტივს დიდი ძალისხმევა მართებს. ბატონი მიხეილი წლების განმავლობაში წარმატებით უძღვებოდა ამ მეტად სასარგებლო და რთულ საქმეს.

მაშინ, როდესაც სიცხე და გვალვა ერთად ლამობდა მაშერალი გლეხკაცის დაჯაბნას, რაიონის მთელ ტერიტორიაზე, მდინარეების ხრამის, დებედას და ალგეთის წყლები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა გამართულ არხებში და მაცოცხლებელ წყალს აწვდიდა მოწყურებულ მცენარეს... ასე იყო ყოველთვის ბატონი მიშას თავკაცობის დროს. ამიტომაც მას ხალხი დიდად აფასებდა... მაგრამ, ნაჯაფ-ნაამაგარმა ორგანიზმმა ვეღარ გაუძლო ძლიერ დატვირთვას...

გულით ალალი, მიმნდობი, შრომისმოყვარე, შეგნებული პასუხისმგებლობით გამორჩეული, მეგობრებსა და კოლეგებს შორის თვალსაჩინო, მოსიყვარულე და მომფერებელი, ბატონი მიხეილი ნაადრევად დააკლდა ძვირფას ოჯახს, საყვარელ საქმეს და მეგობრებს.



ვალერიან სანიკიძე

(1923-1990)

დაიბადა სოფელ ნოქალაქევში (სენაკის რაიონი). ქ. ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის მეორე კურსიდან იგი პირდაპირ ფრონტის გზას გაუყენეს. დემობილიზაციის შემდეგ დაამთავრა ჰიდროტექნიკუმი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციული ფაკულტეტი და 1955 წელს მუშაობა დაიწყო კოლხეთის სასისტემო სამმართველოში ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად. 1968 წლიდან ამავე სამმართველოს მთავარი ინჟინერია. ბატონ ვალერიანს დიდი ამაგი მიუძღვის ხობის რაიონში დამშრობი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის გაუმჯობესების, აგრეთვე მდინარეებზე – რიონზე, ხობისწყალსა და ჭანისწყალზე წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების დანერგვის საქმეში. იყო ერთგული, კაცურკაცობით გამორჩეული, შრომისმოყვარე და დისციპლინირებული. ამიტომაც, დიდი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტთა შორის.

1981 წელს ბატონი ვალერიანი კოლხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად იქნა დაწინაურებული.

მძიმე სენმა უდროოდ ჩამოაშორა დარგის პროფესიონალი სპეციალისტი საყვარელ ოჯახს, სამსახურსა და სამეგობროს.

ოთარ სოხაძე

(1924-1998)

დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეურში. ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1945 წელს.

1947-1970 წლებში ბატონი ოთარი მუშაობდა ჯერ ახალციხის რაიკომის მდივნად, შემდეგ ბორჯომის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ. 1970 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კადრებისა და სპეცსამუშაოთა განყოფილების უფროსი.

თავაზიანი და კეთილმოსურნე, დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა სამინისტროსა და მთელი სისტემის თანამშრომლებს შორის. თავისი მშვიდი, წყნარი ხასიათით ხიბლავდა იგი ყველას, ვისაც კი მასთან რაიმე საქმე ჰქონია. სალხინო სუფრის მშვენება იყო. მისი ტკბილი, ხავერდოვანი ხმით შესრულებული სიმღერები, განსაკუთრებით „მრავალჟამიერი," დიდ ლაშათს მატებდა სუფრას.

მოულოდნელად, უდროოდ წავიდა მუდმივ სასუ-
ფეველში და აქ დატოვა ტკბილი, საყვარელი ოჯახი,
სამსახური და მეგობრები, რომლებიც მუდამ კეთილად
მოიგონებენ მის ნათელ სახელს, რომელსაც დავიწყება
არ უწერია.

ყორღანი (სულიკო) კახაია

(1925-1998)

ქუთათურმა ახალგაზრდამ 1954 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი - ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ახლად შექმნილ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოში სართიჭალის ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად. 1966 წელს ბატონი სულიკო სამუშაოდ გადაჰყავთ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტში სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსპექტორად.

1976 წელს ის უბრუნდება წყალთა მეურნეობის დარგს - მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემას და ინიშნება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად.

1985 წლიდან რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საქწყალმეურნეობის“ სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციისა და რემონტის სამუშაოების სამმართველოს უფროსია.

1991 წლიდან სახელმწიფო მელიორაციული ინსპექციის უფროსის მოადგილეა. აქ, ამ ინსპექციაში მუშაობდა ბატონი სულიკო სიცოცხლის ბოლომდე.

სულიკო იყო ერთსელ ამორჩეულ სპეციალობაზე უზომოდ შეყვარებული, პროფესიონალი, ყურადღებიანი და გულთბილი.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

ნიკოლოზ კრიწიშვილი

(1925-1999)

თბილისში დაბადებული კახელი ახალგაზრდა 1947 წელს ამთავრებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და სამუშაოდ მშობლიურ კუთხეში მიემგზავრება. წნორში, ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოში, იგი უბნის უფროსად ინიშნება. მუყაით, გამრჯე სპეციალისტს მალე სამმართველოს მთავარ ინჟინრად აწინაურებენ.

1951-1957 წლებში ბატონი ნიკო მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობაზეა, სამუშაოთა მწარმოებლად. შემდეგ წლებში აგრძელებს მშენებლობის ხაზით მუშაობას - ტრესტ „სამგორწყალმშენის" სისტემაში სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 1964 წლიდან ისევ ალაზნის სარწყავ სისტემას უბრუნდება - სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. 1973 წელს ბატონი ნიკო გადაჰყავთ საძოვრების გაწყლოვანების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსად. რთულია რესპუბლიკის საზამთრო და საგაფხულო საძოვრებზე განლაგებული გაწყლოვანების სისტემების მოვლა-შენახვა. ბატონი ნიკოს ხელმძღვა-

ნელობით უკაცრიელ, ტრიალ მინდვრებზე პირუტყვის სასმელი წყლით უზრუნველყოფას წარმატებით ართმევდა თავს სამმართველოს კოლექტივი. პენსიაზე გასვლის შემდეგ (1985) ბატონი ნიკო საპროექტო ინსტიტუტში „საქწყალპროექტში“ მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე.

გულისხმიერი, პირუთვნელი, გამრჯე და საქმის მოყვარული - გამოცდილი სპეციალისტი - ასეთი იყო რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი ბატონი ნიკო კრაწაშვილი.



დურმიშხან კვანტალიანი

(1927-1986)

დაიბადა მარტყოფის რაიონის სოფელ ნაგვაზაოში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1951 წელს მუშაობას იწყებს ქ. სოხუმში „მთავარგვირაბმშენის“ ობიექტების მშენებლობაზე, იქიდან გადაჰყავთ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე უბნის უფროსად. 1971 წლიდან ბატონი დურმიშხანი საქართველოს სოფლის მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შრომობს ჯერ სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსად. 1977 წლიდან მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში იწყებს მოღვაწეობას, ჯერ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისა და მექანიზაციის სპეცტრესტში უფროს ინჟინრად, შემდეგ „კოლხეთმშენის“ №5 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსია. 1979 წელს ბატონი დურმიშხანი ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს მთავარ ინჟინრად დაინიშნა. მისი ინიციატივითა და მონდომებით 1980 წ. ჩამოყალიბდა წყალსაცავების თბილისის საექსპლუატაციო სამ-

მართველო, რომელსაც სათავეში თავად ჩაუდგა. გამოცდილი სპეციალისტებისგან შექმნა ძლიერი კოლექტივი, რომელიც შეუდგა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ტექნიკურ ექსპლუატაციას, მათ კეთილმოწყობას. ბატონი დურმიშხანი საქმის ერთგული, გამრჯე, თავმდაბალი, უანგარო და კვალიფიციური სპეციალისტი იყო. საბედისწერო გამოდგა მისთვის კუმისის ტბაზე მოტორიანი კატარღით საკონტროლო შემოელა. შუაგულ ტბაში უმტყუნა გულმა კაცს, რომელსაც უამრავი ჩანაფიქრი ჰქონდა ტბის კეთილმოწყობისათვის.

უდროოდ ჩამოშორდა ჩვენი დურმიშხანი საყვარელ საქმეს, მეგობრებს, ოჯახს.

შალვა სიბოშვილი

(1927-2001)

საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში დაბადებულმა თბილისში მიიღო უმაღლესი განათლება. 1948 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სამუშაოდ იგზავნება ახალციხეში, ქვანახშირის კომბინატის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინჟინრად. 1951 წელს მუშაობას იწყებს ტრესტ „სამგორწყალმშენში", ჯერ სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ უფროს სამუშაოთა მწარმოებლად და სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად. 1963 წელს ბატონი შალვა დააწინაურეს ამავე ტრესტის მე-4 სამმართველოს უფროსად, სადაც იმუშავა 1987 წლამდე. 1987 წელს იგი დანიშნეს დუშეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად. 1992 წლიდან გარეჯის წყალთა მეურნეობის სარემონტო-საექსპლუატაციო საწარმოს უფროსია. პენსიაზე გასვლის შემდეგ ბატონი შალვა მუშაობდა ჰიდრომელიორაციულ-გეოლოგიურ ექსპედიციაში. კარგი მშენებელი,

შესანიშნავი ორგანიზატორი, გულისხმიერი, მაგრამ მომთხოვნი, ასეთი იყო რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ბატონი შალვა, ასე იცნობდა მას წყალთა მეურნეობის დიდი კოლექტივი.

ნუგზარ იმნაძე

(1928-1992)

ლანჩხუთელმა ახალგაზრდამ 1950 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით, სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციამშენებლობაზე, ჯერ სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ კი სამშენებლო სამმართველოს უფროსად. ხელმძღვანელობდა სამელიორაციო სისტემების მშენებლობას როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. დიდი ამაგი მიუძღვის მას თელეთის უნიკალური მექანიკური სარწყავი და აბაშის დამშრობი სისტემების მშენებლობაზე. 1974 წლიდან „სამგორწყალმშენის“ №3 სამმართველოს უფროსია, ხოლო 1980 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ბატონი ნუგზარი საქართველოს სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს ტრესტ „მტკვარწყალმშენს“ ედგა სათავეში. ამ პერიოდში ქართლში გრანდიოზული სამუშაოები იყო გაშლილი ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობისა და არსებულის რეკონსტრუქცია-განახლებისათვის. სამწუხაროდ, სწორედ ამ, მეტად მნი-

შენელოვანი სამუშაოების მიმდინარეობის დროს უმ-ტყუნა მას ჯანმრთელობამ.

ბატონი ნუგზარი, გამოცდილი სპეციალისტი და ხელმძღვანელი, სუფთა გურული კოლორიტით, მუდამ მუოსვენარი, გულით ალალი და შრომისმოყვარე იყო, პრინციპული და მომთხოვნიც. უდროოდ გამოაკლდა თავის საყვარელ ოჯახს, საყვარელ საქმეს, სამეგობ-როს.

ბატონ ნუგზარს მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

მიხეილ ინდაღმვილი

(1928-2001)

სოფელ ველისციხეში (გურჯაანის რაიონი) დაბადებულმა ჭაბუკმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1957 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჯერ ინჟინერ-მიწათმომწყობის სპეციალობით დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი უფროს ინჟინრად დააწინაურეს. 1963 წელს სამუშაოდ გადაჰყავთ მშობლიურ რაიონში უფროს ინჟინერ-მიწათმომწყობად, 1964 წელს მუშაობას იწყებს წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, ალაზნის სარწყავი სისტემის მე-2 ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად. 1975 წელს დააწინაურეს გურჯაანის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარედ. გაერთიანების გაუქმების გამო 1979 წელს ისევ გურჯაანის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოში ბრუნდება და ინიშნება 1-ლი ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად. ბატონი მიხეილი, გამოცდილი და თავდადებული მუშაკი გახლდათ, ამიტომაც, 1991 წელს სამმართველოს მთავარ ინჟინრად დანიშნეს. ახალ საპასუხისმგებლო თანამდებობას ბატონი მიხეილი ჩვეული მონდომებით, ერთგულებითა

და რუდუნებით ასრულებდა. ენერგიული, გამოცდილი სპეციალისტი, შრომისმოყვარე, ძალღონეს არ იშურებდა სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. სწორედ ასეთი თავდაუზოგველობის შედეგი იყო ის, რომ სამუშაოზე შეწყდა მისი სიცოცხლე. ბატონმა მიხეილმა სწორედ ისე, როგორც შეეფერება ჭეშმარიტ მამულიშვილს, საქვეყნო საქმეს შეალია თავისი შინაარსიანი ცხოვრება.

ბონდო კვატაშიძე

(1928-1973)

ქუთათურმა ყმაწვილმა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1949 წელს წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალპროექტში“ რიგით ინჟინრად დაიწყო მუშაობა. შემდეგ პროექტის უფროს ინჟინრად აწინაურებენ. 1957 წლის აპრილში ინიშნება ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ასპინძის რაიონებში სარწყავი სისტემების მშენებლობის უბნის ინჟინრად - მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით.

1958 წლის 6 ნოემბერს ბატონი ბონდო დაინიშნა ახალქალაქის სასისტემო სამმართველოს უფროსად. 1961 წელს ის გადაყვანილ იქნა „კოლხეთმშენის“ წულუკიძის სამშენებლო უბნის უფროსად, ხოლო ერთი წლის შემდეგ დააწინაურეს ტრესტ „კოლხეთმშენის“ უფროსად. 1970 წელს იგი დანიშნეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად. 1972 წლის ივლისში ბ. კვატაშიძე ინიშნება

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციალიზებული ტრესტის მმართველად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. გულისხმიერი, კეთილმოსურნე, ენერგიული, საქმისა და მეგობრების მოყვარული, ნაადრევად გამოეთხოვა წუთისოფელს.

გივი ტყეშელია

(1928-2001)

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯუმათში დაბადებული, ქ. ბათუმში ამთავრებს საშუალო სკოლას და შედის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ახალგაზრდა ნიჭიერი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი 1950 წელს ბრუნდება ბათუმში და მუშაობას იწყებს აჭარაში, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. მაგრამ მას გული მეცნიერული მუშაობისაკენ მიუწევდა და მალე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტი ხდება. აქედან იწყება მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. ბატონი გივი 1955 წელს წარმატებით იცავს დისერტაციას ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1985 წელს ასევე დიდი წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვის ჰიდრომელიორაციულ ინსტიტუტში.

1970-1981 წლებში, და 1970 წლიდან, სიცოცხლის ბოლო წუთამდე (ათწლიანი შუალედით), საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის კათედრას ხელმძღვანელობდა. ბატონი გივი ინიციატორი და აქტიური მონაწილე იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჰიდ-

რომელიორაციის ფაკულტეტის ჩამოყალიბების საქვეყნო საქმისა. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით მომზადდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგის ასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, რომლებიც ძირითად ბირთვს წარმოადგენენ სამელიორაციო სისტემების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დარგში.

დიდად განსწავლული მეცნიერ-პედაგოგი, გულთბილი, კეთილი და გულისხმიერი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსთა თაობების აღმზრდელი ბატონი გივი, ენერგიული და მეცნიერულ შრომას მოწყურებული მოულოდნელად დაშორდა საყვარელ ოჯახს, კოლეგებსა და მეგობრებს და მუდმივ სასუფეველში დაიდო ბინა.

ღმერთო, ნათელში ამყოფე კაცური კაცი, ვისი სახელიც დაუვიწყარი დარჩება, ვიდრე თუნდაც ერთი ჰიდროტექნიკოსი შერჩება საქართველოს სოფლის მეურნეობის საქვეყნო საქმეს.

სერგო ტყეშელი

(1928-2000)

ბღვისპირელმა ჭაბუკმა 1947 წელს დაამთავრა ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი და განაწილებით კასპის წყალთა რაიონში დაიწყო შრომითი საქმიანობა ჰიდროტექნიკური უბნის უფროსის თანამდებობაზე. საოცრად დინჯი გურული ახალგაზრდა, პირველად რომ დაშორდა მშობლიურ თბილ კერას, მალე შეეგუა დამოუკიდებელ ცხოვრებას ქართლის შუა გულში, სოფელ ახალქალაქში; წყნარი, ბეჯითი ტექნიკოსი სოფელმაც შეიყვარა და აქვე დაოჯახდა კიდევაც. 53 წელიწადი იმუშავა თავის საყვარელ კოლექტივში და ამ ხნის განმავლობაში სარწყავი სისტემის ტექნიკურ ექსპლუატაციას მაღალ პროფესიულ დონეზე განაგებდა. გამოცდილი სპეციალისტი, თავმდაბალი და უზადო შემსრულებელი ბატონი სერგო დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა ადგილობრივ მოსახლეობასა და სამმართველოს შრომისმოყვარე კოლექტივში. სპეტაკი, შრომისმოყვარე, ბეჯითი - ასეთი იყო ბატონი სერგო ყოველთვის და ამიტომაც დიდად აფასებდნენ მას კასპის რაიონში, სამინისტროში ბატონ სერგოს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

სამწუხაროდ, მოულოდნელად გულმა უმტყუნა ჯერ კიდევ ენერგიით სავსე ჭარმაგს და უდროოდ ჩამოშორდა საყვარელ ოჯახს, კოლექტივსა და საქმიანობას.

ალიოშა ჭაჭუა

(1928-1987)

მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში დაბადებულმა ჭაბუკმა 1951 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და იმავე წელს მუშაობა დაიწყო აფხაზეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოში, ინჟინრად. 1952-1960 წლებში აფხაზეთშივე მუშაობდა წყალსამეურნეო ობიექტის მშენებლობაზე ჯერ სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ უფროს სამუშაოთა მწარმოებლად. 1961 წლიდან კვლავ აფხაზეთის სასისტემო სამმართველოშია, მთავარ ინჟინრად. 1963 წლიდან კი ბატონი ალიოშა სამმართველოს უფროსად დაინიშნა და სიცოცხლის ბოლომდე ენერგიულად და წარმატებით უძღვებოდა დამშრობი და სარწყავი სისტემების ტექნიკურ ექსპლუატაციას, ახალი ტექნიკის დანერგვას, სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას. მაგრამ არ დასცალდა, როგორც იტყვიან, ცხოვრების შუა გზაზე უმტყუნა გულმა. შრომისმოყვარე, მოუსვენარი, უზადო შემსრულებელი, უმწიკვლო - უანგარო იყო ბატონი ალიოშა. მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე ალიოშა ჭაჭუამ საყვარელ პროფესიას შეალია და უდროოდ ჩამოშორდა საყ-

ვარელ ოჯახს, საყვარელ კოლექტივსა და დიდ სამეგობროს.

ბატონ ალიოშას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

იუზა მიქიაშვილი

(1929-2001)

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იუზა მიქიაშვილი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის დიპლომით 1954 წელს შრომით საქმიანობას იწყებს ქ. გაგრაში, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში. შემდეგ ზუგდიდის რაიონში, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში გადადის სამუშაოდ. 1970 წელს სოფლის წყალსადენების მთავარი სამმართველოს ინჟინერია, შემდეგ სოფლის წყალსადენების გარდაბნის ტერიტორიალური სამმართველოს უფროსი, ხოლო 1975 წელს ბატონი იუზა დანიშნულ იქნა კასპის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად, შემდეგ კი 1977 წელს ამავე სამმართველოს უფროსად. დიდი შრომა და ამაგი გასწია ბატონმა იუზამ კასპის რაიონის მიწების სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის, როგორც მექანიკური წყლის აწევით, ისე თვითდინებით. 1985 წელს ბატონი იუზა გადაყვანილ იქნა რსგ „საქწყალექსპლუატაციის“ განყოფილების უფროსის მოადგილედ, სადაც იმუშავა პენსიაზე გასვლამდე.

ბატონი იუზა დიდი ენერგიის მქონე, გამოცდილი სპეციალისტი, თავდადებით, საქმისადმი სიყვარულით და მთელი მონდომებით მუშაობდა ყველგან, სადაც მას უმსახურია. ალალი, მხიარული ხასიათის, კეთილი განწყობის, ნაადრევად წავიდა საყვარელი ოჯახიდან, მეგობრებიდან, მშობლიური ფოთიდან, სადაც დაიბადა და დაეკაცა.

ვლადიმერ ჩალაძე

(1929-1978)

სოფელ ბროლოსანის (ხაშურის რაიონი) მკვიდრი მოსწავლე ყმაწვილი 1941-1945 წლებში, ომის პერიოდში, კოლმეურნეობაში მუშაობდა და უფროსებს გვერდში ედგა. 1955 წელს, საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს გორის წყალთა მეურნეობის სამმართველოში ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსად. 1958-1960 წლებში ბატონი ვლადიმერი ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტია და იცავს საკანდიდატო დისერტაციას, რის შემდეგ სამხრეთ ოსეთის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს უფროსად ინიშნება. შრომისმოყვარე, ენერგიული და გამოცდილი ორგანიზატორი მალე გადაყვანილ იქნა სამხრეთ-ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსად. 1967 წელს ბატონი ვლადიმერი უბრუნდება თავის სპეციალობას და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში ინი-

შნება ახალი ტექნიკის დანერგვისა და წყლის რესურსების გამოყენების სამმართველოს უფროსად.

ბატონმა ელადიმერმა დიდი შრომა გასწია ახალი სოფლის წყალსადენების ექსპლუატაციის მთავარი სამმართველოს შესაქმნელად, რომლის უფროსადაც 1970 წლის 18 სექტემბერს დანიშნეს.

ახალი წამოწყების ინიციატორი, შრომისმოყვარე, ალალი გულის, მუდამ მოუსვენარი და მუყაითი, მეცნიერებით გატაცებული ბატონი ელადიმერი უანგაროდ და პატიოსნად შრომობდა ქვეყნის სასიკეთოდ. დიდი სამეგობრო ჰყავდა და მეგობრებთან ლხინისას, საუბედუროდ, გულმა უმტყუნა. ჭარმაგი, ენერგიით სავსე, სამომავლო გეგმებზე მეოცნებე ასე მოულოდნელად განშორდა საყვარელ ოჯახს, საქვეყნო საქმეს და ძვირფას სამეგობროს.

შოთა ბუთლიაშვილი

(1930-1996)

ლაგოლეხის რაიონის სოფელ შრომაში დაბადებულმა ყმაწვილმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს მუშაობა დაიწყო საქენერგოპროექტში. შემდეგ კი სსრკ „ავტომატმრეწვის“ რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორად. 1976 წლიდან უკვე „საქწყალპროექტის“ ავტომატიკისა და ტელემექანიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტია. მანამდე კი, 1964 წელს, მან უცხოელ სპეციალისტებთან ერთად გარდაბნის სარწყავი სისტემის ორი გამანაწილებელი არხის სათავე ნაგებობაზე ავტომატიური რეგულირების საცდელი ხელსაწყოების დაპროექტება დაიწყო. 1967 წელს ბატონი შოთა დამოუკიდებლად იწყებს გარდაბნის სარწყავი სისტემის მთლიანი ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის პროექტის შედგენას, რომლის მშენებლობა 1969 წელს დაიწყო. დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით ხელმძღვანელობდა ახალ მოწყობილობადანადგარების აწყობა-გამართვას; უანგარო და თავდადებული შრომის შედეგად 1975 წელს საქართვე-

ლოში პირველად განხორციელდა სარწყავი სისტემის მართვა ავტომატიკისა და ტელემექანიკის პულტიდან. მისმა პროექტმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა. ბატონი შოთა თბილისის სპეციალიზებული სამონტაჟო-გამართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბევრი ახალი პროექტის შედგენას ფიქრობდა, მუდამ ახლის ძიებაში იყო, მაგრამ არ დასცალდა. გულისხმიერი, ერუდირებული, შრომისმოყვარე, დიდებული სპეციალისტი მოულოდნელად, სამუშაოზე მიმავალი სამუდამოდ გამოემშვიდობა საყვარელ ოჯახს, მეგობრებს, საქმეს, რომელიც ასე თავდავიწყებით უყვარდა.

იოსებ სალუქვაძე

(1930-1984)

გურულ ახალგაზრდა კაცს ოზურგეთში საშუალო განათლების მიღების შემდეგ უცხთ მხარეს - ოდესაში მოუხდა უმაღლესი განათლების მიღება. იქ რუსული ენაც კარგად შეისწავლა, მაგრამ აქცენტი - კილო მაინც გურულისა გადაჰკრავდა. ინჟინერ-მშენებელი მალე საქართველოში დაბრუნდა და თავისი ცოდნა საყვარელ ქვეყანას მოახმარა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბქუჟაჰესის, ტყიბულჰესის და გუმათჰესის მშენებლობებზე, უფროს სამუშაოთა მწარმოებლად. 1961-1976 წლებში კი ბატონი სოსო მახარაძის რაიონის სამშენებლო ტრესტის მმართველია. მისი ხელმძღვანელობით ახალი საცხოვრებელი და სხვა სამოქალაქო-სამრეწველო ნაგებობებით დამშვენდა ქალაქი და რაიონის სოფლები.

1977 წელს იოსებ სალუქვაძე მახარაძის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნა და აქ მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე. გურული კოლორიტით გამორჩეული, მუდამ მოძრავი და შუბლგახსნილი, საოცრად სიტყვამოსწრებული, მართალი კაცი - კეთილი გულისა იყო. საწარ-

მოო თათბირებზე თუ სხვა შეხვედრებზე მისი გამოჩენა ტრიბუნაზე უცებ გამოაცოცხლებდა მოდუნებულ აუდიტორიას. თავისებური იუმორით გაამხიარულებდა იქ მყოფთ. მართალია, მას დიდი ხანი არ უმოღვაწია წყალთა მეურნეობის დარგში, მაგრამ ამ მოკლე დროშიც დიდი ამაგი დასდო და ბევრი კარგი საქმე გააკეთა სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის გაუმჯობესებისათვის. თავისი პროფესიულობით და კეთილი დამოკიდებულებით მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ადგილობრივ, ისე ზემდგომ ხელმძღვანელობაში, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ენერგიით სავსე, უდროოდ გამოაკლდა თავის ძვირფას ოჯახს, საყვარელ პროფესიას და საქმეს.

ნოდარ თხელიძე

(1931-1995)

დაიბადა ეორის რაიონის სოფელ სკრაში. შრომითი საქმიანობის პარალელურად 1961 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებელის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო წყალთა მეურნეობის სისტემაში ტრესტ „სამგორწყალმშენის“ №2 და შემდეგ №8 სამშენებლო სამმართველოებში, ჯერ სამუშაოთა მწარმოებლად, მერე კი საწარმოო-ტექნიკური და საგეგმო განყოფილების უფროსად.

1967 წელს მუშაობას იწყებს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში საექსპლუატაციო სამმართველოს ინჟინრის თანამდებობაზე.

1969 წელს დაინიშნა ბოლნისის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად, ხოლო 1971 წელს - ახალქალაქის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად. 1976-1980 წლებში ბატონი ნოდარი თეთრი წყაროს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსია. შემდეგ წლებში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში მოღვაწეობს, 1989-1993 წლებში გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველოს მთავარი

ინჟინერია. შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებაში მოღვაწეობდა.

ჰიდრომელიორაციის დარგის გამოცდილი სპეციალისტი ენერგიულად და გულმოდგინედ უძღვებოდა საყვარელ საქმეს, მაგრამ გულმა უმტყუნა და ნაადრევად გამოეთხოვა ოჯახს, საქვეყნო საქმეს და მეგობრებს.

გივი ხუციშვილი

(1931-1998)

თელაველი ახალგაზრდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1954 წელს მუშაობას იწყებს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში, ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოს ინჟინრად, შემდეგ თელავის სასისტემო სამმართველოს უფროსია. 1960 წელს ბატონი გივი სამუშაოდ გადაჰყავთ წყალთა მეურნეობის სამინისტროში, ექსპლუატაციის სამმართველოს ინჟინრად. 1962-1964 წლებში თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. 1964 წელს ბატონი გივი, ისევ უბრუნდება წყალთა მეურნეობის დარგს. ჯერ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სამმართველოს უფროსია, 1967 წლიდან კი - მექანიზაციის ტრესტის მმართველი. 1972 წელს ინიშნება ტრესტ „ალაგანმშენის“ უფროსად, 1976-1982 წლებში „საკსაქმელიორაციის“ საწარმოო-განმკარგულებელი სამმართველოს უფროსია. 1982-1996 წლებში „საქართველოს მთავარწყალმშენის“ მმართველის მოადგილეა, 1996 წლიდან ბატონი გივი გარდაცვალებამდე ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსი იყო.

მაღალკვალიფიციური, ენერგიული და შრომისმოყვარე ბატონი გივი გამოირჩეოდა კოლეგებთან გულკეთილი დამოკიდებულებით, რითაც სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

სამწუხაროდ, ბატონი გივი ნაადრევად განშორდა საყვარელ ოჯახს, სამეგობროს, სათაყვანებელ დარგს, მშობლიურ თელავს.

ბორის ინანსარიძე

(1933-1994)

ცხოვრების სანმოკლე, მაგრამ დიდი და ლამაზი გზა აქეს გაელილი ბატონ ბორისს. ნაღდი თბილისელი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის დიპლომით, 1959 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში. საპროექტო ინსტიტუტ „საქწყალპროექტში" გადაყვანის შემდეგ, მას სამუშაოდ გზავნიან უშუალოდ მშენებლობაზე, „კოლხეთმშენის" სისტემაში, ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

1973 წელს ბატონი ბორისი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარეა, საიდანაც იგი გადაჰყავთ „კოლხეთმშენის" მმართველად. სწორედ აქ, დიდ სამშენებლო ასპარეზზე, გამოჩნდა ბატონი ბორისის უაღრესად მაღალი ორგანიზატორული ნიჭი და საქმისადმი სიყვარული. იგი სრული პასუხისმგებლობით გრძნობდა იმ დიდ ისტორიულ მნიშვნელობას, რომელსაც კოლხეთის ჭაობების დაშრობა ჰქვია. ამიტომ იყო, მთელი ენერგიით, მონდომებით რომ შრომობდა წლების განმავლობაში, დასახული გეგმების შესასრულებლად. დინჯი, გულმოწყალე, კეთილი და ყურადღებიანი იყო ბატონი

ბორისი. საძმო-სამეგობრო წრეც დიდი ჰქონდა. საკმარისია ითქვას, რომ იგი ახალგაზრდა გამოჩენილი მწერლის, ტრაგიკულად დაღუპული გურამ რჩეულიშვილის უახლოესი მეგობარი გახლდათ...

კოლხეთიდან ბატონი ბორისი რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების, „საქწყალექსპლუატაციის“ უფროსის მოადგილედ გადაჰყავთ, ხოლო შემდეგ ბატონი ბორისის ინიციატივით ჩამოყალიბებულ რსგ „საქსოფწყალმომარაგებას“ ჩაუდგა სათავეში, სამწუხაროდ, ეს იყო მისი უკანასკნელი ნაბიჯი წყალთა მეურნეობის დიდ გზაზე...

ბატონი ბორისი იყო ერუდირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, გულთბილი, მოსიყვარულე, მომფერებელი ხელმძღვანელი, რასაც იგი შესანიშნავად უთავსებდა მაღალმომთხოვნელობასა და დისციპლინებულობას.

ბატონი ბორისის უდროოდ დაკარგვა, უღრუბლო ცაზე მეხის გავარდნა იყო როგორც მისი საყვარელი ოჯახისათვის, ასევე მისი მეგობრებისათვის.

გიორგი ბერიძე

(1933-1981)

დაიბადა ქ. ხაშურში. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ „საქწყალპროექტში“ უფროს ინჟინრად. 1965 წელს სამუშაოდ მიდის მშენებლობაზე ტრესტ „წყალმშენის“ №6 სამშენებლო სამმართველოში, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად. 1967 წლიდან კი ქარელის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერია, შემდეგ გადაჰყავთ მშობლიურ ქალაქში, ხაშურის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად. 1977 წელს ბატონი გაიოზი ამავე სამმართველოს უფროსად დაინიშნა. ენერგიული, კვალიფიციური და შრომისმოყვარე სპეციალისტი, გულმხურვალედ იყო შეყვარებული მელიორაციაზე, რითაც მან დიდი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა ყველგან, სადაც კი უმუშავია.

ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, მოულოდნელად გამოაკლდა არა მარტო ოჯახსა და ახლო მეგობრებს, არამედ წყალთა მეურნეობის დიდ კოლექტივს, რომელიც არასოდეს დაივიწყებს გაიოზ კალანდაძის სახელს.

ანზორ მუსერიძე

(1933-1993)

ონის რაიონის სოფელ სამთისში დაბადებული ჭაბუკი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1957 წელს სამუშაოდ იგზავნება სამშობლოდან შორეულ მხარეში - ჩელიაბინსკის ოლქში, განსაკუთრებული ობიექტების მშენებლობაზე, სადაც მუშაობა დაიწყო საგეგმო-საწარმოო განყოფილების ინჟინრად, შემდეგ სამუშაოთა მწარმოებლად, უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, მერე კი მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე დააწინაურეს... 1961 წელს საქართველოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს ტრესტ „სამგორწყალმშენში“ მე-3 სამშენებლო სამმართველოს საგეგმო-სამრეწველო განყოფილებაში ინჟინრად, შემდეგ გადაჰყავთ სამუშაოთა მწარმოებლად, მთავარ ინჟინრად. 1968 წელს კი ტრესტ „ალაზანმშენის“ მე-3 სამმართველოს უფროსად დაინიშნა. 1972 წლიდან წნორის მშენებლობის სამმართველოს უფროსია. 1976 წელს ბატონი ანზორი ინიშნება საკავშირო დაქვემდებარების სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად. ბატონი ანზორი ერუდირებული სპეციალისტი, გამოცდილი მშენებელი, ენერგიული, გუ-

ლისხმიერი და კეთილი გულის, მაგრამ საქმეში პრინციპული და მომთხოვნი იყო. მაშინ, როდესაც სამომავლოდ მნიშვნელოვან ამოცანების განხორციელებას გეგმავდა, ჯანმრთელობამ უმტყუნა და უდროოდ ჩამოშორდა საყვარელ ოჯახს, დიდ საქმესა და სამეგობროს, რომელიც სათუთად ინახავს მის ნათელ ხსოვნას.

ზურაბ ალავიძე

(1934-2001)

1960 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობით. ტრესტ „საქთეესმრეწეის“ სისტემაში მუშაობის ორწლიანი სტაჟით, 1962 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროში ჯერ ინჟინერ-ეკონომისტად, მერე კი უფროს ეკონომისტად.

1968 წელს ბატონი ზურაბი გადაყვანილ იქნა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „ორგწყალმშენის“ საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსად. შემდეგ ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილედ - ეკონომიკის დარგში. ამ თანამდებობაზე პენსიაზე გასვლამდე იმუშავა. თავმდაბალი, შრომისმოყვარე, ეკონომიკის დარგის პროფესიონალი, კეთილი გულისა იყო ბატონი ზურაბი, მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე, გულმართალ კაცს მამაცმა გულმა უმტყუნა და უდროოდ დატოვა ოჯახი, საყვარელი საძ-

მო, მეგობრები, მშობლიური ზესტაფონი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა.

იზოლდა ხვედელიძე

(1934-1998)

ხაშურელმა ქალიშვილმა 1952 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. 1957 წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა.

1960 წელს ქალბატონი იზოლდა დანიშნეს ხაშურის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოში ჯერ უფროს ინჟინრად, შემდეგ კი მთავარ ინჟინრად. 1981 წელს სამმართველოს უფროსად დააწინაურეს. მან გამოამჟღავნა მაღალი პროფესიონალიზმი, სპეციალობის ღრმა ცოდნა, ორგანიზატორული ნიჭი, მაგრამ, ვაი, რომ ამ მომხიბლავმა ქალბატონმა, რომელშიც ასე საოცრად იყო შეზავებული კდემამოსილება და შემართება, ვერ შეძლო თავისი ცოდნა და ენერგია ბოლომდე გაეხარჯა საყვარელი საქმის განვითარებისათვის. ჯანმრთელობის გაუარესების გამო 1982 წლის მაისიდან საკუთარი თხოვნით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

გამოცდილი სპეციალისტი, შრომისმოყვარე, კეთილმოსურნე, უანგარო ხელმძღვანელი, პრინციპული -

ასეთი ბრძანდებოდა ქალბატონი იზოლდა, რითაც პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა არა მარტო ხაშურის სამმართველოს კოლექტივში, არამედ სამინისტროს სისტემაშიც.

ქალბატონი იზოლდა იმითაც იყო გამორჩეული, რომ იგი წყალთა მეურნეობაში მოღვაწე, თითზე ჩამოსათელელ ქალთა იმ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ მათაც ძალუძთ სიცოცხლეშივე დაიდგან უკვდავების სიმბოლოდ ქცეული – მწვანე ობელისკები!

შალვა დობორჯგინიძე

(1935-1995)

დედაქალაქში დაბადებულმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1958 წელს მუშაობა დაიწყო სიონის წყალსაცავის ჰიდროკვანძის მშენებლობის ოსტატად. შემდეგ იგი გადაჰყავთ საპროექტო ინსტიტუტის „წყალპროექტის“ უფროს ინჟინრად. 1963-1967 წლებში მოსკოვში ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტია. 1967 წელს ჩამოდის თბილისში და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „ორგწყალმშენის“ განყოფილების უფროსად ნიშნავენ. 1970-1974 წლებში ბატონი შალვა ტრესტ „ალაგანმშენის“ მთავარი ინჟინერია, საიდანაც სამუშაოდ მიელინებული იყო საზღვარგარეთ - კუბაში. 1977 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს მინისტრთა საბჭოს განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1981 წელს ბატონი შალვა ისევ მივლინებით მიემგზავრება საზღვარგარეთ - ერაყში. 1984 წელს კი ინიშნება საქართველოს სახელმწიფო აგრომრეწვის კაპიტალური მშენებლობის მთავარი

სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსად. 1986-1995 წლებში იყო რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალმეურნეობის“ უფროსის პირველი მოადგილე, შემდეგ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სიცოცხლის ბოლომდე.

ბატონი შალვა იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ენერგიული, კეთილი გულის, მეგობრების მოსიყვარულე. იგი უდროოდ დაშორდა ოჯახს, საყვარელ საქმეს, მეგობრებს.

ჯემალ ტვილდიანი

(1935-1987)

რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი თავიდანვე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, დისციპლინით, ინტელიგენტობით.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 23 წლის ჭაბუკი აქტიურად შეუდგა შრომით შემოქმედებას. მისი პროფესიული დაოსტატება საპროექტო ინსტიტუტ „საქწყალპროექტში" დაიწყო. შემოქმედებითი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა მალე პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორად დააწინაურეს.

1973 წელს, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი ბატონი ჯემალი თავის საყვარელ პროფესიულ საქმიანობას დაუბრუნდა, მას ნიშნავენ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აპარატში მელიორაციის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად, ხოლო ერთი წლის შემდეგ - სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსად.

ბატონი ჯემალი ჭეშმარიტი ინტელიგენტი და კოლორიტული პიროვნება გახლდათ. კეთილმოსურნესა

და ყურადღებიანს არ ეშლებოდა მომთხოვნი და პრინციპული ყოფილიყო. უყვარდა ახალგაზრდა სპეციალისტების დაკვალიანება და მზრუნველობას არ აკლებდა მათ. გადამეტებული როდი იქნება ვთქვათ, რომ მისი თანადგომით ბევრმა ახალგაზრდამ გაიკვალა გზა პირად ცხოვრებაში.

ომახიანად იცოდა გამხნევება გულგატეხილისა... ალალი, გულმოწყალე, მომფერებელი და მოსიყვარულე - ასეთი გვახსოვს ბატონი ჯემალი.

სიცოცხლის ბოლო წელს იგი „საქსახაგრომრეწვის“ კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს უფროსად მუშაობდა, მაგრამ წყალთა მეურნეობის საქმიანობას არ ჩამოშორებია... მთავარი კი ის გახლავთ, რომ სადაც უმუშავია და უცხოვრია ბატონ ჯემალს, ყველგან სიკეთე უთესია, ამიტომ იყო, რომ მას პატივსცემით ეკიდებოდა არა მარტო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დიდი კოლექტივი, არამედ ქუთაისიც, სადაც დაიბადა და დავაქაცდა, ფოთის საზოგადოება, რომელსაც ჯემალის სახით სასიქადულო სიძე ჰყავდა... ერთი სიტყვით, ჯემალი უყვარდათ საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც მას ფეხი დაუდგამს და ადამიანებთან კეთილი ურთიერთობა ჰქონია.

დასანანია, რომ ნაადრევად წავიდა ჩვენი ჯემალი ოჯახიდან, სამეგობროდან, ქვეყნიდან, რომელიც ასე გულმხურვალედ უყვარდა.

გურამ ჩხიკვაძე

(1936-1999)

ბატონი გურამი მესტაფონელი იყო. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1960 წელს, მუშაობა დაიწყო წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში - ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე, ჯერ ოსტატად, შემდეგ უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, №8 სამშენებლო სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად. 1971 წელს ბატონი გურამი დაინიშნა ბოლნისის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად, 1973 წლიდან კი ამავე სამმართველოს უფროსად. მისი თაოსნობით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და მოწესრიგებულ იქნა მაგისტრალური და გამანაწილებელი არხები, განმკტიცდა წყალსარგებლობის დისციპლინა. 1986 წელს ბატონი გურამი გადაყვანილ იქნა რსგ „საქწყალექსპლუატაციის“ საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსის მოადგილედ, ხოლო 1996 წელს დაინიშნა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

ბატონი გურამი იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, კეთილშობილი, დინჯი, თავმდაბალი და უწყინარი, საქმის უანგარო შემსრულებელი. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება.

უცაბედმა სიკვდილმა უდროოდ ჩამოაშორა საყვარელ ოჯახს, კოლექტივსა და მეგობრებს, რომელთა გულშიაც სამუდამო ბინა ჰპოვა მისმა სახელმა.

სულიკო ჯაჭვაძე
(1936-2000)

დაიბადა გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერემში. მისი ჭაბუკობისას, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის პერიოდში (1952-1954), მაღალმთიან ზონიდან ბარში - სამგორის ველზე დასახლებულ იქნა მრავალი ოჯახი, მათ შორის გიორგი ჯაჭვაძის ოჯახი, რომელსაც სოფელ გამარჯვებაში ტრიალ მინდორზე აშენებული ერთ-ერთი სტანდარტული სახლი ერგო. ბატონი გიორგი, მისთვის სრულიად უცნობ საქმეს შეეჭიდა - მერუედ აირჩია სოფელმა და სარწყავი წყლის სოფელში მოყვანა და განაწილება დაავალა. მოეწონა მას ეს საქმე და შვილი, სულიკო, ფოთის ჰიდროტექნიკუმში გაგზავნა სპეციალური განათლების მისაღებად. კარგად გაიაზრა ელეხკაცმა - სამგორში ჰიდროტექნიკოსები ყოველთვის საჭირო იქნებოდა.

1962 წელს ახალგაზრდა სპეციალისტი მუშაობას იწყებს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოში პირველი საფეხურიდან - არხის შემომველელად, შემდეგ ჰიდრომეტრიას დაეუფლა და ჯერ უბანში, შემდეგ კი სამმართველოში ხელმძღვანელობდა ჰიდრომეტრიულ სამსახურს. გულმოდგინე ახალ-

გაზრდა ბევრს მუშაობდა საკუთარი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სპეციალური კურსებიც დაამთავრა. 1973 წელს ის ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოში წყალსარგებლობის უფროსი ინჟინერის თანამდებობაზე დაინიშნა. ბოლოს დაწინაურებულ იქნა ზედა მაგისტრალური არხის უფროსად. ყველგან, სადაც ბატონი სულიკო მუშაობდა, გამოირჩეოდა მუყაითი შრომით, დიდი პრაქტიკული გამოცდილებით, სიდინჯით და კეთილსინდისიერებით. წლების განმავლობაში პროფკავშირის ხაზით იცავდა კოლეგების უფლებებს.

სულიკო ჯაჭვაძე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა წყალთა მეურნეობის მუშაკთა შორის. ენერგიით სავსეს, ჭარმაგ, ნაჯაფსა და ნაამაგარს, სამსახურში უმტყუნა გულმა. უდროოდ განშორდა ბატონი სულიკო საყვარელ ოჯახს, შრომით კოლექტივს, ყველას - ვის გულშიაც დაუვიწყარი ნათელი კვალი დატოვა.

გიორგი (გივი) გოგინაშვილი

(1937-1989)

გორის რაიონის სოფელ ქურთადან ჩამოსულმა ნიჭიერმა ჭაბუკმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1958 წელს იგი მუშაობას იწყებს საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოში, უფროს ინჟინრად, შემდეგ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტში განყოფილებას უდგას სათავეში, ხოლო 1971-1978 წლებში საქ. გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური მელიორაციული პარტიის უფროსია. 1973-1978 წლებში მოისმინა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურის სრული კურსი.

ბატონი გივის აქტიური მონაწილეობით 1978 წელს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნა ჰიდროგეოლოგიური მელიორაციული ექსპედიცია, რომლის უფროსად თავად გივი დაინიშნა. მისივე ხელმძღვანელობით 1979-1980 წლებში პირველად დაიწყო ტენიანობის მასობრივი გაზომვების საშუალებით რწყვის ვადების კორექტირების რუქების შედგენა. ამავე პერიოდში ამიერკავკასიაში პირველად განხორციელდა ჭაბურღილების ბურღვის ახალი მე-

თოდი, რომლის საშუალებით ბურღვა წარმოებს უკუგარეცხვით, რითაც ჭაბურღილების წარმადობა 3-4-ჯერ იზრდება.

ბატონი გივი მეცნიერულ შრომასაც ეწეოდა, მიღებული აქვს საავტორო უფლებათა მოწმობები.

ხანმოკლე გამოდგა გივი გოგინაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა. ენერგიულ, შრომისმოყვარე, პრინციპულ, კეთილმოსურნე და ალალი გულის პატრონს ჯანმრთელობამ უმტყუნა და უდროოდ ჩამოშორდა საყვარელ ოჯახს, საქმესა და მეგობრებს.



როლანდ ჯგერენაია

(1946-1993)

დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ გურძემში. 1969 წელს ამთავრებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობას იწყებს „საქწყალპროექტში". 1970-1971 წლებში აფხაზეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოში გაგრის უბნის უფროსად მუშაობს. 1971-1973 წელს კი საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტია.

1974-1978 წლებში იქვე, დაშრობის განყოფილებაში მეცნიერ მუშაკად იწყებს მუშაობას, 1979-1980 წლებში უფროსი მეცნიერ-მუშაკია. 1981-1983 წლებში სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა კუბის რესპუბლიკაში. იქ მოღვაწეობდა კუბის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რწყვისა და დრენაჟის დირექციის მთავარ ინჟინრად. კუბიდან დაბრუნებული მუშაობას იწყებს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტის აფხაზეთის საცდელ-სამელიორაციო საყრდენი პუნქტის ხელმძღვანელად. 1987 წლის ივლისში კი ბატონი როლანდი დაინიშნა აფხაზეთის მელიო-

რაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად, სადაც მან ერთგული, ენერგიული და კვალიფიციური საქმიანობით დიდი სიყვარული დაიმსახურა მთელს აფხაზეთში, მაგრამ, ბრმა ტყვიამ უდროოდ შეწყვიტა მისი მგზნებარე სიცოცხლე ავადმოსაგონარ აფხაზეთის ომში, ძმათა სისხლისღვრის დღეებში. მოულოდნელად, სამუდამოდ განშორდა როლანდ ჯგერენაია საყვარელ ოჯახს, დიდ სამსახურს.

ვლადიმერ (ვოვა) კიკნაძე

(1948-1998)

დაიბადა ქ. ხაშურში. 1976 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ინჟინერ-მშენებელი შრომით საქმიანობას იწყებს „საქმთავარწყალმშენის“ ტრესტ „მტკვარწყალმშენის“ ბორის სამშენებლო სამმართველოში - უფროს სამუშაოთა მწარმოებლად. 1986 წელს სამუშაოდ გადადის ხაშურის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოში - მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე, ხოლო 1991 წელს დაინიშნა ამავე სამმართველოს უფროსად.

შრომისმოყვარე და ბეჯითი, გამოცდილი სპეციალისტის სახელით იყო ცნობილი კოლეგებს შორის. ჩვენი ვოვა იმითაც იყო გამორჩეული, რომ იგი, როგორც იტყვიან, სიმღერის ტრფიალი იყო, რასაც შესანიშნავი ხავერდოვანი ხმაც უწყობდა ხელს და რაც მთავარია, როგორც მუშაობას, ისე სიმღერას სიკეთით სავსე გულით ასრულებდა და ბედის ირონიაც ის გახლავთ,

რომ სწორედ გულმა უმტყუნა და ნაადრევად ჩამოაშორა საქვეყნო საქმეს, საყვარელ ოჯახს, ერთგულ მეგობრებს.

ლაშა ჩიკვაიძე

(1964-2001)

თებერვლის მოქუფრულ დილას დეპარტამენტში მეხის გავარდნასავით დაირხა ხმა - ლაშა დაიღუპაო!... გაოგნებული თანამშრომლები გულისტკივილით იმეორებდნენ დაუჯერებელსა და მწარე სიტყვებს... რა მოხდა, რა მოუვიდა საღ-სალამათ ახალგაზრდას?! - შემთხვევით, ერთმა პაწაწინა ტყვიამ ძირს დასცა ბერმუხად დაბადებული ბრგე ვაჟკაცი, განათლებული, დინჯი, წყნარი... ბედისწერა, სხვა რა უნდა დავარქვათ ახალგაზრდა კაცის ასე მოულოდნელად წასვლას ამ ქვეყნიდან!

ლაშა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მშენებელ-ინჟინრად იწყებს მუშაობას მშენებლობის სამინისტროში. 1990-1991 წლებში არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხთა სახელმწიფო მრჩეველია, 1992-1997 წლებში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა.

1998 წელს ბატონი ლაშა მოღვაწეობას იწყებს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტში მთავარ სპეციალისტად, ხელმძღვანელობს სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებას. შემდეგ საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელი ცენტრის

ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ხელმძღვანელია. განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა იგი რეფორმების გატარებისათვის საჭირო მოსამზადებელ სამუშაოებს. თავისი სიღინჯით, საქმის ცოდნით, გულმართლობით მოკლე დროში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მრავალრიცხოვან კოლექტივში. ბევრადბევრი სამომავლო-სასიკეთო საქმე ჰქონდა ჩაფიქრებული ბატონ ლაშას წყალთა მეურნეობის განვითარებისათვის, მაგრამ... არ დასცალდა! უცნაურმა შემთხვევამ, ბრმა ტყვიამ მოუწსრაფა მგზნებარე სიცოცხლე.

თითქოს წინათგრძნობა შთააგონებდა პოეზიით გატაცებულ ახალგაზრდას, ჭეშმარიტად პოეტურ სტრიქონებში ამოეცნო თავისი უკუღმართი ბედი:

ამდენ დარდს ვეღარ გაუძლებს გული,
მინდა შენს მხარზე დაველიო სული,
სიცოცხლის ძაფი თანდათან წყდება,
სინათლე მიდის, წყვდიადი დგება.
წლები გარბიან სულმოუთქმელად,
ბევრი ნაფიქრი დამრჩა უთქმელად...

მართლაც, ბევრი სათქმელი დარჩა უთქმელად ბატონ ლაშას, სიცოცხლეზე ასე უსაზღვროდ შეყვარებულს, მეტეორივით რომ გაიელვა წყალთა მეურნეობის თანამშრომელთა შორის, მაგრამ სიყვარულის წარუშლელი კვალი დატოვა ყველას გულში.

ჯემალ ავაზაშვილი

(1936-2002)

ყვარლის მთების წიაღში დავაქკაცებული ბატონი ჯემალი, კახეთის ამ ულამაზეს კუთხეზე ზომაზე მეტად შეყვარებული, სულ იმას ფიქრობდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მშობლიური ხალხის საკეთილდღეოდ. ამიტომ იყო, 1977 წელს თანამოქალაქეებმა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ რომ აირჩიეს. სამი წლის განმავლობაში ბატონმა ჯემალმა უამრავ საქმეს მოაბა თავი. დაუღალავად ზრუნავდა იგი ქალაქის კეთილმოწყობისა და მისი გამშვენიერებისათვის. ამასთანავე, არც წყალთა მეურნეობის საქმიანობას ივიწყებდა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ახალბედა ინჟინერ-მშენებელი პირველ შრომით ნათლობას 1961 წელს, ყვარლის სარწყავი სისტემის სამმართველოში ეზიარა, ინჟინრის თანამდებობაზე. უნარიანი ახალგაზრდა მალე მთავარ ინჟინრად დააწინაურეს. 1965 წელს კი, სამმართველოს უფროსად დაინიშნა. საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან ბატონი ჯემალი ისევ თავის საყვარელ საქმეს – წყალთა მეურნეობას დაუბრუნდა, – სამმართველოს უფროსად.

უყვარდა კეთილშობილური დარგი, ენერგიას არ იშურებდა მისი განვითარებისათვის. მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტია აშენებული ბატონ ჯემალის მიერ დაზოგილი სახელმწიფო სახსრებით. მწვანე ობელისკებად დგანან ჩალის (ყვარლის ზღვად რომ არის მონათლული), კუსწყაროსა და ოქტომბრის წყალსაცავები, არც მდინარე დურუჯი დატოვა მან გამოუყენებელი და მის ნაპირზე კუდიგორის მოზრდილი მოცულობის წყალსაცავი გააშენა. იქიდან გაეონილი წყალი კი ქალაქის სასმელი წყლით მომარაგებისათვის გამოიყენა.

ცნობილი ავისმქმნელი მდინარე დურუჯი დიდი საფრთხით ემუქრება ქალაქ ყვარელს. ათი წელიწადია, მისთვის არავინ გარჯილა; თუმცა, ბევრი იბრძოლეს და იმას მაინც მიაღწიეს, რომ 2001 წლიდან დურუჯის კალაპოტის გაწმენდა დაიწყო, რაშიც დიდი წვლილი სწორედ ბატონ ჯემალს მიუძღვის.

საერო საქმისათვის ბრუნვაში და მომავალზე ფიქრით შეღაჭარავებულს, ამ მოუსვენარ, ენერგიულ, გამოცდილსა და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულ დიდოსტატს, თბილისში სამკურნალოდ ჩამოსულს, მოულოდნელად უმტყუნა კეთილმა გულმა და სამუდამოდ განშორდა ძვირფას ოჯახს, საყვარელ საქმეს. დააკლდა მშობლიურ კუთხეს, სათაყვანებელ ქალაქს.

ზურაბ ლორთქიფანიძე

(1941-2002)

აჭარელი, სწავლამოწყურებული ახალგაზრდა 1959 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქ. ბათუმის დაუსწრებელ განყოფილებაზე და აჭარის სასისტემო სამმართველოში მუშად დაიწყო მუშაობა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ ბატონი ზურაბი საექსპლუატაციო ჰიდრომეტრიას ეუფლება და ჰიდრომეტრად ინიშნება, ხოლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჯერ უფროსი ინჟინერია წყალსარგებლობის დარგში, მერე კი, მთავარ ინჟინრად აწინაურებენ. ამ წიგნში მოხსენიებული ირაკლი ლორთქიფანიძე ზურაბის მამა გახლდათ და იგი დიდხანს იყო აჭარის სასისტემო სამმართველოს უფროსი. მამის კვალს შვილიც მიჰყვა; ბატონი ზურაბი 1995 წელს დაინიშნა აჭარის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად. ენერგიული, მუდამ მოძრავი, გამოწრთობილი და გამოცდილი სპეციალისტი, გამმრდელ კოლექტივთან ერთად, უნარიანად უძღვებოდა აჭარის მთიანეთსა თუ ბარში სარწყავი სისტემე-

ბის შეუფერხებლად მუშაობას, გვალვის პერიოდში მარჩენალი მიწისთვის მაცოცხლებელი წყლის უხვად მიწოდებას.

ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება და ინეინრული სიტყვის თქმა შეეძლო ბატონ ზურაბს, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, სამუდამოდ გამოემშვიდობა სათაყვანებელ დედმამიშვილებს, ძვირფას კოლექტივს, საყვარელ საქმეს.

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

წინამდებარე წიგნის ავტორს, ამ საშვილიშვილო და მისაბაძი საქმის ინიციატორს – ბატონ *ალექსი მიმინოშვილს* ორიოდე სიტყვა რომ არ შევანიოთ, დიდ ცოდვად ჩაგვეთვლება.

სოფლის მეურნეობის კეთილშობილ დარგთა შორის ნყალთა მეურნეობა უკეთილშობილეს დარგად რომ არის აღიარებული, ვფიქრობთ, ეს სადავო არ არის. ცნობილია ისიც, რომ ამ დარგში ბევრი მაღალკვალიფიციური, პატიოსანი და შრომისმოყვარე ადამიანი მოღვანეობდა და მოღვანეობს. მშენებელთა მიერ ხრიოკსა და უკაცრიელ ტრამალებში ნაგები არხებისა და უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოვლა–პატრონობა, გვალვისაგან დასიცხულ შორეულ ხოდაბუნებამდე მაცოცხლებელი ნყლის მიყვანა, – უზომო ძალისხმევას, დიდ ჯაფას, მტკიცე

ხასიათსა და სულგრძელობას მოითხოვს. არა მარტო წყალთა მეურნეობის დიდოსტატებს, არამედ სოფლის მეურნეობის რიგით მუშაკებსაც კარგად მოეხსენებათ, რომ ქვეყნის მარჩენალი მინის არტერიებში მაყოყ-ხლებელი ძალის შთამბერავი სპეკრალისტები სულ სხვა თვისებითა და ხასიათით გამორჩეულნი არიან. ამიტომაა ყველას როდი ხელენიფება დაინახოს და ღრმად ჩასნვდეს ამ ადამიანთა შემოქმედებითი შრომის უკიდეგანო არეალს, ამის გაკეთება მხოლოდ მას ძალუძს, ვისაც მორნყვის ყადრი მეცნიერულად შეუძლია დაასაბუთოს. ასეთ სპეკრალისტთა პლეადას მიეკუთვნება ბატონი ალიოშა, რომელმაც 60 ნელინადი ნყალთა მეურნეობის საყვარელ დარგს შეალია, ხოლო 40 ნელი სარნყავი სისტემების უშუალო ექსპლუატაციას ედგა სათავეში.

საინტერესო შემოქმედებითი შრომით შემკული ცხოვრების გზა გაიარა ბატონმა ალიოშამ. პირველად ქარელში დაიწყო მოღვაწეობა ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად, შემდეგ უფროსი ინჟინრისა და ნყალთა რაიონის გამგის მოადგილის თანამდებობა ეკავა, მერმე კი – თბილისის გარეუბნის რაიალმასკომის ნყალთა მეურნეობის განყოფილების უფროსი იყო. 1950 ნლიდან თბილისის ოლქის აღმასკომის ნყალთა მეურნეობის სამმართველოს ნყალსარგებლობის განყოფილების უფროსია. 1959

ნლიდან ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს წყალსარგებლობის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

1967 წელს ბატონი ალიოშა სათავეში ჩაუყენეს გარდაბნის სარწყავი სისტემის ახალშექმნილ სამმართველოს, სადაც მან თავი გამოიჩინა, როგორც მაღალკვალიფიციურმა ინჟინერმა, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია გარდაბნის სისტემის ნამდვილი ტექნიკური აღმავლობა. აქ თავს უფლებას მივცემ გავაკეთო მცირე გადახვევა და გავიხსენო შემთხვევა ჩემი ბიოგრაფიიდანაც, რომელიც ბატონ ალიოშასთან გატარებულ სიცრმის მეგობრობასთან არის დაკავშირებული. ფოთის ინდუსტრიული ტექნიკუმი, რომელსაც ასე გულთბილად იგონებს ავტორი ამ ნიგნის ნინათქმაში, ჩვენს ალიოშასთან ერთად მეც დავამთავრე. ერთ-ერთ ნიგნს, რომელიც ბატონი ალიოშას ავტორობით ამ ათიოდე ნლის ნინათ დაისტამბა და მე მაჩუქა, ასეთი წარნერა ამშვენებს:

„ძმაო ალიოშა, მახსოვს ჩვენი ტექნიკუმის ბიჯები, „კომკავშირული საგზურით" უარაიაზში (დღევანდელ გარდაბანში) იყავით გაგზავნილი. თქვენ ვერ გაუძელით იქაურ აუტანელ პირობებს (განსაკუთრებით კოლოებს) და გამოიქეცით... შენი მონამორჩილი ალიოშა მიმინოშვილი კი, ნლების მანძილზე იქაურ სარწყავ სისტემას ედგა სათავეში. სიცხეები

ახლაც იცის „ყარაიაში", მაგრამ იმდენი მნვანე ნარგავია გაშენებული, რომ ადვილად ასაცანია, რაც შეეხება კოლოს, ის დამარცხებულია!" ვკითხულობ ამ სტრიქონებს და საბოლოოდ ვრწმუნდები, რომ მართლაც ნებისყოფიან, გამორჩეულ ადამიანებს შეუძლიათ იმ აუცანელ პირობებში მუშაობა, რომელსაც, სიყმანვილეში მე გავქეცი... მეამაყება ისეთი მეგობარი რომ მყავს, როგორიც – ალიოშა მიმინოშვილია! ჯეშმარიტი მეომრისა არ იყოს, საკუთარ პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები მუდამ საბრძოლო მნყობრში არიან. ბატონი ალიოშა პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგაც (1981 ნლიდან), მელიორაციისა და ნყალთა მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში აგრძელებს მოღვაწეობას ნამყვან ინჟინრად, მთავარ სპეციალისტად.

კაცი, რომელიც 86 ნელს არის გადაცილებული, – რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი, უხუცესი ჯალარა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, – ჯაბუკური ენერგიით, ნათელი გონებით, კვლავ დგას ნყალთა მეურნეობის მრავალრიცხოვანი სპეციალისტების გვერდით. მისთვის ჩვეული გულღიაობით, რუდუნებითა და

ხალისით აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას სათაყვანებელ კოლექტივთან ერთად. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონმა ალიოშამ დარგის ახალბედა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას სამი დამხმარე პრაქტიკული სახელმძღვანელო მიუძღვნა. ამჟამად კი მუშაობს აგრძელებს მემუარულ-პუბლიცისტურ ნარკვევზე, სადაც წარმოჩენილი იქნება საქართველოორაცრო სისტემების მშენებლობისა და საექსპლუატაციო საქმართველოთა შექმნის მოკლე ისტორია და შტრიხები იქ მოღვაწე ადამიანთა პორტრეტებისათვის.

საქართველოს, დღეს ისე, როგორც არასოდეს, სჭირდება ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას უმორჩილებენ დიდი რუსთველის ბრძნულ შეგონებას – „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია!" საბედნიეროდ, ასეთ მამულიშვილთა რიგებს მიეკუთვნება ბატონი ალიოშა. ოჯახიც ამ უკვდავი დევიზის ერთგული ჰყავს. მეუღლე – რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ქალბატონი ელენე ზერეკიძე, ვაჟიშვილი – მალხაზი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, რძალი – ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ბესელია, – ოჯახის უფროსს ბაძავენ ყველაფერში, – შვილიშვილები – ლექსო და სოფიკოც პაპის ალიკვალები რომ იქნებიან, არც ამაში მეპარება ეჭვი.

ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით ნარ-

მატებებს ვუსურვებ ჩემს სიყრმის მეგობარს, რომლის ნიგნიკ ეს-ესაა თქვენ წაიკითხეთ.

დაბოლოს, როგორკ ქართველებს გვიყვარს დალოკვა – ეს ერთი და სხვა მრავალი!

ალიოშა მიმინოშვილის ავტორობით გამოკემული ბევრ ნიგნს ეხილოს მზის სინათლე!

ალიოშა თოფურია

სარჩევი

1. წინათქმა 3

პირველი განყოფილება

2. უხუცესები 11
3. ილია ლაღიძე 13
4. ცოტნე მირცხულავა 17
5. შალვა გიორგაძე 21
6. ვახტანგ გურგენიშვილი 23
7. ავგუსტ იტრიაშვილი 25
8. სევერიანე მოსიძე 27
9. გიორგ გრიგალაშვილი 29
10. გიორგი ქიტუაშვილი 31
11. ალექსანდრე ცხადაია 33
12. ივანე დარბაისელი 35

მეორე განყოფილება

13. პეტრე მამრაძე 39
13. გიორგი ვოინიჩი-სიანოჟენცი 41

15. შალვა ლიაძე 43
16. ვიქტორ ძაგანია 45
17. ნიკოლოზ ჩაჩანიძე 47
18. ალექსანდრე ბუაძე 49
19. ალექსანდრე კანდელაკი 51
20. ირაკლი მითაიშვილი 53
21. შალვა ახალკაცი 55
22. არჩილ ბირკაია 57
23. ივანე გვარჯალაძე 59
24. მიხეილ მენაღარიშვილი 61
25. იროდიონ აგლაძე 63
26. დავით გუნია 65
27. დავით ჟღენტი 67
28. არშავირ ტერ-პეტროსიანი 69
29. თავლათ ჩაჩავა 71
30. მიხეილ გაგოშიძე 73
31. ირაკლი ლორთქიფანიძე 75
32. გრიგოლ ჯალაღანია 77
33. სიმონ ზერეკიძე 79
34. დომენტი მელქაძე 81
35. შერმადინ სიხარულიძე 83
36. არშალუს ბაღდასაროვი 85

37. შალვა გუმბერიძე 87
38. ლევან კიკნაძე 89
39. გიორგი ჯაფარიძე 91
40. შალვა ახმეტელი 93
41. აკაკი ბაღათურია 95
42. ანდრო გაბუნია 97
43. იოსებ იმერლიშვილი 99
44. ალექსანდრე მხატვრიშვილი 101
45. გრიგოლ ბაღიშვილი 103
46. კალისტრატე ბერაძე 105
47. ნიკოლოზ გაბუნია 107
48. გიორგი მდივნიშვილი 109
49. შალვა სარჯველაძე 111
50. იროდიონ შარაშიძე 113
51. ბენიამინ მჟავანაძე 115
52. ვანო ნაკაიძე 117
53. იპოლიტე სულაძე 119
54. ნიკოლოზ ფალავანდიშვილი 121
55. მიტროფანე წაქაძე 123
56. ვალერიან ჭიჭინავა 125
57. ერვანდ ბერიანიძე 127
58. ზაქარია ბიძინაშვილი 129

59. ფირუდინ ორუჯევი 131
60. კლიმენტი ადამია 133
61. არჩილ ბარამიძე 135
62. გრიგოლ ზამბახიძე 137
63. ლაზარე სიმგულიდი 139
64. გიორგი ქობულია 141
65. დიმიტრი თაბაგარი 143
66. არჩილ ახვლედიანი 145
67. გიორგი ნიშნიანიძე 147
68. გრიგოლ ჩიჯავაძე 149
69. გიორგი გრიგალაშვილი 151
70. დიომიდე სულაძე 153
71. დიმიტრი სოხაძე 155
72. ზურაბ ღამბაშიძე 157
73. მიხეილ სანაძე 159
74. ვალერიან სანიკიძე 161
75. ოთარ სოხაძე 163
76. ყარამან კახაია 165
77. ნიკოლოზ კრაწაშვილი 167
78. დურმიშხან კვანტალიანი 169
79. შალვა სიბოშვილი 171
80. ნუგზარ იმნაძე 173

81. მიხეილ ინდაშვილი 175
82. ბონდო კვატაშიძე 177
83. გივი ტულუში 179
84. სერგო ტულუში 181
85. ალიოშა ჭაჭუა 183
86. იუზა მიქიაშვილი 185
87. ვლადიმერ მულაძე 187
88. შოთა ბუთლიაშვილი 189
89. იოსებ სალუქვაძე 191
90. ნოდარ თხელიძე 193
91. გივი ხუციშვილი 195
92. ბორის ინასარიძე 197
93. გაიოზ კალანდაძე 199
94. ანზორ მუსურიძე 201
95. ზურაბ ალავიძე 203
96. იზოლდა ხვედელიძე 205
97. შალვა დობორჯგინიძე 207
98. ჯემალ ტვილდიანი 209
99. გურამ ჩხიკვაძე 211
100. სულიკო ჯაჭვაძე 213
101. გივი გოგინაშვილი 215
102. როლანდ ჯგერენაია 217

103. ვლადიმერ კიკნაძე 219
104. ლაშა ჩიკვაიძე 221
105. ჯემალ ავაზაშვილი 223
106. ზურაბ ლორთქიფანიძე 225
105. ბოლოთქმა 227

რედაქტორი

ალექსანდრე თოფურია

მხატვარი

ქათევან ბესელია

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ილნარ გორელიმვილი
ნათელა ტალახაძე

წიგნი დაიბეჭდა
შ.პ.ს. საგამომცემლო-პოლიგრაფიულ ფირმა
„ ე ლ ვ ა ს ი “

2002